

✓
144
1918 / 4

საქართველოს
საბავშვო ბიბლიოთეკა

კრძმეუთა

10787

№ 2

1918.



კ

ბავშვთა

~~18187~~

19540




№ 2

1918



ცენტონ

ქართული მოთავსებული. მასალის გადაბეჭდვა რედაქციის ნება
დაურთიველად აკრძალულია.



1918

5 11

საქართველოს
საბჭოთაო
რესპუბლიკის
საგარეო
კავშირების
მინისტრის
სამსახური

ვ ა შ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს

დაუგეჟდავი ლექსი

ბუნების გლოვა

1

მთათ გული დაწყლულებული
დახოცილ შვილთა მზერითა
ერთმანეთს მისწებებია,
წყენა გაზდილა წყენითა.
დაღვრილი გმირების სისხლი
მიწის გულს ჩასწვდა ქვევითა,
შეწუხებული ნისლადა
ამოხეთქილა ზევითა.

გულ-გამგირული ბიჭები
გაფანტულია ველადა,
ხარ-ზაქებს ჰგვანან მხედარნი,
ხმლები არტყიათ წელადა.
მტერიც-კი ვერ გაიმეტებს
თვის მკვლელებს დასაწყევდა
ისეთი ლამაზებია,
მხოლოდ არვინ ჰყავთ იცველადა,
დახოცილთ არვინა ჰგლოვობს,
არ დაწურულა ცრემლადა.

ქალ-რძლის არ ისმის ქვითინი,
დედების მოთქმა მწარია,
ჯერ არ იციან დიაცთა
რომ გასწყდა ხევსურთ ჯარია:



მტერს შაეხოცნენ ყველანი,
 არ მოაყივლეს გვარია.
 სიკვდილმა სამკლად ჩაიდვა
 მათი სიკოცხლე, ჯანია.
 სახელსაც ეჭიდებოდა,
 რომ თან წაელო საგზლადა.
 ვერ მოერივია, — აქ დარჩა, —
 შვილებს გვინთია სანთლადა.
 თურმე ყველაფრის მმუსვრელი
 და თან წამლები ძალადა,
 რომ სახელს ვერ ჰკლავს გმირისას
 აქვს გულის გასამწარადა.
 მის გამო ბრაზ-მორეული
 სიკვდილი ხდება ავადა...
 სჯობია მოკვდეს სიკვდილი,
 მზე ჩაუვიდეს შავადა!.

II

სამშობლო მიწის მცველებმა
 ვერ მოახერხეს გაქცევა,
 ისევ სიკვდილი ირჩიეს
 ვიდრე-ღა ფიცის დარღვევა, —
 მათათა ქედების საპოხლად
 თავის სისხლისა დაქცევა.

აუარებელს მტრის ჯარსა
 აპხირებიან ცოტანი,
 ამიტომ ფრიად მწადიან
 შევასხა იმათ ხოტბანი...
 საქებარს, სათაყვანებელს
 ვით შეუთვალო გმობანი?!
 ამიტომ ნისლი თავს ადგათ
 წითელი სისხლის ფერადა,
 დახოცილთ თავზე დასტირის-
 და — დედათ მაგიერადა.

ამბობენ: მუდამ იმ დღესა
 როდესაც გასწყდენ გმირები,
 ნისლი გაჩნდება როგორაც
 ძმა ძმასთან შენაპირები;
 იტირებს იმ დღეს, იმ ღამეს,
 არ უშლის მზისა სხივები.
 მერე კი დაიმალება
 უჩინარ მათთა ყურესა,
 დრომდე არ იძვრის, დროზე კი
 სატირელს მიაშურებსა.

ნისლისგან ნაცრემლ მდებლობედ
 ამოიხეთქავს ყოილი,
 ტურფა, სხვადასხვა ფერისა,
 ჯადოსნურადა ქსოვილი.
 შორით კი მოსჩანს თეთრადა,
 როგორც მთა ჩამოთოვილი.

დიდხანს არ რჩება ამ ადგილს
 ტურფა მცენარეთ კრებული.
 თავს ესხმის ანგელოზთ გუნდი
 მალიდან მოვლინებული;
 ანგელოზები გალობით
 ყოილთ მოჰკრეფენ სრულადა.
 არ გვიტოვებენ ერთსაც-კი,
 ეს მრჩება გულში წყლულადა:
 სულ ცაში მიაქვთ იმათთვის,
 ვინც ძმას ეწევა ძმურადა,—
 ვინც თავსა სწირავს სამშობლოს
 და ხდება დატანჯულადა.

იტყვიან—ლალატის გამო
 თურმე დამარცხდა ლაშქარი,
 დაჩლონგდა სახელოვანი
 ხევსურთ ვაჟების აბჯარი.

მტერმა-კი მახარობლად
 სახლში აფრინა ჩაფარი.

იტყვიან—ჩვენივე კაცი
 მტერს თურმე წინა სძლოლია
 ის საცოდავი, ნეტავი,
 დედას რისთვისა ჰყოლია?!
 ბეჩავმა იმისმა მამამ
 რისთვის შეირთო ცოლია?
 არ სჯობდა ვაჟის მაგივრად
 ძალღი ჰყოლოდა ბროლია?!



3. ბარნოვი.

ამქრის მოშენება.

(მოთხრობა)

1.

ავლაბრის მოედნიდან ქუჩა შესდევს ზევით და მთავარანგელოზის ეკლესიამდის უწევს გორაკზედ.

ხელოსნის სადილობის დროს ამ ქუჩაზედ დინჯის ნაბიჯით მიდიოდა ხშირ ქალარა შერთული ვაჟკაცი, მარცხენა ხელში წითელი ხელსახოცი ეჭირა ნავაჭრით სავსე. თვალეზში სიამე უთამაშებდა. მარჯვენა ხელს ხანდისხან უღვაშზედ ვადისვამდა და კმაყოფილებით ჩაიღიმებდა: კარგ გუნებაზედ დამდგარიყო პაატა, საამო ფიქრში იყო გართული, ფრთაჭრელი სურათები ისე ძლიერად იტაცებდნენ მას, რომ შიგადაშიგ შეუგნებლად სიტყვებშიც კი ხორციელდებოდნენ და მაშინ ხმაშალა წამოიტყოდა ვაჟკაცი, თავის თავს ეუბნებოდა:

ხელოსანიც არის და ხელოსანიც! განა, ვისაც ტყავის ფეშტამალი აუფარებია წინ და მარწუხით რკინა დაუღვია ქურაზედ მკედელია?! არ იფიქრო! სიმარჯვე უნდა გქონდეს ხელში, მოზომეა უნდა შეგეძლოს თვალთ, რომ მკვიდრი ნივთი გამოიყვანო, შნოიანი, ნამდვილად გამოსადეგი. ჰაზრიც არის საჭირო: გონების თვალწინ ცხადად უნდა გითამაშებდეს ის ვეჯი, რის ვაკეთებასაც აპირობ, ისე ნათლად, თითქო მკაფიო სიზმარში ხედავო იმის სახეს. მაშ შენ როგორა გგონია?!

რაც უფრო ზევით მიდიოდა ოსტატი, იმდენად უფრო აჩქარებდა ნაბიჯს და სახე უნათლებოდა, თან ნავაჭრს გადახედვდა, ხელსახოციდან არათფერი ამოვარდესო. ერთმანეთს ძლივს დასწლომოდან დასანასკვად ფართო ხელსახოცის წვერები, მაინც ყველაფერი დატეულიყო შიგ: ამოჩენილიყო წითელი ბოლოკის ფოჩები და გელაქნურის ბოლოები, რომლებიც ველარ დაეფარა შემოხვეულ ქალაქს. ქვეშ ალბათ ვაშლებიც ეწყო თუ მსხალი: მრგვლა-მრგვლად მოჩანდა ქსოვილიდან.



მუშტარიც შნოიანი უნდა იყოს, რომ გული არ გაგიტეხოს: ერთი შეხედვით უნდა იცნობდეს საქონელს, აფასებდეს კარგი ოსტატის მადლიან მარჯვენას, რომ წაახალისოს ხელოსანი. ზოგი მოვა, რიგიანად არც კი გაჰსინჯავს ნივთს და წაიღებს: მერმე კი იმდღურება; არ ვარგოდა, არ გამომადგავო. გასინჯე რალა, შე დალოცვილო! ნახე გამოსადეგია შენთვის თუ არა, მოსაწონი მოიწონე, დასაწუნი დაიწუნე! ისეთი ნაკეთები აირჩიე, ზედ ეტყობოდეს სიკეთე გაწვრთნილი და ჰალალი მარჯვენისა!..

— დაჰხედა თუ არა ბაადღურმა შემოკვეთილ სახნის-საკვეთს და გადაატრიალ-გადმოატრიალა, სიამოვნებამ გაჰკრა სახეზედ. მომეცი ხელი მინდა ჩამოვართვა ეგ ჯადოსანი მარჯვენაო. სახნისი ხომ იყო და იყო, საკვეთი უკეთესი ჩამოიქნა: მსუბუქი, მარჯვე, მაგარი. ზოგი ტლანქს გააკეთებს, კუნძივით ჯირკვას და გაიძახის: სახნის-საკვეთი გამოკვეერგო. რა საკადრისია?!.. რაც დავაფასე, უთქმელად მომცა. ააშენოს ღმერთმა იმისი ოჯახი! მაინც ყოველთვის მადლიანი ვაჭრობა იცის ბაადღურმა, დაასვენა პაატამ.

და გადაიღო ყურთმაჯი მხარზედ. მუღის კაბა ეცვა წაბლისფერ ახალუხზედ; ვერცხლის ქამარი ერთყა დასევადებული; კალმუხის ქუდი ეხურა მალალი. მოგრძოდ დაყენებული თმა საფეთქლებთან შეჭკრებოდა, შეჭხუჭუჭებოდა. შავი შალის განიერი შალვარი, ყელიანი წაღები, ეს საგარეო ტანისამოსი იყო პაატასი, ქუჩაში გამოსასვლელი. თითონ სამშედლოში ის ზამთარ-ზაფხულ პერანგა მუშაობდა, გულ გადაღელილი, თავზედ ხელსახოც წაკრული, ჯღანეებით ფეხზედ. სისხამ დილაზედ მივიდოდა დუქანში, გაიძრობდა სასუფთაო ტანთსაცმელს და ფრთხილად ჩამოჰკიდებდა ლურსმანზე. არ ეშინოდა ზამთრობით სიცივისა თუ ქარისა. ავარდნილი ცეცხლი ქუჩაში, გავარვარებული რკინეული, ჩაქუჩის შენა განუწყვეტელი. რადროს ღა სიცივე იყო ან იმაზედ ფიქრი?! არც სიცხეს უფრთხოდა ზაფხულობით, მოქაბქაზე მზეს და აპრიალეებულ ქურას. ნაწრთობი იყო ოსტატი. დაფოლადებული. ერთი ის კი იყო ცუდი, რომ ზამთრობით ძალიან ეშაშრებოდა ხელები, სისხლამდინ სკდებოდა კანი და შიგ მური აკვდებოდა, ძნელად საბანი. ამასაც არა უშავდა რა: იმისმა ბარბარემ რალაცა წამალი იცოდა თხის ქონზედ მოქანებული და იმითი დაუპოხავდა ხელებს. ლაზათიანად დაუხელავდა და დაუცხრობდა.

შეუბრუნდა პაატა ქუჩას და გული გაიღო: თავის სახლის გალავანმა შემოაწათა, რკინის ქისკარით შემკულმა.

2.

ქვითკირის გალავანიც, ალაყაფის კარებიც პაატას საკუთარი შრომით იყო გაკეთებული, ეს დასძინა მან თავის მამა-პაპეულ სახლ-კარს, ერთი ოდაც მოადგა ხომრიელი, ნათელი, ფილაქნით გაწყობილი, ეხლა მდგმური რომ უდგა შიგ, ის ოთახი. ეს ყველაფერი სასახელო იყო მისთვის, თავმოსაწონი: მამული, იცი შენც, ნელ-ნელა შენდება, თანისთანობით. ეზოში, სათონის გვერდით, ორი უნაბი იდგა, პატრონებს ძალიან უყვარდათ ის ხეხილები, უფროთხილდებოდნენ. იმისთვის კი არ მოსწონდათ ხეები, რომ რამე სარგებლობა მოჰქონდათ იმათ; რამდენიმე პინა უნაბი დიდი შესამატი არ იქნებოდა ოჯახისათვის, თუნდაც მეზობლებში არ დარიგებულყო ნახევარზე მეტი, მაგრამ ის ხეები ბუნებას აგონებდნენ იმათ, ტყესა თუ ვენახს ანიშნებდნენ და გულს უხარებდნენ; იმათ სულში ჯერაც არ ამომშრალიყო ბუნებისადმი ტრფობა; მემკვიდრეობით გადმოცემული სოფელელ წინაპართაგან.

— ერთი დახედე, ბაბუცი, რა გელაქნურები მოგიტანე! მითხრეს ეს არის ეხლა გახსნესო ხიდის ყურზედ და გულმა ველარ მომითმინა, ჩავედი. თითქო ცოცხლებიაო, გოგჩიდან ხელად ამოყვანილი!

ამ ხმაზედ მოტრიალდა მისკენ მისი ცოლი ბარბარე ნიდაყვამდის დამკლავებული, გასახეხი ქვაბით ხელში; გადახედა ხელსახოცს და გაღიმებულ თვალებში კითხვა აღებეჭდა.

ჩავაბარე ბაადურს შემოკვეთილი რკინეულობა და ფასიც მაშინვე მომცა. წავედი ცოტაოდენი რამ ვიყიდე.

— კარგი გიქნია! მაინც ძალიან მინდოდა გელაქნური; დილას რომ დუქანში მისდიოდი, კინალამ დაგაბარე უთხრა მას თავის ცოლმა.

და ლოყა მოუშვირა ქმარს საკოცნელად. ვაჟაკმა ულვაშზედ გადისჯა მარჯვენა და ეშხიანად დაუკოცნა მეუღლეს შეწითლებული ლაწვი.

— რაღა შენი თქმა მინდოდა, ადამიანო, ისე კი არ ვიცი შე-

ნი სურვილები?! სულში მიზიხარ და მკითხავევით შემოძლიან ამოვიკითხო შენი გულის. პასუხი, გაეხუმრა დედაკაცს.

და განაგრძო:

— წავეღი ღვინოსაც შემოვიტან. თურმე ძალიან კარგი კახური ჩამოლუტანია მარკოზას. ნიგოზი ხომ გაქვს ხირხიტოსათვის?

— არის, ბევრი გვაქვს. წითელი ღვინო გამოართვი. ადრე გაგითავებია საქმე და ჩავიბარებია, წუხელ კი ამბობდი, სალამომდის მომიწდებაო მუშაობა.

— ძალიან ვიმუშავეთ! ისეთი გაშმაგებით და მარჯვედ ატრიალებდა ჩვენი ვანო ი ორ ლიტრიან ხედას, კაცს ეამებოდა. ჰაზრიანი ჯეელია და შნოიანი. სწორედ მარჯვენა ხელია ი დალოცვილის შვილი. ცოტა ამაყია, მაგრამ როგორი პატიოსანია და გამტანი! ნამდვილ დამენანება, რომ გავიდეს ჩვენი ღუქნიდან.

— სხვასთან რად უნდა გადავიდეს შენთან გაზრდილი? უფრო კარგ ადგილს იშოვნის ან უკეთეს ოსტატთან მივა თუ?!

— უმჯობეს ადგილს კი ვერ მივა. ვერც ჩემზე უკეთეს ოსტატთან, მაგრამ ის კი შეიძლება, საკუთარი სამკედლოს გახსნა მოინდომოს; უნარიც აქვს იმისი და შეძლებაც შესწევს; ხომ იცი, როგორი თავშენახული ბიჭია.

— ეგ კი შესაძლოა და ძალიან საზარალოც იქნება ჩვენთვის. მაგას კარგი მოფიქრება უნდა.

— ვიცი და ვფიქრობ კიდევ მაგის თაობაზედ. იმედი მაქვს, ღმერთო შენით, ისე მოვაგვარო საქმე, რომ ჩვენთვისაც სარფა იყოს და იმისთვისაც სასარგებლო. ორივესთვის სასიამოვნოდ დათავდეს ყველაფერი.

— მაინც?

— ჯერ არა ღირს ამაზედ მეტის თქმა, ყველაფერი რომ ჩაგიკენკო, წავაგებ; ბევრი გეცოდინება, მალე დამიბერდები და მაშინ ესეთი ხალისით ველარ დავბრუნდები შინ.

— მაინც რასა ფიქრობ, კაცო? შითხარი და ვაათავე!

— დამაცა დედაკაცო, ერთი კიდევ კარგად მოვზომო! მერმე შეუძალლოთ ჩაქუჩი და დაუშვათ მოსაჭრელად. ხომ იცი, რა კარგი ფიქრი ვიცი და სარისტა. განა ტყუილად ამომირჩიეს უსტაბაშად.

— ძალიან თავი მოვაქვს შენი უსტაბაშობით! სწორეთ იმის აქეთ არის; რომ როგორღაც ჩაჰკეტე ჩემგან შენი ფიქრების კარი, თითქო პირი იბრუნე და განზე გასდექი.



— პირი ვიბრუნე შენგან? განზედ გავდექი?! არ იფიქრო! შავისთანა ჰაზრები თავში არ მოგივიდეს: ჯერ კიდევ ღმერთია მოწყალე.

— სწორედ აყრილი გაქვს გული და აცრუებული! მაშ რა არის რომ რალაცასა ჰფიქრობ ოჯახის თაობაზედ, მე კი არ ვიცი?! ვნახოთ ვინ უფრო ინანებს, შენ თუ მე.

— უპ, რა მწარე ენა გაქვს ხანდისხან! უშნოდ მოქნეული ჩაქუჩივით მომხედა რალა გულში შენი სიტყვა.

— აკი გითხარი! შენ ეხლა ყველაფერი უშნოდ გეჩვენება, ჩემი ნათქვამიც, ჩემი ნაკეთებიც. იქნება თითონ მეც უშნო ვარ შენს თვალში, უსტაბაშის ცოლობას უღიროსი!

— კარგი გენაცვალე, შევრიგდეთ. აი მოვალ ბაზრიდან და ყველაფერს გეტყვი. მოშლილი წისქვილივით დავროშავ, რაც მომიფიქრია, მიუგო ქმარმა.

და წაეტანა დედაკაცს მოსახვევენად. ბარბარემ იდაყვი აიფარა პირზედ, ადგილიდან კი არ დაიძრა ქმრის აღერსით ნასიამოვნები:

— სად არის, ქალო, ჩვენი ანიკო?

— მკერვლიაანთ გადაიარა, რალაცა საქსოვი უნდა მასწავლოსო იმათმა დარიკომ.

3.

— ვისგან არის დასაწუნი ვანუა ან რადა?! მკედელიაო უბრალო. მერე რა ურიგო ხელობაა? ეს მკედელი რომ ვარ, კარგად არ ვცხოვრობ, ცოლშვილს პატიოსნად ვერ ვინახავ? მე თუ მკითხავ, ხელოსანი მიჩვენია ვილაც ჩარჩ ვაქარს: ჰალალ ლუკმასა სკამს, არავის ატყუებს არც ზომაში, არც წონაში; თავის ჯანსა რჯის და იმითი ცხოვრობს. რა ვუყოთ, რომ არა მდიდრდება. ხომ არცა კოტრდება ვაჭარივით და საპყარი არა ხდება, საცოდავი. მე მოხელესაც ისევ მიჩვენია, მდაბალი სამსახურის მექონ მოხელეს: იმისი ჯამაგირი მწვადივით იქმევა და მერმე ყველას ხელში შესცქერის, ეგებ ქრთამად გამომიწოდოს ცოტა რამეო, არა, ბაბუციჯან, ანიკოს შესახებ ჩემი ჰაზრი სჯობია შენ ნათქვამს, მერწმუნე სჯობია! წარიტყოდა პაატა ვზავზა.

რაც უფრო უახლოვდებოდა მარკოზის დუქანს, იმდენი უფრო უმშვიდდებოდა სახე: იმისი ფიქრი თანდათან ირკვეოდა და დასკვნაც მისი მტკიცედ დგებოდა, არ ირყეოდა. წინადაც ფიქრობდა პა-

ათა ამ საზრუნველზედ, მაგრამ მაშინ ამ საგანს ისეთი მწვავე ხასიათი არა ჰქონდა იმისათვის, როგორც მიიღო ამ ბოლო დროს, არც თუ საჩქაროთ მოსჩანდა იგი მის თვალში. ეხლა სხვა იყო: ამ ბოლოს დროს ვანო, იმისი საყვარელი და საიმედო შეგირდი ვანო, როგორღაც დაღვრემილი დადიოდა, გულჩათხრობილი. ის ისევ ერთგულად ასრულებდა ოსტატის ყველა ბრძანებას, დუქანში წინანდებურად მზნედ მუშაობდა და წალმართად, შინაც უთქმელადვე ხელს აშველებდა მას, მაგრამ პირზე ღიმი აღარ მოსდიოდა, ძირს იყურებოდა, გულახდილად აღარ შეჰხედავდა ოსტატს, ხალისით სავესე თვალებით. აღარ ოხუნჯობდა დუქანში, თითქო აღარ ეხერხებოდა მხვეილი სიტყვის თქმა. წინად კი იცოდა ვანომ ფრთიანი სიტყვა, ვშინანად მოუდიოდა ამგვარი სათქმელი და ბევრჯერ მთელ დუქანს გადაახარხარებდა დაეინებული მუშაობის დროს. ამისთვისაც უყვარდათ ვანო დუქანში, იმ პატარა ბიჭებსაც კი ძალიან მოსწონდათ, ჯერ ჩაქუჩის ხელში აღება რომ ვერ მოეხერხებინათ და ამ დღე ფუქსსა თუ ნახშირს დასტრიალებდნენ, ჩარხს ატრიალებდნენ ან სხევანაირად მორბედობდნენ და შაგირდანათი გამოდიოდნენ. მეტადრე დღეს გააკვირვა ვანომ ოსტატი და ჩააფიქრა: ბაზრიდან რომ ნავაჭრი მოიტანა, უნდოდა იმისთვის გამოეტანებინა შინ, რადგან პატარებს ვერ ანდობდა სავესე ხელსახოცს.

— ვანო, აბა თუ ღმერთი გწამს, ეს გადიტანე შინ და ჩემ მავივრად უთხარ ბაბალეს კარგად მოამზადოს ყველაფერი, თავისებურად: ახედდახედე კიდევ სხვა ხომ არაფერი უნდათ.

ამისთანა დასაქმება წინად საამო იყო ვანოსათვის და სახალისო. მაშინვე დასდებდა კვრს, ხელებს მაგრა გადიბანდა, გადიცვამდა მჭიდროდ ნაოკ ასხმულ ჩოხა-ახალუხს აივარცხნიდა მერცხლის ზოლოსავით შავ წვერს და გასწევდა ოსტატის სახლისაკენ მარდის ნაბიჯით: მიუხაროდა პირმოღიმე ახალგაზდას იმ ოჯახში. შემდეგში თითქო იკლო მასში ამისთანა ხალისიანობამ, ის აღარ ისწრაფოდა ამგვარ ოჯახისაკენ, აღარც ხშირად ინახულებდა. დღეს კი თავისი თქმით თუ ქცევით მთლადაც გააშტერა თავისი ამზრდელ-გამწვრთნელი პაატა.

— არ წავალ! რა გავაკეთო იქ? ავერ ტილუა გავხავნი! შეუბრუნა სიტყვა ოსტატს.

და ისეთი ძალით დაუშვა შემადლებული ხვედა, რომ ორ გოჯიანი რკინა სულ ნაპერწყლულად დასცალა და კვეცივით დაქულიტა



გრდემლის პირამდის, შესდგა ერთ წამს ოსტატი, დააკვირდა ვეკაცს და განსკვრიტა მთელი სიღრმე მისი გულის კვეთებისა: ისე ცხადად დაინახა მთელი მოძრაობა მისი აღელვებული სულისა, როგორც მკითხავემა ყველაფრის მაჩვენებელ ჯადო-სარკემი. ენიშნა გამოცდილს და დაფიქრებულს, მთლად მიჰხედა. ოდესმე თითონაცა ჰქონდა ისეთი წუთები განცდილი. ხელმეორედ გადაუჭროლა ქალარას უკვე მინელეზულ-მიუყჩებულ გულზედ იმ უცხო მფრინველმა იშვიათმა, ერთხელ რომ აღმასის ფრთა შეახო იმის გულს და გაბაღთა უწყალოდ. დაენანა გულგაგმირული ჯეელი. სიამაყეც კი იგრძნო, რომ ის ძალუმად მიმზიდველი ანდამატი მის ოჯახში ამოიჩინი იყო, მის საკუთარ კერაზედ; თითონ მისი სისხლ-ხორცი შექმნილიყო ამ ფოლადივით ვაეკაცის მზიბლავ ჯადოქრად. თანაც დაენანა ბიჭი, როცა წარმოიდგინა, რა ცეცხლში უნდა გაეველო მას, მანამ მიაღწევდა თავის საწადელს, თუ კი მიაღწევდა როდისმე და სცადა ნუგეშისცემა:

— გამიგონე, ვანო! ხომ გახსოვს ის ზღაპარი, მზექაბუჯი რომ ჩაუშვეს ქვესკნელს? ცეცხლი უნდა გაეარნა, მანამ მიაღწევდა იმ ადგილს, სადაც დევს დაეჭირნა წყალი ცხოველი. რამდენიც უნდა დავიძახო: ვიწვი ამომიყვანეთ! მაინც არ ამომწიოთ, უფრო ჩამიშვითო, დაავედრა ზევითებს- აკი ვაეკაცურად გაიარა კიდევ ალი დამწვევლი და მოსპო ის დევი უზარმაზარი.

— მახსოვს! მერმე?

— მერმე ისა რომ ყოჩაღათ იყავ მეთქი! ჰირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო, გამიგონია ცხონებული დედნიჩეშისაგან, დააბოლოვა პაატამ.

და გასამხნეველად ხელი წამოავლო ახალგაზდას გაოფლიანებულ კისერზე. ოსტატმა იცოდა თავის შეგირდის დარდები, იმისთვის ეუბნებოდა ესე.

— რა აქვს ვანოს ჩვენგან დასაწუნი? სრულებით არაფერი ვერც დაიწუნებს, საბოლოვო უარს ვერ ეტყვის: მოუფიქრებლობა იქნება კარზედ მომდგარი ბედის ხელის კვრა და უარყოფა. როგორ შეიძლება თვალის არიდება ან ტუჩის აკვრა?! ეჰ, ალბათ მხოლოდ ინაზება ანიყო, მოსაჩვენებლად დაღება უკან; იქნება განზრახაც არ უჩვენებს პირს, დეე სურვილი უფრო გაუცხოველდეს, ქალისას ხომ ვერას გაიგებს ადამიანი. ვგონებ, გულის სიღრმეში თითონაც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ერთმანეთისათვის არიან ღვთისაგან დაბადებულნი, აიმედებდა პაატა თავის თავს.



— მაგრამ ეს ჩემი ბაბაღე რაღამ ასტეხა, რომ სულ იმას ჩასჩიჩინებებს თავის ქალს, უფრო კარგი ცხოვრების ღირსი ხარ, ფაქიზი-საო: სკოლაშიაც იმისთვის მიგეცი და წიგნი გასწავლეო. სწორედ ისა ჰრევს გოგოს. რა ეჩქარება. ქალი იჯდეს, ბედს ელოდდესო არა ქალი იჯდეს, ბერდებოდეს მეთქი, მაგრამ ვის გაავგონებ?! ის თავისას გაიძახის, მაკრატელიაო. იჯდეს! ვნახოთ, რომელი ბატონიშვილი მოუვა და შეეხვეწება, ახლა ის ვილაც მირონა აიკვიატეს. არ ვიცი, ღმერთმანი რა ვიფიქრო. არ მომწონს: ერთმანეთის საფერები არა ვართ; გული როგორღაც არ ენდობა, არა, მე ჩემი სიტყვა უნდა ვსთქვა და ჩემი ნება გივიყვანო! დაასკვნა პაატამ.

და წელში გაიმართა, რიხიანი შეხედულება მიიღო,

4.

— ჰა, ჰა, ჰა! ჩაიციანა ბარბარემ, როდესაც პაატა გასცდა ეზოს. რა გულუბრყვილონი არიან ე ვაეკაცები! ჰკონია რაღაცას ახალს მეტყვის ისეთს, რაც მე ჯერ არ ვიცი. დიდი ხანია მივხვდი, რაცა ჰნებავს ვაებატონს. კიდევ უთქვამს ნაყიშნაყიშმად თავისი გულისთქმა და ვერ მივხვდარა, რომ მე ერთიანად შეგროვილი მაქვს სხვადასხვა დროს მისგან ვადმოვდებული სიტყვები. მაგრამ ნუ იფიქრებ, ჩემო კარგო, გულშიაც ნუ გაივლებ მაგეების ასრულებას! იმისთვის არ გამომიზრდია ესე სათუთად ჩემი ანიკო, არც იმისთვის დამიჩავკრინებია ის სკოლაში, რომ პირველსავე მთხოვნელს მიუვდო. თუნდაც პირდაღრენილი მგელი იყოს ის პირველი მთხოვნელი, სახნის-საკეთის კარგი ჩამოსხმა გეხერხება, აყალიბე! გელაქნურის არჩევაც საგანგებოდ იცი, მოიტა! სხვა ყველაფერი ჩემხედ მოავდე, ოჯახის ტრიალი და წალმა ბრუნვა; მეტადრე ესეთი საფთხილო საქმე, როგორიც არის ქალის ბედ-იღბალი. პირდაპირ ჩენი მოვალეობა არის ეს, მანდილოსნების საზრუნველი, ამბობდა დედაკაცი.

და თან თევზსა სჭრიდა, რეცხავდა, მოსახარმად ამზადებდა. ცალი თვალი მაინც ქვებისაკენა ჰქონდა, რომელიც დულდა ბუხარში და ქოჩქოჩებდა. მორბედი არავინა ჰყვანდა გვერდით, მაგრამ მაინც ყველაფერს მარდათ აკეთებდა და ასწრობდა. გაიღო ოთახის კარი და შემოვიდა ქალწული მალაქუსლიანი თეხსაცმელის კრიალით. ხელში ფარჩის ნაქერი ეჭირა, სათითოე ჰქონდა ხელზე წამოც-

მული, აგებული ნემსი ებნია გულის-პირში, აბრეშუმის მოწითალო ძაფი ფოლაქს მოსდებოდა.

— რას აკეთებ დედილო?

— აი, გენაცვალე გელაქნურსა ვრეცხავ, დახე, რა მშვენიერია.

— ვანო რალა იქნა?

— არ მოსულა დუქნიდან. მამა შენმა მოიტანა ყველა ესე-
ო.

— თითონ მამამ?! სადილად მაინც არ მოვაო ვანო?

— არ ვიცი. რად გინდა გენაცვალე?

— დარიკომ საკერავი მანქანა მათხოვა და მინდოდა გადმამეტანიებინა. საღამომდის სულ მოვრჩებოდი ამის კერვას.

— მოეწონათ ფარჩა?

— მოეწონათ. მითხრეს, ძალიან დაგშვენდებაო.

— რატომ არ უნდა დაგშვენდეს ლამაზს კარგი ქსოვილი?! მანქანას მე თითონ გადმოგიტან ეხლავე; ხომ აგერ აქვე არის, მიუ-
გო დედამ

და ხელები შეიშრალა.

— აი მივდივარ, ქვაბებს ყური უგდე.

ქალმა გაიხადა ჯუბანა და ლურსმანზედ მიჰკიდა, ჩაიკვა სა-
შინაო კაბა: წაიძრო წულეები და ტახთ ქვეშ შეაწყო, ფეხი აზრუ-
მულ ჩუსტში ჩაყო; ჩამოუშვა ტახტის ფარდა, მიალაგ-მოალაგა იქაუ-
რობა. სხარტი ტანი ჰქონდა, შოლტივით მოქნილი და დახრა თუ
მიდგომ-მოდგომა ემარჯვებოდა, კიდევ უხდებოდა. ავიდა ტახტზედ,
მისწია ფანჯრისაკენ იანი ნალის ყური და ზედ მიიკვცა. ოთახში
ეს ადგილი ყველაზედ უფრო მოხერხებული იყო ხელთსაქმისათვის.
ნათელია აქ, აბანოზით დაგებული ფანჯრის დოლაბიც მარჯვე
იყო საკერავისა და მის ხელსაწყოს დასალაგებლად. გულდადებითა
ჰკერავდა, შახიან ფარჩას შრიალი გაჰქონდა მის ხელში. დახრილ
თვალეებს ტევრად მოსდებოდა შავი წამწამი: მუქ ლოყებზედ ვარდი
გაჰშლოდა. ფართოდ გაალო ვიშრის ტბის ბქენი და მიავლ-მოავლო
ფვალი გარშემო, მაგრამ ვერ შენიშნა მაკრატელი, რომელიც ამოჰ-
ფარებოდა იმისსავე მუხლს, და პირთან მიიტანა ძაფი, აღმასის
კბილით მოკვნიწა აბრეშუმში, პირის ნაყოფი ცოტა ფართე ჰქონდა
და ტ.ჩები მომხო. მაგრამ მათი მტკიცე მოხაზულობა ეშს აძლევდა
ბავეს; მისწრაფების ძალასაც აგრძნობინებდა, კოცნის სიმძლავრეს.



თმა გვერდზედ ჰქონდა ვაჟურად გაყოფილი და ჰაპანივით ნაწნავე-ბად ჩახლართული. შემოვიდა დედა.

— აი მანქანა. მანდვე მომართე ფანჯარაში. იცი, მამაშენს ვეტყვი უთუოდ გიყიდოს საკერავი მანქანა საუკეთესო: ყოველთვის სხვას ხომ არა ვსთხოვთ და შევებევწებით; ძალიან გვამადლიან, იპრანკებიან. მზითევშიაც ვაგყვება. მაინც ისეთ მდიდარ ოჯახში ხომ ვერ მოჰყვები, რომ სულ სხვას აკეთებინო ხელსაქმე და შენ მხოლოდ ქალბატონად იჯდე, უთხრა დედამ და დაუკოცნა შვილს ლოყა. ქალმა მადლობით შეხედა მოყვარულ დედას ერთს წამს მის ძუძუებში ჩამალა მისი სახე.

— ვინ იცის თევზი ჩაიხარშა, გენაცვა: არ დახედე?

— ესე მალე? არ დამიხედნია.

— ყოჩაღ. ქალო! არ ვიცი რა ეშველება შენს ინაბარასა შენ ოჯახსა და ქმარ-შვილს. წარსთქვა დედამ.

და გაეშურა ქვაბისაკენ. გასინჯა საქმელი, გადმოდგა, თევზი ქაფქირით ამოყარა ტაბაკზედ. ოშხივარი დადგა ოთახში. მადის მომგვრელი სუნი.

— მოდი, ქალო, ბარემ სუფრაც გაეშალოთ. საცაა მამაშენი შემოვა.

— იპ, შენ გაშალე, დედი! მე კიდევ ცოტას შევკერავ მამას მოსვლამდის; ეგება დღეს მთლად მოვათავო. სად წავიდა მამა?

— ლეინის მოსატანად გადაიარა.

— ვერ დასაქმებდა ვანოს? ამ ბოლოს დროს თითქო მეტისმეტად უფრთხილდება იმას მამა და ეხათრება.

— განა პატარა ბიჭი ღაა ხელწამოსაკრავი, რომ წარამარა არბენინოს შინათყენ თუ ბაზარში. ვაჟკაცია წვერ-ულვაშიანი. ცოტა ამაყი ახალგაზრდაც დადგა: საჭიროა ფრთხილად მოპყრობა. მამაშენი ძალიან აფასებს იმას და პატივსა სცემს; იმას რომ ჰკითხო, ვანოსავით ჰალალი, მუყაითი და მიხვედრილი ორი არ გამოვა ამქარში. გაზღვარზღვარება კი ძალიან იცის მამაშენმა; თუ მოეწონა ვინმე, სულით ხორცამდი მიენდობა.

— ამაყია თუ არა, მაინც უნდა მოსულიყო და ენახა, საქმე ხომ არა გვქონდა რა საიმისო. ჩვენ სახლში არის გაზრდილი, მამას გამოუყვანია ეგ კაცად და სრულებითაც არ შეეფერება ჩვენთან ზვიადობა; ჯერ მაინც ისევ მამას შაგირდი არის და ტყუილად მოაქვს თავი, სთქვა ქალმა.



და წარბი შეიკრა უსიამოვნოდ. ვანო რომ თითქო ოდნავ გაუდგა მათ ოჯახს, ეს თითონ ანიკოს ბრალი იყო; იცოდა ეს ქალმა ისიც კარგად ახსოვდა, როდის შელახა ვაჟის თავმოყვარეობა და დააქმუნა ის.

— არც გუშინა ყოფილა ვანო ჩვენსას, თითქო გაიბუტა. რა-ლა მეშველება! ძალიან გაყვინიზდი და გაიბუტნე, მე ვიცა უშენოდ ველარ გავძლებ, ლუკმა განიმწარდება. რახან ეგრეა, ზედაც აღარ შემოგხედავ! დაასკვნა ქალმა თავის გონებაში.

მაგრამ ამ დასკვნამ ვერ დაამშვიდა მისი ნაწყენი გული. ანიკო იმთავითვე ნაჩვევი იყო, რომ ვანოს თვალ-წარბში ეყურებინა იმისთვის, აცა რას მოისურვებს. ან რას დამსაქმებსო. რაც უფრო მოიწიფა ვაჟი, იმდენად მეტი მორჩილი შეიქმნა ქალისა და მონა: სიხარულით ასრულებდა ახალგაზრდა ყველა მის სურვილს, თუნდ ეინიან ბრძანებას. ვანო ჯილდოსაც იღებდა ამისთანა მორჩილებისათვის: ქალი ან გაუღიმიებდა, ან ლმობიერად შეხედავდა და ეს ვაჟს უფრო უხაროდა, სანამ თუნდა მუქა მარგალიტი. იწყინა ქალმა, როცა ნახა, რომ მის მორჩილ-მონას ძალა ეპოვნა და შესაძლო გამზდარიყო მისთვის აგერ ოთხი დღის განმავლობაში არა ჰხლებოდა მას. მორჩილებით არ დაეხარნა მის წინ თავისი თავმოყვარეობა თუ სიამაყე.

— ვიცე, რომ მოხიბლულია ჩემგან და მიკვირს, როგორღა ახერხებს განზედ გადგომას! ისეთი ვედრებით მიყურებს ხოლმე. თითქო ლოცულობსო ჩემზედ. იქნება დავკარგე ძალა მომჯადოები და ამ ჩემ თვალებს ველარ შეუძლიანთ რკინის ბორკილი დაადონ თავწასულს?! ენახოთ! იმუჭკრებოდა ქალი.

იმისთვის კი არა ჯავრობდა ანიკო, რომ ნანატრი ვაჟი ცდილობდა გაშვებოდა მას ხელიდან და თავი გაენთავისუფლებინა. არა! ვანოს არა სთვლიდა ის თავის ოცნებად არც მასთან სურვილით შეკავშირებასა ნატრობდა. მხოლოდ თავმოყვარეობა შეჰკლახოდა ეინიან დედოფალს, რომელსაც ყველა უნდა ესაუდეს, უანგაროდ ემონებოდეს. და თვით ამ უსიტყვოდ მორჩილებაში ჰპოვებდეს თავის კმაყოფილებას ფასდაუდებელს. ანიკოს დედამაც იცოდა ესეთი გულისთქმა განაზებულ-გაყვინიზებულ ქალისა და იმისათვის დიდ ყურადღებას არ აქცევდა მისგან ვანოს სახელის დაეინიანებას. გული გადახსნილი ჰქონდათ დედა-შვილს ერთმანეთისათვის.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

5.

ბარბარე დარწმუნებული იყო, რომ მის ქალს გაუჭირდებოდა ცხოვრება, თუ ისეთ ოჯახში მოჰყვებოდა დიასახლისად, როგორც იყო მისი სახლი. ხელოსნის ხელმოკლე მეკომურობაში თითონ დიასახლისი უნდა ირჯებოდეს ძალიან, რომ ქმრისაგან შემოტანილ ცოტა სარჩოს ბარაქა ჰქონდეს და გამტანობა: უნდა ალაგებდეს სახლს, ამზადებდეს საკმელს. უკერ-ურეცხავდეს ქმარ-შვილს, აწოვებდეს პატარას, უნდა შეეძლოს მიმსვლელ-წამსვლელის ფაქიზად და ხელგაშლით მიღება, გულსავესე გასტუმრებაც.

— დიასახლისი ჩვენს ყოფაში უთუოდ თვალ-ჰაზრიანი უნდა იყოს, ხელგამომავალი და მომჭირნო, რომ მცირედიც გააწვდინოს ყველაფერს და პირნათლად გამოიყვანოს თვისი კერა მტერთანაც, მოკეთესთანაც. დატანჯულია იმისთანა სახლში დედაცაცი. ჩემი ანიკო ვერ შესძლებს ამისთანა ყოფას, გაეწამება... თქვამდა თავისთვის ბარბარე

და ნატრობდა ასცდენოდა მის ქალს ეს ბედი. მართლა და ამისთანა ოჯახში დიასახლისის მოსვენება არა აქვს არც ერთს წუთს, მის სიამოვნებას მხოლოდ ის შეადგენს, თუ ხელს დაჰრევს ყოველსავე წვრიმალს და არ შეარყევს ცხოვრების სვლას განსახლებულ სადინელში, არ შეაყენებს საოჯახო საქმეების მწყობრ მიმდინარეობას. ერთი დღე მაინც უნდა დაჰყო ამისთანა დიასახლისის ოჯახში. თვალის ადევნო მის შეუფერხებელ ზრუნვა-შრომას, რომ გაეკვირდეს როგორ უძღვება ადამიანი ყოველს ეამს იმ დაუდგრომელ ფუსფუსს მოსაბეზრებელს ან როგორღა ინარჩუნებს გულის შუქს თუ ღიმილსიცილის უბარს. მხოლოდ მაშინ დაათასებ კერის დარაჯად გაწვდილს დაულალავ მარჯვენას და მოწიწებით აკოცებ მაჯაზედ, თუნდაც იგი ხელი ისე გათქათებული არ იყოს და სუნნელებით ნაპკურები, როგორც სათუთად მოვლილი მაჯა ფუნთუშა ძვირფასი მელევეანით შემკულ-დამშვენებული.

ბარბარეს ეშინოდა, ვაი თუ შესაფერი დიასახლისი ვერ დადგეს ანიკო ხელოსნის ოჯახში, ან ვერ აიტანოსო მომჭირნეობით მოზომილი ცხოვრება. ჯან-ღონე არ აკლდა ქალს არც თუ მინაზე-



ბულ-მიმტნარებული იყო აგებულობით, მაგრამ აზიზად იყო აღიარებული; სასწავლებელმაც უფრო გონების მუშაობისაკენ გადახარა ქალი, ააცდინა ჯანის გარჯას და ხელით შრომისთვის შეაზარმაცა. კარგადა სწავლობდა გოგონა, ის პაწაწა სასწავლებელი საგანგებოდ დაათვა, ოჯახის სასახლოდ, ისეთი ამხანაგებიცა ჰყვანდა იქ, რომლებიც უფრო უზრუნველი სახლებიდან იყვნენ და თვითონ არა სჭირდებოდათ მუშაობა თუ მორბელობა; იმათა ჰბამავდა პატარა და მით უფრო ადვილად, რომ სახლში გამრჯელი დედა ტრიალებდა და არც თუ ძალიანა საჭიროებდა უნცროსისაგან ხელის წახმარებას იმ შეძლებული ამხანაგების სახლში რამდენჯერმე მოჰყვა ანიკო სტუმრად და გულდასმით ათვალეირებდა სუფთად მცხოვრებ უზრუნველ ხალხს, სიამოვნებით ითვისებდა მათ ყოფას. ამის გამოც იყო, რომ მძიმე საქმეს ერიდებოდა შინ, ჭუჭყიანს. არ ეცალა მაშინ: სკოლას და მის მოთხოვნილებას უნდებოდა მთელი მისი დრო მეტადრე ძალიან უფრთხილდებოდა ანიკო თავის ხელებს. ერთხელ ლახვარიძეებისას იყო ამხანაგთან და იქ მოჰკრა ყური თავისზედ ნათქვამს:

— რა მშვენიერი ხელები აქვს ამ ბაღს! პატარები, სუფთად დაკვერცხილები. თითქო ვინმე კეთილშობილის ჩამომავალია და არა უბრალო მჭედლის გოგოვო.

ფრაზის მეორე ნახევარმა გული ატკინა პატარას, პირველმა სიტყვებმა კი ძალიან ასიამოვნეს. ამის შემდეგ მეტად უფრთხილდებოდა ხელებს. თათმანში ინახავდა, ცდილობდა ნიავს არ დაეშაშრნა სათუთნი ან ოფლს არ დაეღობო, არ დაეღიპა.

— შეიძლება ისეთ კეთილყოფაში ჩავვარდე, რომ კობტა ვაგები მეც ხელზე მკოცნიდნენ, როგორც ქალბატონ მაკრინეს, ლახვარიძის ცოლს. ვინ იცის?! იქნება ბედმა მჭედლის ქალს თავადი-შვილის ცოლობა არგუნოს და თავადის ქალი უბრალო ხელოსნის სახლში დასეას. შეიძლება! ბევრჯერ მომხდარა ასეთი ამბავი; ზღაპრად ხომ ხშირად გამიგონია. რატომო?! სკოლაში ხომ ვერვინა მჯობდა და ცხოვრებაში რალად უნდა ვიყო იმაზე მდარე, ფიქრობდა ქალი.

და უფრთხილდებოდა თავის სინორჩეს, ფაქიზად ინახავდა თავსა და ბუნებრივად, რომ უფრო სანდომი გამოჩენილიყო და სატრფიალო; თუ იღბალი მის კარს რაინდს მიიყვანდა შემკობილს, ქალის დანახვაზე კმაყოფილებას იგრძნობდა ის სრულს და განიშქვალდებოდა მის სიყვარულით. ეხლაც, ნემსს რომ ათაიაშებდა ხელ-



ში, ძალიანა ფრთხილობდა არ დაეკოდნა მწვეტიანი შუშა თითები, არ დაესახიჩრებინა ლამაზები. ჰკერავდა ქალი. ფარჩას აშრიალეზდა ხელში და თან ოცნებობდა, თავის მომავალს უღიმოდა, ვარდისფრად და სახავდა იმას, სამკაულებით ამშვენებდა ძვირფასად, ობოლ მარგალიტებით ამკობდა ხელისხელ სავოგმანებით. და მის ოცნებისაგან ნაქარვ სურათებში სრულებით არ მოსჩანდნენ მკედლის ჩაქუჩი თუ მარწუხ-მაშა, თერძის მაკრატელი, ქაფჩა კალატოზისა, არც არავითარი იარაღი სხვა ხელოსნისა; აღარა ჩანდა იქ დაკოვიტებული მარჯვენა ჯანით მშრომელისა. ნაკლულება და ზრუნვაც მთლად განდევნილიყო იმ არედან. ნათელი რამ მოჰფენოდა მის მომავალ სავანეს, უდარდელი ყოფის სიამე ყაყაჩოს ფერი.

— მის გვერდით მყოფი ქაბუკის სახე დალონებული? მისი სურვილით გაყენთილი ვანოს სურათი?

— ეჰ, აღარა სჩანდა იქ კვამლი ფარავდა იმას ანიკოს თვალთაგან, ხშირი რამ ნისლი. ქალი აღარც კი იხედებოდა იმისკენ, რომ აჩენილ ბოლს თვალები არ დაეწვა მისთვის, ცრემლი არ დაეჟურნა მათგან უამო.

ანიკო ნელ ღიღინს აყოლებდა ფარჩის შრიალს და შორიდან უღიმოდა ნანატრ სახეებს. დედა თვალს ადევნებდა თავის საყვარელ ქალის მომღერალ სახეს და გულში ალერსი უგუბდებოდა მღელვარე ველარ გასძლო შორიდან მზერა! მიეახლა თეხაკრეფით და ჩაჰკოცნა კისერში ნაწნავებ შუა.

— რა კარგი ხარ, გენაცვალე საამო, ტკბილი! უთხრა მოულოდნელი ალერსით შემერთალ ქალწულს.

და ცხადად წარმოუდგა დედაკაცს ის ეშხით სავსე კოცნა, რომელსაც მისთვის ბევრჯერ დაეტებო ტუჩ-ბაგე როცა ახალგაზრდობისას გრძნობით დამთვრალი ჩაჰკონებია ქმრის სურათ ყელს მკვიდრად ნაგებს და ამოუწოვნია იქიდან ძალა ტკბილი. მაინც ხომ აგებულობით ანიკო ძალიანა ჰგვანდა თავის მამას, როცა ის ჯერ ისევ ნორჩი იყო, აყიროსავით ტანშეყრილი, სავსებით სავსე სიმკვირცხლით თუ სიკისკისით ძლიერით. მხოლოდ ხელები გამოჰყვა დედისა.

6.

ანიკო რომ საკერავს ჩასჯდომოდა, სილამაზეს და თან თავის ოცნებებს შეჰხაროდ-შეღიღინებდა, თითქო კიდევ ცხადქმნილ თა-

ვის ნატვრებს, იმას რომ უკვე ნათლად წარმოედგინა თავისი მომავალი კეთილი ყოფა და სტკებებოდა იმითი თუნდ ჯერ ცხადად ასახულ პაზრთა არეში: ამ დროს დტრვინვით მოცული ვანო ვერ შემდგარიყო ერთს ადვილას, ნიადაგი თეხსა სწვავდა განაწამებს და არ აჩერებდა. დუქნიდან წასული მუხლჩაუდრეკლად გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაში; მთელი ავლაბარი შემოიარა შეუფერხებლივ: ბოღმა ბუშტივით აწვებოდა ყელში, ჯავრი აქანებდა თავის შავ ტალღებზედ, როგორც მსუბუქ ნავს საკე მიღეწილს: მოზღვავებული გრძნობები გულის აფრებს ჰბერავდნენ გრივალის ძალით და ლამის დაეშოთ იგინი, მთლად დაეგლიჯნათ.

ეს დარდი ნელ-ნელა გუბდებოდა ვანოს გულში და ეხლა ბოღმად ქცეული აშავებდა იმის ნათელ ბუნებას ხალისიანს, ახშობ-აშთობდა. მას აქათ შედგა ფოლადის ბიჭი ცეცხლივით მწველი ჯავრის ბილიკზედ, რაც აშკარად შენიშნა, რომ მისმა ანიკომ პირი მთლად იბრუნა მისგან და ნდომის თვალით აშკარად მიაპყრო ვილაც სხვას, გარეგნულად მასზედ უფრო სუფთად ნაწრთობ-გამოწვეპილს, მაგრამ გულმკადას და გაუტანელს. დიდი ვინმე არ იყო ანიკოს აწინდელი მეგობარი მირონა, ვილაც უბრალო მოხელე ლარიბლატაკი, ხელისუფალთ ნაძირალა გადაარეცხილი, და თუ ქალი ცოტა მაინც გამოცდილი ყოფილყო ან დაკვირვებული, მირონა მეტოქეობას ვერ გაუწევდა ვანოს; ვერც საბოლოო ცხოვრების უნარში აჯობებდა, ვერც ვაჟაკობაში, ვერც იმ ნაზ გრძნობათა საუნჯეში, ანიკოსთვის რომ ჰქონდა ვაჟს ქამბა-ატლასივით ფრთხილად შეკვეცილი და სათუთად დაცულ-შენახული.

— ეჰ, ვერაფერს ამისთანას ვერა ჰხედავს ცხოვრების ჯერეთ მთლად უცოდინარი ანიკო, ვერ არჩევს სირმა ჩაქსოვილ მტკიცე აბრეშუმს ვარაყშეყრილ თვალმახარა ბამბეულიდან. ეს მიშრობს სისხლსა და მკლავს უდანოდ. როგორ რა ვამცნო ან ვაგრძნობინო?!

მაინც რალაცა იმედი ჰქონდა ვანოს, რომ ქალი საბოლოოდ არ ვასწირავდა იმას, ჩაუფიქრდებოდა გონებას და ღირსეულად დააფასებდა იმის სიყვარულით დამწვარ ვაჟაკს, მოწყალე თვალთ გადახედავდა იმას და არ უღალატებდა არც თავის ჩამომავლობას, არც თავის წოდებას: ხელოსნის ქალი ხელოსანისვე სახლში დაბინავდება ამქრის ღირსეული შვილის გულის ვარდად, თავისთვისაც სასიამოდ. იმედის შუქი თავს დასთრთის ადამიანს თვით უკანასკნელ ამოსუნთქვამდის.



მართლა და რითი არ იყო ვანო მკედელთა ამქრის ღირსეული შვილი და დამამშვენებელი? როსტომივით მზარ-ბეჭიანი სხარტი კაბუკი, მკლავ ღონიერი, ჰაზრიანი და პატიოსანი, საკვირვლად მართალი. საცაა ოსტატად დალოცვენ მარჯვე ხელსანს. დღეს ვერც ერთი ამქრიდან ვერ გამოვა ისეთი ყოჩალი ბაირალტარი. ამქრობის დროს ისე ათამაშებდა ცალი ხელით მკედლეების მძიმე დროშას, თითქო ხუთ გირვანქიანი ჩაქუჩი უჭირავსო მისთვის ჩალასავით მსუბუქი.

— რითი მგობიან ის ვილაცა გაქსუებული ბიჭები? ლიტარას რომ მოიტანენ და აწკაპუნებენ იმითი? ან რომ ზედ საბრალოდ დასჩხავიან მითომ მღერიან, იმითი? კარგი, ანიკოჯან, გონს მოდი, საქონელს ან ფხა გაუსინჯე, ან ნაქედობა და ისე დააფასე! მაგრამ თვალი სხვა გზისკენ გაქვს მიქცეული და რალა გითხრა, რა გაავაგონო?! ჩაილაპარაკა ვაემა

და მიიხედ-მოიხედა: ციციანთ თავქვეს წასდგომოდა უგზო-უკლოდ სიარულში, სახლი კი მარცხნივა ჰქონდა, სირაჯხანის დაღმართის თავში, ვიწრო ქუჩის სიღრმეში. შწარედ გაელიმა და თავი გაიქნია: უაზროდ სიარულს არ იყო დაჩვეული და ეუცხოვა თავისი შეუწონელი მოძრაობა.

— გონებას აჰხდის კაცს ამისთანა არეული ყოფნა, მთავარ-ცნებას დაუბნევს! დუქანი უპატრონოდ გამიშვია და წამოვსულვარ; ისე უსაქმოდ დავდივარ, თითქო თელეთობა იყოსო დღეს. აფსუს მუშა ჯეელო! ან რას იტყვის ოსტატი, ეხლა რომ დაბრუნდეს დუქანში? ვინ იცის იმ ჰარამზადა ბიჭებმა თავი იპოვეს და ძირს დასცეს იქაურობა, გაიფიქრა ახალგაზრდამ

და აღარ დაეშო თავქვეხედ, გამობრუნდა, დუქნისაკენა ქნა პირი.

ვსთქვათ არ ვიყვარვარ, სულაც არ მოგწონვარ, ის რალა ცოდვის კითხვაა, რომ ვილაცეების თვალში მამცრობ შენთვის თავდადებულ ვაყკაცს, შენს სახეზე მლოცველს და პირჯვრის მწერალს?! იცი, შე გულქვაეო, რომ სისხლი გადამენთხა გულზედ, როცა იმ დღეს მიხზარი, წადი, თუთუნი შემოუტანე იმ ყმაწვილებსაო. განა რა ისეთი დიდკაცი გგონია ვილაცა მირონა, რომ მე იმის მორჩილი ვიყო და მოსამსახურე?! არ ეკადრებოდა, თითონ გახირებულიყო და ეყიდნა? შავ ქვას მოვართმევდი, თუ თითონ გაებედნა და დავესაქმებინე! მაგრამ შენ...

— აბა რა მექნა ან როგორ მომეხერხებინა უარი, როცა ჩემ-
 კენ შეთხოვნით გადმოატრიალე ეგ ავლაბრის მორფევით თვალები
 უძირო?! ახ, დამსაქმე, შენი ქირიმე, მიბძანე, რაც გინდოდეს! მეტყვი:
 ვანო, წადი ჯოჯოხეთში! წავალ. მეტყვი: ვანო, თავი მოიკალ! იმ
 წამს შენი ქირის სანაცვლო გავხდები. მაგრამ ნუ კი დამამდაბლებ,
 გენაცვა: საწყალი ბიჭი რომ ვარ, მეც ჩემი თავმოყვარეობა მაქვს,
 ჩემი თავმომწონეობით ვამაყობ. შენ ხელში არის ჩემი სული. მაგ-
 რამ მაინც ნუ დამჩაგრავ სხვის გასახარად, ნუ დამამცრობ: ძალიან
 მეწყინება. არა, აგისრულებ კი ყველაფერს, მეტი რა გზა მაქვს?!
 მაგრამ გულს მომიკვდება, გავტყდები. ხომ მაშინაც აგისრულე ბრძა-
 ნება, თუმცა თვალჯბში სისხლი მაწვებოდა, მუშტები თავისთავად
 მეკმშებოდა. საშინლად მეწყინა. აკი აღარც მოვედი მას აქეთ თქვე-
 ნსა. ოსტატსაც კი ვეურჩე, აღარ დაუჯერე. იქნება ვერც კი შენიშ-
 ნე ეს, ჩემი თქვენთან მოუსვლელიობა: გულცივი ხარ ძალიან, ჩემთ-
 ვის გულგაყინული. მაგრამ ახლა ზოგიც მე მნახე, რა ცუცხლში ვარ
 და როგორ ვიტანჯები: ადგილი ველარ მიპოვნია, რომ დავისვენო
 ფეხი ჩავიდრიკო. ნუ იზამ, გენაცვა მაგას! ამოიკვნესა ვაჟმა

და ფეხი ააჩქარა. ფიქრმა გააჭკრა, შინ შებრუნებულყო, თავის
 სახლში ესადილნა დედასთან, გაეცნო კიდევ იმისთვის თავისი
 დარდი, ძირდიდასავით რომ ამოჯდომოდა ზედ გულის წვერზედ და და-
 ეიარავებინა ის საცოდავად, მაგრამ მაინც დასძლია მოვალეობამ და
 დუქნის გზას შეუყენა.

ძალიან კარგი ქმნა ვაჟაკმა, რომ შინ არ წავიდა: ველარ მო-
 ითმენდა, თავის ხეაშიადს გაუზიარებდა დედას და მერმე სანანუ-
 რად გაუხდებოდა ეს. მისი დარდი მთლად პირადი იყო, საკუთრად
 მისგან მოსავლელი და სხვა ვერავენ გაიგებდა მას სავსებით, ვერც
 ჩასწვდებოდა. თანაც ერთობ სათუთი იყო მისი სვედის საგანი და
 სხვის თვალი თუ სხვის ხელი, თუნდ მოყვარული დედის შეხება,
 შეტკმშავდა იმ უცხო ყვავილს, ფერს შეუშლიდა ციაგის მფრქვე-
 ველს.

იმისთვის აღარ მიბრუნდა ვანო შინ, რომ ცხადად წარ-
 მოუდგა ბიჭების ინაბარად უპატრონოდ დატოვებული დუქანი და
 იგრძნო რა შეუნდობელი ცოდვა იყო ეს იმის მხრივ.



დაიუცაკურებდნენ ღუქანს და სულ აჭფუტყინდნენ იქაურობას. წავალ, დაეხედავ, სადილსაც ღუქანშივე ჩამოვატანინებ, გაიფიქრა იმან

და გასცდა ქუჩას, გადასჭრა მოედანი, შეუხვია მეტეხის თავ-ქვესაკენ მიშავალ ქუჩას: აქა ჰქონდა პაატას სამუქედლო გამართული. მართალი გამოდგა ვანოს გუმანი: უფროსები რომ გაეგულებინათ ღუქნის ბიჭებს, დაეგდოთ საქმე ხელიდან და კიდაობა გაემართათ გრდემლის გარშემო. ისე იყვნენ გართულ-გალექებულნი, რომ ვერ შენიშნეს ვანოს მისვლა, სინამ არ დაჰკივლა და მუშტი არ შეუმალა. უეცრად გაიფანტნენ გაონაერებულები: გამოცდილებით იცოდნენ, რა მძიმე ხელი ჰქონდა პატარა ოსტატს. გადარჩნენ ცელქები: ვანომ წყნარად დაუშვა მჯილი, მიაღაგ-მოაღაგებინა იქაურობა და ყველანი დააყენა სამუშაოზედ. ჩაუდგა სათავეში მძიმე საშრომს, რომ საქმისათვის გადაეყოლებინა გული და როგორმე გაეფანტა დამზავებელი შავი ფიქრები: ისიც საჭირო იყო, რომ ხელებში წამდგარი ღონე გადაედლებინა საზელ-საკვერად გახურებულ რკინაში, თორემ ბოღმა მორეულს ნაღლევი ძალა მხარ-მკლავში უვლიდა გრიგალის ტოტივით და ზრზნიდა მას, უნებლიეთ უსხნიდ-უძაგრადა თითებს გამქექვარის სილის სატყეცად, დაღად რომ დაესმის ღუშმანის ლოყას და ზრიალ-შრიალით გაივლის ყურიდან ყურში.

— ჰა, მირონ, მიფრთხილდა! როგორღაც არ მომწონს შენი თვალები, არც შებლის აფსკა.

— ხომ არავინ ვაგაჯავრა, ოსტატო, რომ აგთებია თვალები და თავს იქნევ, თითქო იმუქრებო? შეეკითხა ტილუა

და მოქნეული ხვედა ჰაერში გააჩერა. შედგნენ სხვა შემალღებული თუ დაშვებული ჩაქუჩებიც პასუხის მოლოდინში. ქშენა შეაყენა ფუქსმაც, სული შეიგუბა. ვანო მოეგო თავს, მოავლო თვალი იქაურობას და დაჰკივლა:

— ჰაი, თქვე ყურმუსაღებო! ვაცივდა რკინა, დაჰკათ! დაუბერე!

ხელახლად აგრვეინ-ატკრციადნენ ძალუმი ხვედა თუ კვერები, ხმა შეუწყო მათ გრდემლზედ არაკრაკებულმა ოსტატის ჩაქუჩმა, აქშინდა საბერველი, ქშელით ამოქანდნენ ქურიდან ცეცხლის ენები. ჟინელილად გადიშალა, ბუნჯგალ-ბუნჯგალ გადიფანტა ნავარვარევი რკინის ნაფერფლი; ნაპერწყალთა ელვაში გაეხვია მთელი სამუქედლო. ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ უშვეს ხელი საქმეს და ვანომ მიჰპართა ტილუას.

— წადი, დედაჩემს უთხარ. სადილი აქ გამომიგზავნოს. ჯერაც არა მიქამია რა. მე თითონ ვერ მოვალ, ოსტატი ღუქანში არ არის.

— რაღა სადილის მოტანა გინდა, დიდმა ოსტატმა აქი გამოგიგზავნა ყველაფერი?!

— დიდმა ოსტატმა გამომიგზავნა?: როდის, ბიჭო?

— შენ რომ მოხვედი, მეც ახალი მოსული ვიყავი იქიდან, თითონ ანიკომ ჩაალაგა ყველაფერი და ხელსახოცში გამომიკრა. ამენდე! ღვინოც გამომატანეს ხელადით; მთელი ტიკქორა ღვინო მოეტანა ოსტატს მარკოზასაგან. კახურიაო.

— ბაბაღე რაღას აკეთებდა, რომ ანიკომ ჩაალაგა?

— ოსტატის ცოლი სუფრასა შლიდა და ანიკომ თითონ უთხრა, ვანოსითვის მე ჩავალაგებ, რაც საჭირო არისო.

— რატომ მაშინვე არ მითხარი, ბიჭო, რა წამს შემოვედი?! წარსთქვა ვანომ

და გახსნა ხელსახოცი, ყველაფერი წესზედ იყო ჩაწყობილი და კარგი; პურიც კი კობტად იყო დაჭრილი; მოსიყვარულე ხელით შეთხზილ შოსაკიოხსა ჰკვანდა. ძალიან უამა გულდაჩაგრულს, გაეხარდა. სკამდა მოზღვნილ სანოვავეს და სასოებით ივსებოდა, იღუმალი რამ იმედი ღვივდებოდა მის სულში, იზრდებოდა ნუგეში შორეული შუქით გამოთხარი, თუმცა ვერაფერ საფუძველს ვერა ჰხედავდა იმის გონება ამ სასოებისთვის. მაინც აციაგებდა იმის ბუნებას ეს მცირედი ნიშანი თანაგრძნობისა, თითქო ხსოვნისა, მზრუნველობისაც. შავ-ბნელად მოქუშულ ციდან რომ დაეკრავს სხივი უჩინარ-ქმნილი მზისა და გულს გაგიშუქებს ზეციური მოციქული მაკოცხლებელის მნათობისა, იმ შუქის ძალა ჰქონდა ამ მცირედ ნიშან ყურადღებისას. სეთისკვერს ვერ მიიღებდა ვანო ისეთი წმიდა გულით, როგორც შეექცეოდა ეხლა ამ სანოვავეს, ღვინოსაც სწორედ ზედაშის გემო ჰქონდა და სიწმიდე. ანიკოსაგან ხელნახლები იყო ეს ყველაფერი და იმისთვის იყო ესეთი კარგი მწვანელიც, გელაქნურიც, ხორციც, ყველიც, პურიც და ღვინოც. ვერ მიჰხვდი?! მაშ თავისთავად როგორ შეიძლებოდა ესეთი გემრიელი ყოფილიყო ხორაგი?! ისადილა, ბიჭებსაც მიუპყრო. ძალიან კარგ გუნებაზედ დადგა. ცოტა შეისვენა და ისეთიეშხიანი მუშაობა გააჩალა ღუქანში, მტერსაც კი უამებოდა. ატრიალებდა გახურებულ რკინას მარწხით, საოსტატო ჩაქუჩით უკვერავდა მას გვერდებს თუ წვერებს და თან ფიქრობდა თავის საფიქრებელს, ნატრობდა თუ ოცნებობდა ფერად-ფერადად



და ერთად-ერთი საგანი ამ ფრთიანი ფიქრებისა იყო მისი ოსტატის ქალი ანიკო.

ახალი არ იყო ეს ფიქრი ვანოსათვის. ამ ოცნებას ბალობი-დანეე თავს ევლებოდა ის, მაგრამ ისე საიდუმლოდ ინახავდა თავის გულში, ისე სათუთად, როგორც ობოლი მარგალიტია დაცულ-დაფარული ზღვის ფსკერზედ მტკიცე ნიჟარაში. რაკი ვანოს დედამ თავისი ბიჭი მკედელ პაატას მიაბარა და რაკი გაიცნო იმან ოსტატის პატარა ქალი ანიკო, თავისი გზის მამუქებელ ნაპერწკლად დასახა ის სუფთა და პაზრიანი გოგონა. ანიკო თამამად იყო სახლში აღზრდილი და მაშინვე თავის მორჩილ მორბედად გაიხადა დუქნის ახალი შაგირი. ხომ ქუჩის ბიჭი იყო ვანო, თითქმის უპატრონოდ მოწანწალე, მაგრამ გული მაინც წმინდა ჰქონდა, სიყვარულის წყარო უდიოდა იქ ანკარა და ყველა თავისი სუფთა გრძნობები, რომელიც კი ჯერ არ წაერეცხა ხელშიშვებულ ცხოვრებას, გარს შემოახვია ცქრილას, თავს შემოავლო. ისე დაემორჩილა მას, როგორც ნასყიდი მონა ყურნაკვეთი. მეტადრე უხაროდა ბიჭს, როცა სკოლაში აცილებდა პატარას. ხომ თავის სახლში ეძინა, დედისას, მაგრამ არასოდეს არ დაუგვიანდებოდა ოსტატისას მისვლა, ბალოს ჯერ ჩაიც არ დაეღივნა, როცა ვანო პაატანთა გაჩნდებოდა, რომ გაჰყოლოდა ანიკოს სასწავლებელში. როგორი ამაყად მისდევდა! რაინდი იყო, მზეთუნახავის დარაჯად მიჩემებული. ბაყბაყს შეებრძოლებოდა. თუ გაჰბედავდა სამ თავიანი და მრუდე თვალით შეჰხედავდა პაწაწას. ყოველთვის კი არა სჭირდებოდა ქალს გაცილება, მაგრამ ზამთრობით, როცა გვიანა თენდებოდა, ან წვიმა-ტალახში უთუოდ საჭირო იყო თანა ჰხლდებოდა მას ვანო. ბევრჯერ აუკიდნია პატარა ან აუყვანია, რომ ტალახისთვის აეცალებინა ის ან ქუჩაში მდინარედ წამოსულ ნიაღვარზედ გადაეყვანა.

— პატარაობიდანვე ძალიან შევეჩვიე! წვიმიან-თოვლიანი დღე უფრო მიხაროდა, რადგან მაშინ უთუოდ გამაყოლებდნენ სკოლაში და იქიდანაც მომამყვანინებდნენ. ბევრჯერ გამიყინიანდებოდა გზაზედ; გაჭირვებულს მუხლებითაც ჩაუშეშებივარ, აკიდებული რომა მყოლია. აყვანილიც ბევრჯერ მომიყვანია. რამდენჯერა მჯდომია ანიკო ამ მარჯვენახედ! გაითიქრა მურაზ აშლილმა

და ძალუმად დაძაგრა რვალივით მკლავი, რომელსაც ისე გულდინჯად შეეძლო დაჰნდობოდა ანიკოს მთელი თავისი სიმძიმით, როგორც გვრიტი ღულუნა მუხის ტოტს კუერიანს.

— მიხაროდა, როცა მეტყოდა, ეს მიყიდე, ის მომიტანეო. პა-

ტარა ვიყავი და მეხალისებოდა. ეხლა აღარ შემშვენის ისეთი მორჩილება დიდი ვარ, ოსტატად დასალოცი ვაეკაცი. არა! ეხლაც მიხარია, თუ რასმე ვასიამოვნებ იმას, გული მეღება, მაგრამ ეს მაშინ. თუ პირად იმას ვეხმარები და ვაამებ. სხვის მორჩილება კი, თუნდ იმისი ბრძანებით სხვის საქმის კეთება და შერშე იმისთანისა, რომელიც ღირსიც არ არის იმის კაბას მოჰკიდოს ხელი...

— კარგი, ანიკოჯან, თავს ჩაუფიქრდი! ნუ კი წააგებ საქმეს, სანანურ რასმე ნუ გააკეთებ! ნურც მე დამჩაგრავ ისე ძლიერად! ეტყოდა ახალგაზრდა თავის სატროფოს სახეს

და დარწმუნებული იყო, რომ ანიკოს ესმოდა მისი თქმა, ადრე თუ გვიან ყურადღებას მიაქცევდა მის ამონაკენეს, შეიგნებდა მის წრფელ ნატვრის სიკეთეს თუ სილამაზეს.

(შემდეგი იქნება)



ა. კუმბაძე

ნაგვიანვეი ყვაილი

ნ. დ. ს.

მქონდა წალკოტი თვალწარმტაცი თვისი შვენებით,
რაგინდრაფერი ვარდ-ყვაილით ნაქარაგნევი,
ია, ზამბახი, ვარდშროშანა, დედაფუტკარა,
ნაზი სიტურფით მოქათქათე ონტოფა თეთრი,
მიხაკი, სვინტრი, ფურუსულა, მორცხვი დაფინე,
სისხლის წვეთივით გაბურღული ქაშანის ვარდი,
მინდვრის ყაყაო, მაკინელა. დედოფლისთვალი,
სუნნელოვანი ბარამბო და მქრალი სუმბული.

რაც კი ცისქვეშეთს გულუხვობით წარმოუშვია:
ფერადი, ამო და სასიხმრო.

ყველა იქ მქონდა გადმონერგილი.

თავს ვეველებოდი ყოველ მათგანს თბილ მზრუნველობით,
ვიცოდი ენა სააშიყო, სალოლიაფო,
ათასი სიტყვა მოვიგონე შესალოცავი,
შურიანის თვალს ვარიდებდი გასათვალავად.
მაგრამ დასწივლა ჩრდილოს ქარმა სასულთათანო,
გათოშილს მკერდზე მიიხუტა ხატულეები,
არ შეიბრალა არც ნალეაწი, არც ჩემი გული,

დამინარჩუნა სავალალოდ მხოლოდ ჩხირები.

და აჰა, ეხლა, როს მზის სხივი გაჩალისფერდა,

როს ცივი ქარი დაქიხინობს დამქკნარ წალკოტში,

ნაგვიანვეად აღმოცენდა უცხო ყვაილი

და ლამობს კვალად დამიბრუნოს დრო სანეტარო,

მწუხრის ბინდისას გაიფურჩქნა ანახდეულად,

როგორც მიჯნურის სამარეზე მტირალი ქერივი,

მორცხვად აკმია სუნნელება თავებრუდამხვევი

საშემოდგომოდ გამაზადებულ ბალის მიდამოს.

შეხარი ობოლს შიშნარევი გულისფანქალით,

ნაღვლით სულს გესლავს ნაჩქარევი სიცოცხლე მისი,



არ ვიცი რა ვქნა, რა ვუწამლო ხანმოკლეობას,
 რით დავიფარო სასურველი ზამთრის სუსხისგან!..
 მითხარით, ბრძენო, მარადობის მოტრფიალენო,
 სად გაქვთ თილისმა უკვდავების სანეტარკამო,
 მინდა ვაპკურო მის მჭრალ ფურცლებს წმიდა იაზმად
 და ვახანგრძლივო წარმავალი წუთის სტუმარი.

ამაო იყო ჩემი ვედრება!

მაშინ ლარნაკად გადვეშალე მყის ჩემი გული
 და იქ გადავრგე სანუკვარი, უცხო ყვავილი.
 განა მისწვდება მას აწ სიკვდილი?!

დედა-ქალაქი, 1918 წ. იანვარი.



აკაკი პაპავა

„სოლელილორ“

სათაურს ამ მოთხრობას მისსა და ჩემს სიყვარულზე მე ვაწერ. ეს ლირიკა ორთავესია, მაგრამ ჩემი სტრიქონები უფრო მკრთალია და მცირე. მისი კი უფრო ფერწასული, მაგრამ ვისაც უყვარს გააჩნევს. მე კი გავარჩიე, რამდენჯერმე გადამიკითხავს.

გადაიკითხეთ თქვენც.

«გულღია და წრფელი მხოლოდ მაშინა ვარ, როცა სრულ მარტობას განვიცდი; ჩემს თავს არას ვუმაღავ. მაგრამ ეხლა შემთხვევით ფანჯრიდან ბაღში გადავიხედე და ხეივანზე აყოლილ იასამანის ყვავილიდან შენი თვალები შემომაცქერდნენ, თითქოს მისაყვედურებდნენ: „ნუ სწერ... სულ ერთია, რაც იყო იმას ვერ გამოსახავ, დაამახინჯებ და დააწვრილმანებ დიად სიყვარულს...“ თვალს აღარ მაშორებ და შენს გრძელ წამწამებზე ანკარა ცვარი კრთის — ალბად ჩემი ცრემლი თუა; რანაირად შემიძლია ამ ყოფაში რაამესი თქმა, წერა? გამშორდი ცოტა ხნით მაინც. სულო ჩემო! გადაიფარე მაგ ქოჩორა თავზე იასამანის ყვავილის ხავერდიანი ფოთლები... იყუჩე, ნუ მეტყველებენ შენი თვალები და ნუ ლა მიშლიან მწარე გრძნობებსა.

რა დიდი ხანია მას შემდეგ! არც იმდენი; მგონია მესამე წელია და ჩემთვის კი... ოითქოს მოვხუციდი, ოითქოს მთელმა საუკუნოებამ განვლო, მაგრამ ამ ხანმა ოდნავადაც ვერ დაჩრდილა ჩემი სიყვარული, ვერ დაასუსტა იგი.

დღედაღამ შენზე ვილოცავ, ახალ ფსალმუნს შეგიტხზავ, ოღონდ ცოტა ხნით შეება მომგვარე, ნუ მიცქერი ნალვლიანის ღიმილით; ნუ დააქროლებ იალქანს ჩემის სულის ფსკერზე, ნუ მიწეწავ გულს; ვერა ხედავ ყველაფერი გათავდა? ჩვენ ჩვენის გზით წავედით და დავშორდით ერთმანეთს სამუდამოდ. მაშ რად არ მომეც ჩემი სულის ნატეხი შენმა თვალებმა რომ მომტაცა პირველ დანახვისთანავე... ნულარ მკლავ მეთქი...

მოვიგონო ყველაფერი? გავიხსენო ის ღამეა ზღაპარი, რომლის



მზგავსი მე საწყალს არასოდეს მსმენია? კარგი, ოღონდ ერთი პირობა—ნუ მიცქერი, ჩამოშორდი ჩემს თვალებს...

2

ღიახ, ორი წლის წინად...

ბ—ში სააგარაკოდ ჩამოველ; ალბად ჯანმრთელი ვიყავ, მაგრამ გული მაინც იწვედა. იგი გრძნობდა რომ შენ შეგხედებოდა და შენის ღიმილის სარკედ იქცეოდა. და როცა იმ მშვენიერ დილას სასაქონოდ გამოველ, ღრმად მწამდა რომ იმ კაკლის ხის ძირას გიხილავდი, სწორედ ისეთ კეკლუცსა და მოუსვენარს, როგორც გიპოვე. რანაირად ჩამეჭდო გულში ეგ სურათი.

— დილა მშვიდობისა, ქალბატონო!

— გმადლობთ... თქვენც აქ ჩამოხვედით? რა კარგია, დაბრძანდით... არა, ცოტა აქეთ, ახლოს. მანდ ჩემი პაწია თაიგული დევს არ ვასრისოთ...

— მართლა. უკაცრავად! იფ, რა მშვენიერი თაიგულია!

— ვახსოვთ, როცა გიმნაზიელი იყავით, სააღდგომოდ რომ იის კონა მომიტანეთ?

— ჰო, მაგონდება.

— ჰაი, თქვე ცელქო; როგორ ჩამაცივდით—ყურში მინდა გითხრათ რამეო და ჩუმათ ზედ ყურზედ მაკოცეთ.

— მართლა? ეგ ზავური სისულელეა, ამგვარი ხშირად ჩამიდენია... კარგია, რომ ყველაფერი ვახსოვთ. თითქოს მეკი არ მახსოვდა... აკი მარტო იმ ტკბილის მოგონებით მედგა სული, აკი მუდამ მტანჯავდა ის კონა.

— ეხლა მე გადაგიხდით სამაგიეროს. განაგრძე უზრუნველი ტიკტიკი და ცვარით ნაბანი თაიგული მხურვალე ლოყაზე შემომკარით.

— გმადლობთ.

— არაფრის; ეხლა ეს თაიგული თქვენთვისვე მიჩუქნია.

ძველ მათრახს მე არასოდეს ვხმარობ.

თაიგული ხელში ავიღე და მადლობის ნიშნად ქუდი მოვიხადე.

— კარგია, ღმერთმანი, რომ ჩამოდით... საშინელი მოწყენა იყო, თითქოს ყველა ჩემთვის გარეშეა და არც არავის შეუძლია მეგობრობა გამიწიოს ოდნავ მაინც. მარტო ნიკოსთან ვმეგობრობ, თქვენ მას იცნობთ რ—დან.

— კოკლ ნიკოსა?

— რა ვუყოთ რომ კოჭლია... სამაგიეროდ მას მდიდარი, კარ-
გი სული აქვს, ფაქიზი გრძნობა. მე მომწონს.

— მეც მის წინააღმდეგ არაფერი მაქვს. მეტად ჰკვირავს და
კეთილი ყმაწვილია. აი სწორედ თქვენ გისურვებდით მისებრ ქმარს.

— მართლა?

— მე გულწრფელად გეუბნებით.

— მჯერა.

სიჩუმე.

— მე არა ვარ ღირსი...

— რათა? გნებავთ მომანდევთ ეგ საქმე;

— ლეთის გულისათვის... რას ამბობთ, არაფერი წამოგცდეთ, მე
რალაცას ვხუმრობდი.

განა აგრე გეშინიათ თქვენი სიყვარულის შედეგისა?

შენ არაფერი მიპასუხე, მხოლოდ პირველად ხანგრძლივ ჩამა-
ჩერდი თვალეში და... ეჰ, ვინ იცის რა არ მითხარი, რა ტალღები
არ აატოკე მაგ უფსკრულში!

— აა! აგერ ნიკოც. როგორ გასწორებია ფეხი, თითქოს არც
ამჩნევია კოჭლობა. მიცან ნიკო? სალამი... ხომ კარგადა ხარ? რას
გაწითლდი, ჩამოჯექ... რა ამბავია, აქ ქალები ჭავიგოციებია, თავს
იკლავენ. აი, ამ დილითაც ერთმა ბანოვანმა ეს თაიგული გადმომცა
შენთვის.

— ვინა?

— ეგ სულ ერთია, შემდეგ გაიგებ, წაილე. ხომ მოგწონს?

— კარგია; დიდი ხნით ჩამოხვედი?

— არა.

სიჩუმე.

— უკაცრავად, მე ეხლა ხელს გიშლით და დროც არის წავი-
დე, აქ რამდენიმე მეგობარი ქალები მყვანან, უფრო იმათ სანახავად
ჩამოველ და აბა რას იტყვიან...

— თავიდანვე გატყობდით, რომ ვილაცასთან მიიჩქაროდით,
ნალელიანად დაილულუნე და თმა შეისწორე, საშინლად ლელავდით
და წასასვლელ მიზეზს ეძებდით.

— რასა ბრძანებთ ქალბატონო! იყო ჩემი თავაზიანი პასუხი.
მე სიამოვნებით, მაგრამ... ან კი და სულ ერთი არ არის, ნიკო უკვე
მოვიდა!!

— რასაკვირველია, ნახვამდის!! და შენ ხელიც კი არ გამო-
მიწოდე.

— შვიდობით.

— სერგო, ჩამჭურჩულა ნიკომ, სალამოზე სახლში იქნები? სათხოვარი საქმე მაქვს ცოტა.

— სიამოვნებით.

— სადა ცხოვრობთ?

— 3—ს ქუჩაზე № 18. მშვიდობით!

შენი თვალები კი შორს გაიციქირებოდნენ და მე მხოლოდ ყურებს ვხედავდი, პაწია, ლამაზ ყურებს და ვერ ამომეხსნა: რომელ მათგანს გავანდევი პირველად ჩემი საიდუმლოება, რომელზე აღიბეჭდა ჩემი კოცნა? და მე ღრმად მწამდა, რომ ამ წუთას შენი თვალები ცრემლებით იყო სავსე.

ხელთათმანი დაგივარდა დაიხარე და უცებ შენს წამწამს მოსწყუდა ერთი ანკარა ცრემლი, ბალახს დაეცა და ცვრებში გაერია.

თითქოს არა შემიმჩნევია რა და ჩემთვის ჩავილაპარაკე: „რა მშვენიერი დილაა, ნამდვილი სამოთხის დილაა“.

-- ნიკო, გაისმა შენი ხმა, შენ მაინც არავის უცდი მგონებ, გავიაროთ იმ ხეივანისაკენ, კარგია.

— სიამოვნებით, მოგივოთ მან და ჯოხითა და თაიგულით ამოგიდგა გვერდით.

— შენც წამოდი ცოტაზე. თუ ძმა ხარ. მთხოვა ნიკომ.

— გმადლობ, მაგრამ ხომ იცი, მიცდიან

— რად უნდა ხეყნა! ალბად ის მეგობარი ქალები უცდიან.

— რა თქმა უნდა. იყავით კარგად... და გაგშორდი.

ალბად მგზავრობამ თუ მაწყინა; საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი, თანაც სიცხე მიმატებდა. სახლში მივედი, დავეწექი და ფიქრებში წავედი; ვფიქრობდი ჩემს ავადმყოფობაზე, სიკვდილზე, ნიკოზე და მუდამ შენ მიდექი თვალწინ. სალამოზე ნიკოც შემოვიდა და რაკი ავადმყოფობა შემამჩნია, აღარაფერი მითხრა თავის საქმეზე, მხოლოდ სიცხე გამისინჯა და რალაც წამლები გამომიწერა. მეორე დღითვე შესტუმრენ ჩემი ნაცნობი ქალები: სონა და ქეთო. მე თუმცა ისინი არ მომწონდენ, მაგრამ მეტად მეტრალეზოდნენ, რადგან ორთავეს მიზანს გათხოვება შეადგენდა და მაინც ვერ თხოვდებოდნენ; უფ-

რო საცოდავი იყო უფროსი და ქეთო, რომელიც ყველას წინაშე ღამნაშავედ სთვლიდა თავის თავს და მუდამ მიწაში იტკირებოდა. მისი გათხოვების იმედი თითქმის აღარავის ქონდა, რადგან ხნიერად ითვლებოდა.

— რა დაგმართნიათ? არა გცხვენიათ, ჯერ არც კი ჩამოსულხართ და დაწოლაც კი მოასწარით. არ ისვენებდა უცროსი და სონა, ოთახს მილაგებდა და სიცხეს მისინჯავდა, საზოგადოდ მეტის მეტ მზრუნველობას იჩენდნენ ორივე დები.

— ეხლა შენ საქმელი გინდა, ნიკომა სთქვა ქამას დაეძალოსო; რა გიამებია?

— არაფერი.

— როგორ იქნება, რამე უნდა სჭამოთ. ჩაერია ლაპარაკში ქეთო და მისი თვალები სიბრალულით აივსო.

— ქეთო, მიმართო მას სონამ, მე აქვე პაწია წიწილას დავაკვლევინებ და შევწვავ, თანაც ნიკვზის წვეწვს გაუუკეთებ, შენ კი აირბინე ახლოს და შავი ლეინო მოუტანე სერგოს, ნიკომ სთქვა მოუბღებო, ყველაფერი ექმებო.

— ნუ სწუხდებით, არა მინდა რა ღმერთმა იცოდეს.

— არ შეიძლება! გაწყრა სონა.

— მე ვიცი, რომ თქვენ შემწვარი წიწილა გიყვართ ნიკოზის წვეწვითა და ძმრით, გახსოვთ ჩვენსა იმ ღამეს?

და ამ სიტყვაზე ქეთომ ჩაიციხა.

მე ვიცოდი არაფერი გამივიდოდა მათთან და დავჩემდი. შემდეგ დაღლილობა ვიგრძენ მუდმივის ფიქრებისაგან და თვალები დავხუჭე, თუმცა ვიცოდი არ დამეძინებოდა.

— აბა მე წავალ, წაიბუტბუტა სონამ და ფეხის წვერებით, ჩემად გავიდა სამზარეულოსაკენ.

გაისმა ნელი ხმა ზარისა; თითქოს ჩემს გულს მოსწიეს და დარეკეს, ისე ძლიერად დამიწყო ტოკვა... არ ვიცი რად, მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ რეკდი; თვალები უფრო ძლიერ დავხუჭე; ქეთო ადგა და ნელა გაალო კარები.

— უკაცრავად, გაისმა შენი ხმის ძვირფასი რაწყენი, სანდრო აქა სწევს, მგონია ავად არი?

— დიახ, მობძანდით.

კარები მიხურეს; რამდენიმე ნაბიჯი და მე ვგრძნობ, რომ შენ ჩემს ახლოს დგებარ, შენი სუნთქვა მესმის, შენი გულის ცემა



სიღრმეში შწვდება.

— სძინავს?

— ეხლა მიეძინა, დაჯანცულია.

— იმ ადამიანს, რომელსაც ყველაფერში სძულს ზომა, მუდამ ასე მოუვა. მოუსვენარია; ასეთი იყო მუდამ

— დაბძანდით.

— გმადლობთ.

სიჩუმე.

— სიცხე დიდი აქვს?

— არა; წელან 38 ჭონდა. უკაცრავად, თქვენი სახელი?

— თიკო.

— თიკო... მე ეს სახელი ხშირად გამიგონია სერგოსაგან. მაშ, თიკო, მე ერთ წუთას აქვე ავირბენ და ღვინოს სხვა რაიმეს ამოვუტან სერგოს, თქვენ კი მანამდე ყური ათხოვეთ; თუ გაიღვიძოს და რაიმე დასკირდეს, აქვე ჩემი დაა, სამზარეულოში. კარგი?

— სიამოვნებით.

კოტა ხანი და მე და შენ მარტონი დავრჩით სულ ახლოს. ოჰ, რამდენჯერ მინატრია წინადაც ეს წუთები; რა ბედნიერება იყო ჩემთვის ერთი გამოხედვა, ერთი შენი დანახვა, ერთი სიტყვა; მაგრამ მე უფრო ძლიერ დავხუკე თვალები. თითქოს სულის თქმაც ჩაკვდა სადღაც შორს და სმენად ვიქეცი.

ოჰ, ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი, ვფიქრობდი და თითქოს შენმა გულმაც იგრძნო ჩემი მწარი კენესა: წამოდექ და ჩემ სასტუმალთან გაჩერდი. შენი თვალის ისრები, ჩემს ქუთუთოებს სკრიდნენ და მეც თვალდახუჭული ვხედავდი მას... რა ჩქარი იყო შენი სუნთქვა. და შენ უცებ დაიხარე, კოტა შეჩერდი და თითქოს ჩემს შუბლს ნაზი პეპელა დააფრინდაო, წუთით ვიგრძენ ნაზი და ტკბილი ამბორი.

ოჰ, რა ძვირფასია ჩემთვის ეს ზღაპარი... ოჰ, რა საშინლად მიცემდა გული, სული მეხუთებოდა. ვიხშობოდი, მაგრამ მაინც ქვად ვიქეც და ავიტანე, ოდნავადაც კი არ შემირხვევია თვალების ქუთუთები.

— იძინე, ჩემო ძვირფასო. მომესმა შენი ნაზი ჩურჩული.

სად შემიძლია ავწერო ეს განცდანი, ჩემო სულო?



ნუ შიკვერი საყვედურის თვალით, თორემ კალამს ხელიდან გაეავადებ; ხომ გახსოვს ჩვენი პირობა... და როცა ამ საიდუმლო, ნეტარ წუთების შემდეგ ჩემს ოთახში სონას და ქეთოს უზრუნველი კისკისი გაისმა, როცა ნიკოც შემოვიდა და ავადმყოფს მორჩენა მოულოცა, როცა ყველაფერმა ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო, შენც მათში გაერიე და იმგვარისავე უზრუნველობით ტიკტიკობდი, ხან ჩემს უძლორებას დასცინოდი და ხან ნიკოს აჯავრებდი.

მაგრამ იმ შენ კოცნას ვილა მომტაცებდა ამის შემდეგ... და უზრუნველი სიცილის სიღრმეში კვლავ გაისმოდა სიყვარულის ლამაზი ძვერა. მას ჩემს გარდა ვერვინ ამჩნევდა.

გმადლობ ამ წუთებისათვის, სულო ჩემო.

4

სამი დღე ისე გავიდა, რომ არ მენახე და კინალამ გავვიყდი, მე ჯანმთელად ვიყავი, გარედაც გამოვდიოდი, მაგრამ ბალში მინც არ შემოვიარე სასეირნოდ, თუმცა ვიცოდი, რომ შენ უქვევლად იქ გიპოვიდი, კაკლის ხის ქვეშ. მეოთხე დღეს ქეთომ და სონამ ვახშმალ მიმიპატიყეს, კარები შემოვალე და შეგამჩნიე ჯგუფ-ჯგუფად მჯდარი სტუმრები... შენ ერთის წუთით შემავლე თვალი და ისევ ნიკოსკენ იბრუნე პირი—რალაცას დაეინებით უმტკიცებდი. სწორედ იმ კუთხეში, საცა შენ იჯექ, პაწია ხატი ეკიდა ღვთის მშობლისა. ო, რა რიგად მინდოდა, მის წინაშე მუხლი მომედრიკა და ლოცვა აღმეველინა და ყოველი ახალი ლოცვა „ამინ“-ის ნაცკლად შენის სახელით დამეთავებინა... საშინლად მომწყურდა მარტოობა და ლოცვა: ჩემმა მისვლამ დიასახლისები გაამხიარულა. ორივენი ზრუნვით დამტრიალებდნენ თავს და დამსწრეებს მაცნობდნენ; როცა შენ მოგიახლოვდი, ქეთომ ჩაიციხა და სთქვა: „ამათ ჩემზე კარგად თქვენ იცნობთ მგონი“ მეც გავიღიმე და მოწიწებით დაუჟკარ თავი: „სალამო მშვიდობისა, ქალბატონო“.

— სალამო მშვიდობისა, მაშინალურად და ცივად გაიმეორე: შენაც და ისევ ნიკოს მოუბრუნდი; მე გაგშორდი. შენკენ გამობედვისაც კი მეშინოდა და ძალა უნებურად ოთახს დაუწყე თვალღერება; იქ შესანიშნავი არაფერი იყო გარდა ორიოდ თაიგულის საინტერესო ვაზებისა და ძველ როიალისა; ჩამოვჯექ. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

უეცრივ შენ ბავშვით ზევით წამოიჭერ და დასძახე: „აბა რას მოგიწყენიათ! დაუჯარით, იმღერეთ რამე.“

— თქვენ დაუჯარიტ, ვთხოვთ.

— თიკო, დაუჯარიტ, ვთხოვდნენ ყველანი: შენც დარცხვენილად თავი დაბარე და ნელის ნაბიჯით მიუიხლოვდი როიალს, ნოტებს თვალიერება დაუწყე და მე მჯეროდა, ღრმად მწამდა, რომ შენ ისეთ არიას აარჩევდი, რომელიც ჩემს ლოცვას იდუმალ ხმებში გამოაქანდაკებდა, რომელსაც წმინდა ლალადისით და რელიგიოზურ ჰანგების ხასიათი ექნებოდა; მე მჯეროდა, რომ აილებდი ან ლისტის მშვენიერ სიმფონიებს „წმინდა ელისაბედი“ და ან ბეთხოვენის შესანიშნავ „ბიტტენ“-ს

მითხარი, რად არ სტყუვდებოდა ჩემი წინადგომი ბანი? რად შემოიქრა ყოველი შენი განცდა და ფიქრი ჩემს სულში!.. შენი თითები ათამაშდა... გაისმა წკრიალი ხმა, მხურვალე ლოცვა. ო, რა ლამაზი და აუწერელი იყავი ამ დროს!... საშინელი მყუდროება გამეფდა, ყველა გაშეშდა და თვითიერებას სურდა მუხლი მოეყარა ამ დიად სიყვარულის ლოცვის წინაშე... შენს წინაშე იმით რომ წმინდა იყავ ვით ლოცვა და ლოცვა იგი იყავ შენ. არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ მე სრულიად მოუფიქრებლად, ნელის ნაბიჯით მოგიახლოვდი და ვით მღვდელმოქმედი ავიმართე შენს უკან და თვალები ზეცად აუპყარ... ანგელოზთა დაუსრულებელი გუნდი ნელა დაფრენდა შენს თავზე და ცოცხალ ყვავილებს გაყრიდა. „ლოცვა“ გათავდა: შენ ხელები ნელა ჩამოუშვი და დიდხანს უძრავად იჯექ.

და როცა სტუმრები გამოერკვიენ გაისმა დაუცხრომელი „ვაშა“ სხვებზე მეტ მხნეობას ჩვენი ნიკო იჩენდა; როგორც იყო მიწყნარდნენ.

შენ ნელა წამოდექ, მობრუნდი და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ... უცებ ორივე ხელები მხრებზე დამადე და უფრო ჩამაკვირდი, არც მე შევდრკი და წარბშეხრილი ზღვა თვალის ბსკერში გიციქვრდი; და მაშინ შევამჩნიე შენ გრძელ წარბებში ერთი თეთრი ღერი... რა რივად ვიხდებოდა იგი.

ასე შევსტკეპროდით ერთმანეთს და ვდუმარებდით... ბოლოს ველარ აიტანე ჩემი სასტიკი და შეუპოვარი გამოხედვა, თავი უეცრივ გაიქნიე, თითქოს ფიქრები გარეკე, ამოიხორე და ნელა გამშორდი.

დიდხანს ვიდექ გაშეშებული, სანამ არ შევამჩნიე, რომ ჩემი მგგობარი ნიკო, ჩვეულებრივად რბილი და ლმობიერი, ბრაზით საესე თვალებით გამოიყურებოდა და წარბები უთრთოდა.

მე უსიტყვოდ მივედი მასთან, მკლავი გავუყარე და შენკენ წა-
მოვიყვანე, ისიც დამმორჩილდა.

— ქალბატონო, ნიკოზე მეტად უმოქმედნია თქვენს სიმღერას,
მას უნდა შთაბეჭდილება გავიზიაროთ.

— მართლა? დაჯექ ნიკო... ნიკო ჩამოჯდა.

— ეხლა მე თქვენ აღარ შეგიშლით ხელსა. დასტკბით. და მე
უეცრივ მოგშორდი. ო, რა სასტიკი იყო მაშინ შენი გამომეტყველე-
ბა და რა ბრაზი იმალეობდა შენს გულში ჩემდამი; თითქოს არა შე-
მიმჩნევია რა; ქეთოს მიუახლოვდი და ჩვეულებრივ ოხუნჯობას მიე-
ყავი ხელი; ის იცინოდა ყოველ სიტყვაზე და მეც მაცინებდა, საზო-
გადოდ არაჩვეულებრივ მზიარულებას ვიჩენდი, მაგრამ გული კი სა-
შინლად ლელავდა და მის მიდამოს ქარტეხილი აფორიაქებდა.

— ჯერ რა დროსია, მომესმა სონას ხმა; იგი ჩემს უკან ვი-
ლაცას ელაპარაკებოდა. მე თითქოს ვიგრძენ რაშიაც იყო საქმე,
უფრო მოუმატე უზრუნველ სიცილსა და ხმამალა ოხუნჯობას.

— მოითმინეთ, ღმერთმანი, ჯერ რა დროსია, აი ეხლავე ვახშმად
დაეჯდებით.

— გმადლობთ, არ შემიძლია 11 საათის მატარებლით ჩემს
უცროს დას მოველი, ისედაც არა ვარ კარგად.

— თიკო, ცოტა კიდევ დაიცადე.

— მოიცა, გენაცვალე, ერთი კიდევ დაუქარ.

მაგრამ შენ არავის უსმენდი, სათითაოდ ყველას გამოეთხოვე
და მეც ცივად მომახალე;

— შშეიდობით გრძანდებოდეთ!

— ნახვამდის! იყო ჩემი პასუხი და მე ისევ ქეთოს მიუბრუნ-
დი და ოხუნჯობა განვაგრძე.

— შენ აქ დამიცადე, მომმართა ნიკომ, საქმე მაქვს შენთან, მე
თიკოს მივაცილებ და მალე მოვალ; და როცა კარები გააღე გასა-
სვლელად მე საშინლად გადავიხარხარე, თუმცა არ ვიცი—ვამბობ-
დი თუ არა მაშინ რაიმე სასაცილოს.

ვახშმად ბევრი ვსვი და სხვასაც დავატანე ძალა; როგორი მა-
მულისშვილები ხართ—ლვინოს ვერ დალევთ! განა ქართველ კაცს
ეგ შეშენის? დასცალეთ აი, ასე,“ და მე ზედიზედ ვცლიდი ჭიქებს,
ლვინო მაინც არ მერეოდა.

ქეთო თვალს არ მაშორებდა და სწუხდა, რომ ბევრსა ვსვამ-
დი. მისი სადღეგრძელოც მოაწია.

„ქნ ქეთოსთახა ძვირფას ადამიანის და სამაგალითო ქალის სადღეგრძელო განსაკუთრებულის სასმისით უნდა დაილიოს, ყანწი“: წამოვიძახე მე. ნიკოც მოვიდა, გვერდით მომიჯდა და ჩემთან ერთად დაცალა ჭიქა.

მე დიდი ჭიქა ავავეს და წინ დაუდგი მას.

— ეს რისია? შემეკითხა მან.

— შენ რომ იცი, იმისი მიუგე და თვალ ვუყავი. ნიკო გაიღრიქა და სიამოვნებით დაცალა.

— ასე, განუმარტე მე, მე შემიძლია ეგ არ დავლიო, მაგრამ შენთვის კი მეტად სავალდებულო იყო თიკოს სადღეგრძელო მას ამ სიტყვებმა მეტად აამეს.

5

— ეს ოხერი ენა ისე კი მიჭრის და მასთან სულ ერთიანად ჩამივარდება, მეუბნებოდა გზაში ღვინით შეზარხოშებული ნიკო, „კაცო, ვკვდები, ვიტანჯები, ლამის სული ამომძვრეს და ენა კი არ მემორჩილება. აი ეხლა სახლში მივაცილე ხომ დიდხანს ვიჯექ და ჩუმად თვალეში შევსცქეროდი, ის კი სადღაც შორს გაიყურებოდა. ოჰ, სიკო, რომ იცოდე რა თვალეზია, სული დაცხრილა მისმა ელვარებამ.“

— განა არ იცის, რომ გიყვარს?

— გრძნობს ალბად, მაგრამ ვერ მოხერხდა თქმა.

— რათა?

— როგორც კი დავიწყებ ლაპარაკს ჩემს იღუმალ განცდაზე, მაშინვე შემაწყვეტინებს და ისეთ უმნიშვნელო რაიმეს მკითხავს, რომ მე თვითონ შემრცხვება ჩემის სიტყვებისა.

— ამ საღამოთი არა ვითქვამს რა?

— მინდოდა, მაგრამ ის სულ სხვა რაღაცებზე ფიქრობს: და როცა დავიწყე: თიკო, მომისმინე, მინდა რამე ვითხრა-თქო, ის წამოდგა, თავზე ხელი გადმისვა და ნალვლიანის კილოთი ჩუმად ჩამჩურჩულა: „ნუ, ნუ... არ არის საჭირო, ასე სჯობია“, შემდეგ სარკესთან მივიდა. თმა შეისწორა და ჩაილაპარაკა: „კარგია, რომ სერგოს ქეთო უყვარს, ის მეტად კეთილი ადამიანია, მაგრამ მას თითქოს ყველანი გაურბის, მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ სერგოს ასეთი კარგი მეგობარი ქალი აღმოუჩნდა“ მართლა? მე ჩავიცინე და



საქართველოს
ლიტერატურის
ინსტიტუტი

მივუღე „მართალია, მაგრამ ჯერ ჯვარის წერას ბევრი რამ უშლის ხელსა“.

— რას ამბობ, ხუმრობ? შემეკითხა განცვიფრებული ნიკო.

— სრულიადაც არა... მე ჯერ თქვენს ქორწინებას დავეუცდი.

— სერგო!

— რას მეტყვი?

— გენაცვალე, მიდი ჩემ მაგიერ თიკოსთან, აუხსენ, რომ ეს აუტანელია, რომ მე... ერთის სიტყვით შენ თვითონ იცი, იცოდე მეტად დამავალე. ნუ მეტყვი უარს. მას შენი დიდი ხათრი აქვს, მე ვატყობ, ვერ მოგატყვილებს... ოღონდ სიმართლე კი თქვას და რაც უნდა ის სულ ერთია; თუ არ უყვარვარ, პირდაპირ სთქვას; გენაცვა...

— სიამოვნებით... მე ყველაფერს აგისრულებ, კარგი.

— ოჰ, რა მადლობელი ვარ, შენი ქირიმე ჩემო სერგო, და მან მაგრად ჩამკოცნა.

— შენ ეტყვი ყველაფერს, ჩემს გულის ტკივილს აუხსნი და ის უსაზღვროდ კეთილი ადამიანია, ისიც მიხედება. ხვალ, მაშ საღამოთი მე შენთან მოვალ და პასუხს მივიღებ. კარგი?

— კარგი. და მან ხელახლა ჩამაჩერდა თვალებში და გამშორდა.

6

დაიწეწა სული...

უმხელი და იღუმალი სიყვარული ცრემლის ზღვას შობდა, მაგრამ სიამაყე მათ გზას უკრავდა... ცრემლთა ოკეანემ დაიბუდა ჩემს გულში; საჭირო იყო ახალი ძალა სტიქიისა და მეც დილა ადრინანდ ტყედ გავიქერ. მაღალ ყელიანი ჩექმები ჩავიცვი, თოფი მხარზე გადავიკიდე და გზას გავუდექ.

და როცა უღრანმა ტყემ დამფარა, როცა ამწვანებულმა ხეებმა ფოთოლთ შრიალთ ბუნების სიდიადის საიდუმლოება მიმხილეს, მყის დამიდექ თვალწინ... შენგან გავრბოდი და ისევ შენსკენ ვილტვოდი. „მომასვენე წუთით“, ამაყად წამოვიძახე, ქუდი მოვიხადე და შორს გადავისროლე, სიომ იშალა გრძელი თმა, თოფი მოვიმარჯვე და მზეს ვუნიშნე; აკი არც ტყეში მტოვებდა და შენი ამბავი

იქაც მოქონდა; ფოთლებ შორის მოძვრებოდა მისი სხივების და გულში მესობოდა. გაისმა გრიალი. „ესეც ასე“, ჩავილაპარაკე და თავი დაეხარე, „აწი მაინც აღარ მოხვალ უდროოდ“ და ჩქარის ნაბიჯით გაუდექ გზას. დიდხანს ვიდოდი, დალლილობა ვიგრძენ და ჩამოვჯექ.

არ ვიცი მეძინა თუ არა... ისე, როგორც ავადმყოფობისას გამომეცხადე; შენი აჩრდილის დაფრთხობის შემეშინა და თვალები დაეხუჭე. ნელის ნაბიჯით მომიახლოვდი, დაიხარე, შუბლზე მაკოცე და გამშორდი, ოდნავ თვალი გავაღე.

— საით მიდიხარ, მშვენიერო ასულო?

ნალელიანად ჩაიციხე და გამშორდი.

— რად მკლავ?

— იძინე, მე ყვავილებს მოგიტან.

— საიდან?

— ჩემი გულის საფლავზე ხარობენ... უცხო ფერის ყვავილები...

რად მშორდებოდი, როცა ჩემს ირგვლივ მშვენიერად ნაშენი ბაღი იშლებოდა. რა ძვირფასი ყვავილები ხარობდნენ! წითელი ვარდები, თეთრი ზამბახი, ცის ფერი ია... რად მომშორდი!.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდი თმაგაშლილი, ხელთ წვრილად ნაწნავი ლამაზი კალათა გექირა. მივხვდი—ყვავილებით იყო დატვირთული. თვალები დაეხუჭე და ცოტა ხნის შემდეგ ყვავილები დამაყარე.

— „იკმარე, შენ აღარ დაგრჩება“, მაგრამ შენ ჯიუტი იყავ, როგორც ყოველთვის და არ იშლიდი. ისევ მაყრიდი; და როცა გავახილე თვალები, გავნცვიფრდი: ჩემს ირგვლივ შავი ყვავილების ზღვა იდგა, მუხლებს მიფარავდა, მაგრამ შენს კალათში მაინც ბევრი ეყარა.

— გეყოფა, ჩემო მშვენიერო.

— არა უნდა დაგფარონ შავმა ყვავილებმა.

— გმადლობ, რომ ადრე დამასამარე...

რალაცამ ჩემს წინ გადმოიარებინა და ჩირგვებში მიიმალა, გამომპრკვიე.

— რა სისულელეა, თითქოს მე ჩემი საქმე არ მქონდეს, ვბუტბუტებდი ჩემთვის, მალე რუსეთში უნდა წავიდე, სახელმწიფო ეგზემენები ჩავებარო და სამსახურს ხელი მივყო. ბავშვების აღზრდა...

ეს ხომ ჩემ მიზნად მიმანდა მუდამ. „ეს არის ჩემი საქმე“, ვბუღბუტბუტი მაშინაც და გაჩქარებით ვიღოდი დაბურულ ტყეში, „შე სხვა წვრილმანებისათვის როდი მცალიან, ნუ ფიქრობ დამავეიწყო ყველაფერი, ჩამომეხსენი“.

ჩემს წინ ამაყად ამართულიყო მეტად დიდი და ლამაზი, სწორი ხე; თითქოს თავისკენ მიწვევდა, მივუახლოვდი, ცალი ხელი მოვხვიე და ვუთხარ: „აბა, მიმხილე შენი საიდუმლოება, მითხარ რას ჩურჩულებენ შენი ფოთლები“ და ისიც ამეტყველდა: „ყველაფერი წარმავალია და უზრუნველი, მთელი ცხოვრება ადამიანებმა ვებერთელა უშინაარსობად აქციეთ. თქვენ მუდამ ემზადებით ცხოვრებისათვის და ისევ მოუმზადებელი მიდიხართ; უსიციოცხლოდ მიმდინარეობს თქვენი ცხოვრება. თქვენ მუდამ თქვენი სულის სიღიადებზე ლაპარაკობთ და დღიურ ზრუნვას ანდომებთ მთელ სიციოცხლეს: ვინ იზრუნა თქვენში უკვდავებისათვის, წარადისობისათვის, იმ სულიერი სიძლიერისათვის, რომელიც ჩემს წიაღში ბუდობს; ერთად ერთი განძი, რომელიც ამ წვრილმანობიდან გიხსნით და ადამიანობას განიჭებთ, სიყვარულია... თქვენ კი ისიც ტანჯვის საიდუმლოებად აქციეთ. იყავით სიყვარულით შეპყრობილნი და ღმერთად იქცევით, უარყოფთ წვრილმანურ ზრუნვას, რომელმაც თქვენი სახელი შეურაცხყო.“

„სისულელეა“, მოკლედ მოვუჭერ ხეს პასუხი და ორივე ხელები მაგრა მოვხვიე. თითქოს მეშინოდა მისი დაკარგვის, თითქოს ვგრძნობდი იმ სიტყვების ქეშმარიტებას. როგორც ბავშვობისას ჯვარს ისე ვემთხვიე მის სწორ და ამაყ, ცივ ტანს.

— დაიხსომე ჩემი აქ ყოფა, ჩვეილაპარაკე და ბასრი დანა ამოვიღე. ცოტა ხნის შემდეგ ზედ მშვენიერის ასოებით აღიბუქდა შენი სახელი. უკან მივიხედე და პაწია ბუჩქთან უკანა ფეხებზე მჯდომი კურდღელი შევამჩნიე, სისწრაფით აცმატურებდა ტუჩებს; ოდნავ თოფი წამოვსწიე და მანაც თითქოს იგრძნო, ყურები აცქვიტა, გასაქცევად მოემზადა, მაგრამ გვიან იყო; ტყვიამ არ დაინდო საცოდავი. ნანადირევი ზურგზე მოვიგდე და გზას გამოვუღდე; „ჯერ ადრეა“, გავიფიქრე და ისევ დავბრუნდი, იმ ხის წინ გავჩერდი, თოფი გავტენე და შენს სახელს ვუმიხნე. ტყვიამ ერთ ასოს თავი ავლიჯა. მივუახლოვდი, ჩავიციინე და იმავე დანით ყველა ასოები ამოვფიქე, ვის რად უნდოდა უღრან ტყეში შენა სახელი?!

— აუ, სადა ხართ შემომესმა; მონადირე!



გამოვერკვიე და მხოლოდ მაშინ მივხვდი—სალამომ მოატანა.

— ვინ შეძახის?

— ჩვენა ვართ...

ცოტა ხნის შემდეგ ჩემს წინ ქეთო და სონა გაჩნდნენ, ცელქები, მხიარულები, ხელში კალათი ეჭირათ სოკოით სავსე.

— გამარჯვება მონადირეს, უყურეთ, კურდღელი მოუკლავს, ყოჩაღ.

— თქვენ აქ როგორ მოაგენით? შევეკითხე ქეთოს.

— მე თალიკომ მითხრა. დილით დაუნახავხართ თოფით და მთხოვა წამოესულიყავ ნანადირევის წამოღებაზე დაგხმარებოდით.

— მე სადაური მონადირე ვარ, ქალბატონო... თალიკო ცელქობდა ალბად.. მთელი დღეა ურდღლეებსა დავდევე. ოცჯერ მაინც ვესროლე და ერთიც ვერ მოვკალ.

— მაშ ეს რა არი? შემეკითხა სონა.

— ეს აქაურმა გლებმა მომყიდა.. მცხენოდა ხელცარიელი წამოსვლა.

— ძალი არა გყავთ?

— არა.

— თქვენ არათფერი დაგკარგვიათ? შემეკითხა ქეთო და თვლებში ჩაშხედა.

— არათფერი

— არა, კარგად მოიგონეთ!

— არ მაგონდება.

— თავზე ხელი მოისვით!

თხოვნა აეასრულე, მაგრამ მაინც ვერათფერი გავიგე.

— ეს ქუდი ვისია? შემეკითხა ზრუნვით და ჩემი ქუდი ხშირ თმაზე წამოიღვა, ძალიან უხდებოდა. მგონია მაშინ დამებადა ეს აზრი და როცა აქეთ გამოვბრუნდით, მკლავი ხელში გავუყარე და ჩუმად ჩავულაპარაკე:

ჩემო ძვირფასო...

იგი თითქოს შედრკა და უფრო ძლიერად მომეკრა.

უკვე ღამე იყო, როცა თიკოსთან შეველ. სარკესთან იდგა და თმას ისწორებდა. საზეიმოდ იყო მოართული; ეტყობოდა სადღაც მიიჩქაროდა.



— „კარგი ქენით, რომ შემოიარეთ“, ხელი გამომიწოდა, სალამოზე მიმიწვიეს, აღარ მომასვენეს... არც ვიცი—ვინ იქნება და მარტო წასვლა მემძიმებოდა.

— ჯერ თქვენთან მცირედი დავალება მაქვს, სალამოზე შემდეგ.

— რა დავალება? გაოცებით შემეკითხა.

— ნებას მომცემთ?

— ბრძანეთ... და ჩვენ ვით შეთქმულების წევრნი ჩუმად ჩამოვსხედით პაწია მაგიდასთან.

ბევრნაირად ვფიქრობდი ამ საქმიან ბაასის დაწყებას, მაგრამ ყველაფერი დამემსხვრა. ან რა საჭიროა აქ ბოდიში და ღირიული ელემენტები. მე გადამცემი ცივი აპარატი ვარ და ვით შეშენის ამ აპარატს პირდაპირ მოვსკერ... ეს დეკლარაცია იყო, მშრალი და ცივი.

— მე ვიახვებით ბ-ნ ნიკოს დავალებით.

ოდნავ შეკრთა და თავი შეარხია. უკაცრავად, ჩემთან ეს ვერ გაგივით... ნუ მორცხობთ მე ვიცი თქვენი გულის ძგერა, ან შეიძლება მას ელოდებოდა ამ სალამოთი და მიტომაც მოირთვეთ სახეიმოდ. აქ კი მოსტყუვდით და მის მაგიერ ვილაც მოხეტიალე მონადირე შემოიჭრა. აპარატი განავრძობს ლაკონიურად: „მე არ ვიცი თქვენი წარსული და დამეთანხმებით, არც საჭიროა ვიცოდე. მაგრამ თქვენი გრძნობა არც იმდენად ფარულია ჩემთვის და სწორედ ამან წამათამაშა და მძიმე მოვალეობა ამალეზინა თავზე. მე ვიცი გამარჯვებული დემბრუნდებოდი ნიკოსთან და სიხარულით მივულოცავ“.

მეტად გაფართოვდნენ მისი თვალის კაკლები, წამწამებმა მალმალ დაიწყეს რხევა. რალაც წვეთები ამჩნევია ამ თვალებს. ალბად წასვლის წინ ბლომად გადისხა ნელსაცხებელი და ეხლა წამწამებზე ჩამოდის. მაგრამ ეგ რა ჩემი საქმეა?

მე რომ მარტო აპარატი ვარ და ჩემ მოვალეობას ჯერ, მგონი, პირნათლად ვასრულებ, ფიქრი ნუ გაქვს ძმაო ნიკო... მე გამარჯვებული მოვალ შენთან; აი, ეხლავ... ვატყობ ჩემი საქმიან ბაასის კრიზისის ხანა დგება... რას დავუცადო, რა საჭიროა შორით მოვლა და დავსძინე:—ნიკო ქორწინებას უჩქაროს, მას არ შეუძლია შორეული სათვის გადასდოს ბედნიერების წუთები, მე არ ვიცი რა მიზეზით აკვიანებთ თქვენ, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ კარგად ვერ იქცევით. ალბად ორთავეს გაკლიათ გამბედაობა, ამიტომ ნება მო-

მეცით მე თვითონ დაენიშნო ეს დღე. სხვა არ იყოს, მე მალე წავალ აქედან და მგონია არც თქვენ და არც ნიკოს არ გესიამოვნებათ, რომ თქვენი ღღესასწაულის მონაწილე არ გახდეთ. ამას გარდა სახიფათოა დაგვიანება, ხომ იცით—ახალგაზრდაა... მისი გული შეიძლება შეიკვალოს... თქვენ არ უნდა დაშორდეთ ასეთ ბედს.

მან ძალდატანებით გაიღიმა, ეხლა ბლომად ეკიდა ცვრები მის წამწამებს, რალაცას თქმა დააპირა, მაგრამ მე ხმას აუწიე და მტკიცედ შევაწყვეტინე.

— მე არ მინდა უეჭველად ეხლავ დანიშნოთ ეს დღე, შესაძლოა ცოტა რამ მოსაგვარებელი გაქვთ, ეხლავე გაიკვალისწინეთ ყველა. ამიტომ გთხოვთ, ხვალ, ან ზეგ უეჭველად დაგვინიშნოთ ეს დღე. მასაც თადარიგი სჭირია.

სიჩუმე.

— მე რაშიაც საჭირო ვიქმნე, დამასახელებთ და ორთავეს გულისათვის მზადა ვარ ყველაფერი ვიკისრო...

— გმადლობთ, და ზევით წამოიჭრა.

— არაფრის, მაშ ასე, განვაგრძე, შეგვიძლია ასეთი პასუხი გადავსცეთ ნიკოს თქვენის თხოვნით: თანახმა ხართ ხვალ, ან ზეგ საბოლოოდ დანიშნოთ ქორწინების დღე და რაც შეიძლება საჩქაროდ, სანამ მეც აქა ვარ. აქ ნელა ჩავიციან, „დაიწეროთ ჯვარი“.

— მაშ თქვენი ხელიც და მე ავიღე მისი ცივი ხელი, და საკმეც მოქაზბრაკდა, ღმერთმანი ბედნიერი ვარ, რომ ასე კარგად დავასრულე ჩემი მისია... ეხლა მეტს ამაზე ნურას ვიტყვით ჯერ-ჯერობით. მაშ, ქეფიც კარგია ამ სალამოზე, წამობრძანდით...

— არა, დღეს თქვენ გთხოვთ უჩემოდ იქეფოთ როგორმე.

— ოო, თქვენ ძალიან ბეჯითობთ, აკი გინდოდათ სალამოზე წამოსვლა? გადიფიქრეთ?

— დიახ, ეხლა აღარ შემიძლიან, კიდევ გმადლობთ.

— მე უნდა ვიყო მადლიერი, რომ გაუწბილებელი არ დასტოვებთ ჩემი დავალება და იმდენი ბეჯითობაც კი გამოიჩინეთ, რომ სალამოზე აღარ მიბრძანდებით... ეხლავ გინდათ სამზადისს შეუდგეთ ჩავიციან.

— იკმარეთ, იკმარეთ! წამოიძახა მან და ვედრებით შემავლო წყლით სავეს თვალები. ველარ ავიტანე.


— მაშ როგორც გნებავთ, შეგიძლიანთ დარჩეთ, სალამოებს მრავალს მოვესწრებით, ეს საკმე კი საჩქაროა. ნახვამდის.

მან ხელი გულზე დაიდო, თავი დაბლა დამიკრა. რალაცას აქმას აპირებდა, მაგრამ მე ქუდი ხელში ავიღე. იგი მოსწყდა და მეორე ოთახში გავიდა საჩქაროდ, თვალეზე ცხვირსახოცი მიიღო და მხრები უთრთოდა. ალბათ სიხალისით ცახცახებდა. უცნაური არიან ეს ქალები. თვითონ ვერ მოუგვარებიათ თავიანთი ბედნიერება და ვილაც მონადირეებმა უნდა გააწყონ მათი საქმე. და ისინი იმდენად იბნევიან ბედნიერებით, რომ მადლობის გადახდაც კი ავიწყლებათ. არა უშავს, მონადირე უმადურობითაც კი არ იტკივებს თავს, შემდეგ დაფასდება მისი ღვაწლი.მაშ.. ჩავიცინე და გზაზე ვიმეორებდი: „სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. მონადირეც ერთხელ მიიღებს ამ მადლობას.“

თანხმობა ნიკოს ბარათით ვაცნობე: ხვალ-ხვდ დაგინიშნავენ ქორწინების დღეს. ბოდიშს ვიხდი ვერ გნახე- ვიჩქაროდი მეტად. მომილოცავს. შეგხვდებით როგორმე მალე. ნახვამდის...

გაჩქარებით ვალაგებ ნივთებს. ეტლისათვის გავგზავნე, თითქმის საათია მატარებლამდე, თქმა არ უნდა მოვასწრებ. მადლობა ღმერთს, მივდივარ აქედან, მოვისვენებ და ჩემს საქმეს დროზე მივყოფ ხელს.

(შემდეგი იქნება)



ქონია გამსახურდია.

ქორწილი.

(ჩემს შეღუპვას ვუძღვნი.)

გათავდა ნადიმი. ბოთლები, თეფშები,
 დაცლილი ჭიქები და აზარტეშები.
 ყველანი წავლენ. გათავდა ნადიმი
 მე აღარ გცილდები, მე აღარ გეშვები.
 ირევა თვალები, ღიმილი, ჩოჩქოლი,
 დუდუკის, ზუზუნის, დაფდაფი დაირის,
 მომესმის ჩემ გულში სისხლი ვით ირევა
 — ირევა ვით რითმა დამთვრალი შაირის.
 მიდიან, მოდიან, ხუმრობენ, მღერიან,
 ირევა ფერხული ჩვენ ორს გარშემო,
 შენ ჩემ ხელს იპარავ ელექტროს რკალს მიკერ
 ხმა დაბლა, ჩურჩულით: — „მიყვარხარ ჩემო“.
 მაგ ტანის ალგზნება ჩემ სხეულს მოედო,
 მე აწ ეს სალამო არ დამავიწყდება.
 გათავდა ნადიმი, ჩვენ ნადიმს დავიწყებთ,
 როგორც კი სტუმრების ფეხის ხმა მისწყდება.

სანთიობო:

გათავდა ნადიმი, სიდედრი მოვიდა.
 — „მოიცა გენაცვა, დაგლოცო დედი“!
 არ მახსოვს ახლაც კი, ახლაც ვერ ვიგონებ,
 ჩვენ სანთიობოში ვით შემოხვედი.
 კოშმარში ბრწყინავენ ეგ შენი თვალები
 კრთის შენი ლოყები მზით დანაფერი,
 იშლება ჩემ გულში ლაქლაქა ვარდები,
 ვნებისა ვარდები, რა გინდ რა ფერი.
 ჩემს ხელში ატოკდა ეგ ძუძუს კოკორი,
 ეგ ძუძუს კოკორი ჯერ გაუშლელი.
 არ ვიცი სადა ვარ, რა მჭვიან, ვინა ვარ?

სადა გაქვს ტუჩები ან ლოყა ცხელი?
 გულების ხმაური, ბაგეთა ამბორი.
 ტოკავენ ძარღვები. კანკალებს ხელი
 გავხლიჩე შენ ბაგის ძოწისა ფურცელი,
 ავხიე პერანგზე არშია თხელი.
 ვარდები. ვარდები და კიდევ ვარდები.
 სისხლ დაცვარული, სისხლ დანაპკური.
 არ მეყო არც კოცნა, არც კოცნის შარბათი,
 გადმომჩქეფარე შენ ტუჩის სურით.

მივდივართ, მივჭკრივართ სიერცეში უმიზნოდ,
 ვიშვებით, მივპყვებით. მთვრალ მემანქანეს.
 ამ გრძნობას, ამ ტრფობას ვერავეინ წამართმევს,
 ამ ტკბობას სატანაც ვერ შემანანებს.
 თვალები დავხუჭე. იშლება უფსკრული.
 ეგ თვალთა უფსკრული მიფართოვდება
 ჩავეშვი შენ სულში, ვით მზისა ორბიტრი,
 ზღვაში რომ ინთქება, ზღვაში რო კვდება.
 გავსხენი თვალთ უპე... უდაბნო თვალლია,
 ცხუნვარე ქვიშაზე ქალ-ვაყის სხეული,
 ბაგეთა აპკებზე ორთავეს ატყვია,
 ღვინო და შარბათი, ზედ გადაფრქვეული.
 ჩამქრალან სანთლები. ჩამქრალან თვალები.
 —არ მინდა შეხება ძუძუთ კუკურის,
 უფსკრულთან ვიწეჭით, და იქვე ეყარა,
 დაცლილი ბოთლები შამპანიურის.
 გათავდა ნადიმი, ზლაპარშიც ამ ნადიმს,
 ვერავეინ მიჰბაძავს, ვერ შიამზგავსებს.
 გათავდა ნადიმი, აწ ველარ გადავიხდით,
 ჩვენ ამგვარ ქორწილს ვნებით აღსავსეს.



კოწია გამსახურდია

მიზანწროსი

არ მიყვარს ვარდი, აღარც მთვარე, მოგვი ციური.
 ძველ პოეტებმა რომ გასთელეს და შემაძაგეს.
 ბულბულს ორკესტრი მიჩვენია სიმფონიური,
 ღიმილის ნაცვლად სიძულვილი მატყვია ბაგეს.
 არ მიყვარს ღამე, სერენადა, შელლის მიმოზა.
 არც უკვდავება—კაცთა მოდგმა გულმავიწყია.
 სულ მდებალ ბრბომ თუ შუბლი დაფნით არ შემიმოსა,
 ჯერ სახელისთვის მათხოვრობა არ დამიწყია.
 თავს არ ვიტყუებ არც ოცნებით, არც მოჩვენებით,
 თუ ცის მნათობიკ მომიძულეებს და გამიმეტებს,
 — ელექტროს შუქი აღსაესეა ახალ მშვენებით,
 როს წინწკლებს აფრქვევს ძილ მორეულ ღამის პლანეტებს.
 მე თქვენთვის დამაქვს კაცუნებო ნილაბი შავი,
 აპოლოს რჩეულს თქვენ სალამიკ არ გამიბედოთ,
 გვერდს ჩაგიარეთ და მიტომაკ დავხარე თავი,
 შურით არეულ სახეებში რომ არ შეგხედოთ.
 იღუმალ კოშკში ფანტაზია დავსვი დედოფლად
 მას ჩემი ლანდი სასიძოდ ჰყავს, მისივ მხლებელი,
 ვიცი გავირბენ შეუმჩნევლად ამ წუთი-სოფლად,
 ვით მძინარ ტყეში შუა ღამის მატარებელი.



კ. ჰიკინაძე.

იო.

არ ვიცი ქალწულად იგი ვინ ჩასთვალა,—
ის უშობელაა თეთრი და შავთვალა.
მდელიოზე დაჰყვება ის თავის დედასა,
ყაყაჩო ნატრულობს მის შემოხედვასა.

დედა მისს უხდება სვლა დინჯი, ირმული,
თავებურა და კაბა გულ შემოსირმული,
ხან ლეჩაქს უსწორებს, ხან უგრებს კავებსა,
ხან წელზე დაქანცვით შემოხვევს მკლავებსა.

ჰასაკში შესული, გავსილი ვნებიტა
მძინარე შემკრთალა ტკბილ მოზმანებიტა.
აღერსი მოსწყურდა; საღამო ცხელია...

დედასაც ვერ ეტყვის.—რა გასამზელია!

თავდახრით წინ მიდის მკერდ ამოწეული,
უთრთის და უტოკავს მგზნებარე სხეული.
ახ, ეს ხომ იოს ჰგავს! იოა მგონია!
ზღაპარი ბერძნული ვის გაუგონია?

შორიდან ვუმზერ და ვეძახი სიოსა:
„ტუჩებში აკოცე მშვენიერ იოსა!



კველი მწერლობა.

ა. ქართველ მეფეთა და დიდებულთა ბეჭდების წარწერანი.

პატარა კახის ბეჭედზე:

„მე ფებ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“.

დედოფალ დარეჯანის:

„ვინ არს მიზეზი არსთა ფლობისა,
მან მცა წიალი დედოფლობისა“

მეფე გიორგი მე-XII:

„სიმდაბლით ჩვენთვის გარდმოსულსა.
იესოს ვაჭებ ღმერთკაცსა სრულსა“.

იულონ ირაკლის ძის:

„ტომ სქესით არ ნაკლისაგან
იულონ ირაკლისაგან“.

მეფისძის ვახტანგის:

„ტომად იუდათ ბაგეთათ,
ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად.“

მეფე ერეკლეს რძლის ქეთევანისა:

„ვის დასჯა სოფლად მეთვისა
ქეთევან რძალი მეფისა“.

სარდარ ქაიხოსრო ორბელიანის:

„სარდალთ, სახლთ ხუცეს მეფისა
მდივან ბეგი ვარ მეფისა“.

მანანა ორბელიანისა:

„უდროთ მზის დასვლით მამბნელა
სოფელმან ანაზდეულათ.“

სარჩევ მი: აქოღებულთა ეკვთიმე თაყაიშვილის წიგნიტგან. აღწე-
რა კ. შ. წ. კ. გ. ს. ხელთნაწერებისა. ტ. 2 გვ. 438, 39, 40.

ამილახვართ გვარისა:

„მეფისა მტრისა ლახვარი
 ვამტკიცებ ამილახვარი“

თ-დ ბაგრატიონ მუხრან ბატონისა:

„ერთი ღმერთი მწამს,
 ერთი ბატონი
 სარდალთ უხუცეს მუხრან-ბატონი“

ქსნის ერისთავის იესეს აზარფეშაზე:

„ირაკლის მონა იესე
 ვისი არს სასმისი ესე“

კაცია დადიანის:

„დადიან იმრგვლი ვარსკვლავნი ცისა.
 გადრიკა ციალი მზისა“.

დიმიტრი თუმანოვის:

„ვარდი მიტრიალებს გულსა“

მაია მუხრან ბატონის ასულის
 პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ:
 „სოფელმა იავრობითა

დამცა ყვავილი ზრობითა“

მეორედ დაქორწილების შემდეგ მისივე
 ბეჭედზე ეწერა:

„სოფელო შენმა იამა
 შენივე ნახვა იამა!“



აზოურიზგები კილია დაგანადან.

(ვახტანგ მეფის თარგმანის მიხედვით)

სიტყვა თვალია და მთქმელი გამთლელი და მადიდები,

ბევრია ამ წიგნთ სადაფსაც ძვირფასი მარჯალიტები.

- 1 ეკალს გავგარ დაგლეჯილსა, კაცი ვერას გამოგრჩების.
- 2 არ მოჰყვეთდა კისერს ხმალი თუ შენს ენას კლიტე ბმოდა.
- 3 ჭინც ჩოგნით ბურთი გაიგდოს ხამს თავსა გატაროსა.
ვინ ხელყოს ძნელსა საქმესა, ხამს თავი გაიმწაროსა.
- 4 დიდ კაცსა ჰკითხეს: ერთგული რამდენი გეყოლებო?
თქვა ახლა ყველა კარგია, რა წაეხდე, განაჩინდებო.
- 5 მართლისა მთქმელს ყველა მტრობს, მაგრამ იგი არ წახდების.
მტყუანი და არა წმინდა მიწა მტვერად გარდახდების.
- 6 უგვაროს მისცა სოფელმან სიდიდე მეფეთ დარობით.
პირი უჩვენა ბედმა და დასვა ყოვლთ ზემოთ ხარობით.
გარიანსა და მეცნიერს პური აქამა ზარობით.
არ შეაცილა კარსა და დარჩენ სულ გარის გარობით.
- 7 ჩამყვა ჯაერი თემთა ჩემთა, არაოდეს დამელია.
მინდა სოფელს ღარიბობა, საგზლადა მაქვს ნალველია.
- 8 ცოტას რასმეს გაუფრთხილდი, არ შეიქმნას ბოლოს ალი,
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი.
- 9 თავს ირცხვენს ბუზი, ფასკუნჯის ადგილსა ვერ დაიჭერსა.
- 10 ლომი არის ნადირთ მეფე, თავის საქმეს თვით ირჯება.
- 11 სჯობს სიჩქარესა ქებულსა, თქმულა სიწყნარე გმობილი.
- 12 გაუსინჯად ნუ გაარბენ ცხენს ასპარეზს სიჩქარისას,
თვარა ერთხელ წაგეჭყვევა, სარგოს ჰპოვებ შერმე რისას?
- 13 თმა ამბარი შეგინასკვავს, დაგრუზვია პირსა მნათსა,
ენ არ ვიცი დღე და ღამე როგორ შერთევ ერთმანეთსა.

- 14 ვინცა სუსავს მოსაველელად თესლსა სამე ანწლისასა,
 ის ცრუ არის, თუ მოელის ლერწამს მისგან შაქრისასა
- 15 სადაც წავეიდეს ჭკვიანი, არსად არ გაღარიბდესა.
- 16 მე ზომ ბალახი არა ვარ, მოვკვდე, კვლავ გავიხარო.
- 17 რადგან ძალ გიძს ტკბილის თქმა, მაშ მწარესა რაღა იტყვი?
- 18 ვისცა უნდა ზამთარ ღზინი, ზაფხულს უნდა გაისაჯოს.
- 19 ნაღვლის ზღვა არის სოფელი, ნიადაგ კიდე სავსობით,
 ვინც ერიდების ჩავარდნას, ჭკუა აქვს არ დასავსობით.
- 20 მიწყვიე იყო პირი მისი, გოლითა და შაქრით სავსე,
 რას იტყოდა, სიტყვა მისი თვალ მარგალიტს დავამზავსე.



ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა *

საზომი. მუხლი. მახვილი. რითმა.

დღეს უკვე საკმაოდ გამოჩვეულია, და მეცნიერებაშიაც მიღებულია, ის კეშმარიტება რომ ქართულისა და მის მონათესავე ენათა წყობილსიტყვაობა ტონურ-სილაბურია, ე. ი. დამყარებულია როგორც მახვილზე ისე მარცვალთა რაოდენობაზე ყოველ სტრიქონში. ეს დასკვნა სავსებით ედასტურება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა წყობასაც: მისი ლექსი ჩვეულებრივი ქართული ტონურ-სილაბური ლექსია ყველა მისი ღირებითა და ნაკლულოვანებით.

ნიკ. ბარათაშვილის უსაყვარლესი საზომი ანუ სალექსო გვარი ეგრეთ წოდებული „ბესიკური“ და „შავთელური“ ლექსებია. 38 ლექსიდან რომელთაც ბარათაშვილის სახელით ჩვენამდე მოუწვდია 13 ბესიკურია.

* ამ წერილის დამზადება შემოკვეთილი გეჟონდა ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა გამომცემელი კომისიისაგან. რადგან დასახელებული გამოცემა შეჩერებულია, ეს წერილი აქ იბეჭდება.

ს. გ—ძე.

1 ს. გორგაძე. ქართული წყობილსიტყვაობა. თფილისი. 1912. გვ. 59. ქვემოთ საწყობილსიტყვაო ტერმინები (მახვილი, მუხლი, ტაეპი, ხანა, ლექსის გვარები, რითმა და სხვ.) ყველგან ამ „გამოკვლევის თანახმად გვექნება ნახმარი.

2 ი. ა. ყიფშიძე. Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка. С.-Петербургъ. 1914. გვერდი 0146 (§ 157).

3 „ბესიკური“ ლექსი ბარათაშვილის ნაწერებში ორგვარია: მცირებესიკური და დიდბესიკური. პირველისა შემდეგი 11 ლექსია: „ფიქრნი მტკარის პირას“, „ნაპოლეონ“, „ჩემი ლოცვა“, „აღმობდა მნათი“, „ჩემო მეგობართ“, „ვპოვე ტაძარი“, „სუმბული და მწირო“, „რაღ ჰყვედრი კაცსა“, „სათლავი შეფის ირაკლისა“, „სულთბოროტო“ და „ღამე ყაბაზზედ“. დიდბესიკურით დაწერილია ლექსები: „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ (რომელიც ნაბეჭდ გამოცემაში შინაგან რითმითა გამოსაჩენად მოხლებდა და დაყოფილი და სამ სტრი-

9 შავთელური, და ოთხივე ამ ორი საზომის შეერთებას წარმოადგენს. მაშასადამე ბარათაშვილის ლექსთა თითქმის 70 პროცენტი „ბესიკურისა“ და „შავთელური“ საზომისაა. დანარჩენი 12 ლექსი ასე ნაწილდება: 7 ლექსი დაწერილია „შაირათ“ 3—„თეჯლისით“, ერთი არის „ბაიათი“ და ერთი—„ბარათაშვილური“ ამ უკანასკნელი გვარის ლექსი პირველად ჩვენი პოეტის ნაწერებში გვხვდება და ამიტომ სახელიც მისი დავარქვით.

ქონად დატეკდილი) და „ფორტოპიანოზე მომღერალი“ (რომელიც აგრეთვე რიტმების გამოსაჩენად მუხლებად არის დაყოფილი, ნამდვილად კი სამამუხლიანი ანუ 15-მარცვლოვანი ლექსია). დიდბესიკური თევა დაწერილი პოემის („ბედი ქართლისა“) მიძღვნაც „კახთა მიმართ“.

1 აი ეს ლექსები: „კმა იღუმალი“, „თავადის კ—ძის ასულს ვკ—ას“, „საყურე“, „ბედი ქართლისა“ (პოემა), „შენნი დალალნი“, „შევიშრობ ცრემლსა“, „ძია ვ—სთან“, „ჩინარი“ (რომელიც 20 მარცვლოვან სტრიქონებადაა დაწერილი, თუმცა რიტმიულად იგი ათ-მარცვლოვანი ლექსია) და „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“

2 მცირებესიკურისა და შავთელურის შეერთებას წარმოადგენს ორი ელფგია: „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და „მერანი“; ხოლო დიდბესიკურისა და შავთელურის შეერთება გვხვდება ლექსებში: „ჩონგურს“ და „მიყვარს თვალები“.

3 ამათში ერთი **ჩახრუხაული** შაირია (სახელდობრ ლექსი: „სატრფოვ მასხოვს თვალნი ზენნი“), ხუთი **რუსთაველურია**: „არ უკიჟინო სატრფოვ“, „ძრწოდე კავკასო“ (ანუ „ომი საქართველოს თავდაზნაურთა“), „მადლი ზენს გამჩენს“, „დამქროლა ქარმან“ და „ავლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“; ერთივე ამ ორისავე გვარის შაირთა შეერთებას წარმოადგენს, სახელდობრ ლექსი „ქეთევან“ რომლის ორი პირველი და ორი უკანასკნელი ხანა რუსთაველურია, დანარჩენები—ჩახრუხაული.

4 ლექსები: „ჩემს ვარსკვლავს“, „ჩჩვილი“ და „სული თბოლი“.

5 სახელდობრ ლექსი „ბოლბული ვარდზედ“ რომელიც არსებითად შვიდმარცვლოვანი ბაიათია, მაგრამ ავტორს მისი ორ-ორი მუხობელი ტაეპი თითო სტრიქონად შეუერთებია და 14-მარცვლოვან ტაეპებად დაუწერია.

6 ლექსი: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“.

7 იხ. ჩვენი „ქართული წყობილისიტყვაობა“, გვ. 39—40



შედარებითი სიმრავლე „ბესიკურისა“ და „შავთელური“ ლექსებისა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენა არ არის: იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ამ პოეზიის შინაგან ხასიათთან, მის ძირითად კილოსთან, რომელიც ერთი სიტყვით გამოიხატება: „ნაღველი“. ხოლო ნაღველს ქართულ ლექსთა შორის ყველაზე უკეთ „ბესიკური“ და „შავთელური“ შეესაბამება. ამას გარდა „შავთელური“ ლექსი საეპიკო ნაწარმოებთათვისაც შესაფერისია; და ალბად ამით აიხსნება რომ ჩვენს ნიჭიერ მგოსანს თავისის ერთადერთის, ეროვნული ნაღველით გამსჭვალულის, პოემისათვის სწორედ ეს საზომი შეურჩევია.

„შავთელურისა“ და „ბესიკური“ ლექსის ძირითადი რიტმიული ელემენტები, როგორც მოგეხსენებათ, ხუთმარცვლოვანი და ოთხმარცვლოვანი მუხლებია რომელთაც მახვილი ბოლოდ მესამე მარცვალზე აქვსთ. დანარჩენის ოთხი გვარის ლექსები: „შაირი“, „თეჯლისი“, „ბაიათი“ და „ბარათაშვილური“ რომელნიც ჩვენი მგოსნის ნაწერებში გვხვდებიან, სამმარცვლოვან მუხლებსაც ხმარობენ რომელშიაც მახვილი აგრეთვე ბოლოდან მესამე მარცვალზეა. და ამგვარად ნიკოლოზ ბარათაშვილის საყვარელი მუხლები, მის ლექსთა საზომის მიხედვით, ხუთმარცვლოვანი, ოთხმარცვლოვანი და სამმარცვლოვანი მუხლებია, ხოლო მისი საყვარელი მახვილი დაქტილურია.

მახვილიანი მარცვლები რომ მოგრძო ხაზებით (—) აღნიშნონთ და უმახვილო მარცვლები პატარა რკალებით (—), მივიღებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის გვართა (საზომთა), მუხლთა და მახვილის შემდეგს სქემას (ჩამოსმული? ხაზები მუხლების საზღვარს უჩვენებენ):

ა. ორმუხლიანი ლექსები:

1. „ბარათაშვილური“: — — — | — — — (6 მარცვალი).
2. „ბაიათი“: — — — | — — — (7 მარცვალი).
3. „რუსთაველური“ (შაირი) — — — — | — — — (8 მარც.).
4. „ჩახრუხაული“ (შაირი): — — — | — — — (8 მარც.).
5. „შავთელური“: — — — — | — — — — (10 მარც.)

აი მათი ნიმუშები (შავი მსუქანი ასოებით აღნიშნული გვაქვს მახვილიანი ხმოვანები):

1. ბარათაშვილური

„ცისა ფერს | ლურჯსა ფერს
პირველად | კმნილსა ფერს
და არ ამ | ქვეყნიერს
სიყრმიდგან | ვმტრფოდი“¹

2. ბაიათი

„განთიადით | ლმემდე
შევეფრფინვიდი | კოკრობას“²

3. რუსთაველური

„არ უკიეინო, | სატრფოო,
შენსა მგოსანსა | გშლისთქმა“³

4. ჩახრუხაული

„თუ ვმრ მცნობდი, | რად მმტყოდი:
მე შინი ვარ | საშუენოდი“⁴

5. შავთელური

„მორბის არაგვი | არაგვიანი,
თან მოსძბხიან | მთანი ტყიანნი“⁵

ბ. სამშუხლიანი ლექსები:

1. „თეჯლისი“: ◡—◡—◡ | ◡—◡—◡ | ◡—◡—◡ (11 მარცვალი).
2. „მცირებესიკური“: ◡—◡—◡ | ◡—◡—◡ | ◡—◡—◡—◡ (14 „).
3. „დიდბესიკური“: ◡—◡—◡ | ◡—◡—◡ | ◡—◡—◡—◡ (15 „)

აი ამათი ნიმუშებიც:

1. თეჯლისი

„ნუ ვინ იტყვის | ობლობისა | ვებებას!“⁶

¹ იხ. ლექსი: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“.

² ლექსიდან: „ბულბული ვარდზედ“, რომელიც ავტორს 14-მარცლოვან სტრიქონებად აქვს დაწერილი.

³ ლექსი: „არ უკიეინო სატრფოო“, რომელიც ავტორს 16 მარცლოვან სტრიქონებად აქვს დაწერილი, თუმცა არსებითად ეს ლექსი რვა მარცლოვანი შაირია.

⁴ ლექსიდან „ქეთევან“ მე-5-ე ხანა, 1—2 ტაქვები.

⁵ პოეშიდან: „ბედი ქართლისა“ მეორე კარის დასაწყისი.

⁶ ლექსიდან: „სული ობოლი“ 1-ელი ტაქვი.

2. მცირებესიკური

„ვასწი, მმრანო, | შენს კმნებას | არ აქვს სამძღვარი“;

3. დიდბესიკური

„ხმა საკრპვისა | ნელნარნარისა | სულს განაბარებს“;

ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა გვარები

(სახომი), საყვარელი მუხლები და მახვილი. როგორც ვხედავთ, უფრძესი მისი ლექსი 15-მარცვლოვანია, უმოკლესი—6-მარცვლოვანი. რითმების გამოსაჩენად ბარათაშვილი ზოგჯერ მეზობელ ტაეპებს აერთებს და ორ ტაეპს ერთ სტრიქონად სწერს. პირიქით ზოგჯერ ერთ ტაეპს მუხლებად ჰკვეთს და რამოდენსამე სტრიქონად აქცევს, არაიშვიათად ერთსადაიმევე ნაწარმოებში სხვადასხვა სახომის (გვარის) ხანებხაც ხმარობს, მაგრამ მის 38 ნაწარმოებში

1 „მერანი“ 1-ლი ხანა, მე-3-ე ტაეპი.

2 ლექსიდან: „ნა... ფორტოპიანოზე მომდგრალი“ რომელშიაც ეს 15-მარცვლოვანი ლექსი რითმების გამოსაჩენად მუხლებადაა დაკვეთილი და ყოველი ტაეპი სამ-სამ სტრიქონადაა დაწერილი. შეადარეთ პოემის („ბედი ქართლისა“) მიძღვნა „კახთა მიმართ“, სადაც ეს დიდბესიკური ნორმალურადაა დაწერილი.

3 მაგალითად ლექსებში: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევანის“ მეორე და უკანასკნელ ხანებში, „შეჟოდება მთაწმინდაზედ“-ის შავთელურ ხანებში, „არ უკიფინო სატრფოო“, „მერანის“ შავთელურ ხანებში, „ჩინარი“, „ძრწოდე კავკასო“, „მადლი შენს გამჩენს“, „დამქროლა კარმან“, „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“.

4 მაგალითად ლექსებში: „თავადის კ—ძის ასულს“ (თვითველი ხანის პირველი ორ ორი სტრიქონი), „საყურე“ (აქაც პირველი ორ-ორი სტრ.), „კნიაზ ბარათაევისაზარფეშაზედ“ (ერთი ტაეპი, სამ სტრიქონადაა დაბეჭდილი), „ფორტოპიანოზე მომდგრალი“ (აქაც ყოველი ტაეპი სამ-სამ სტრიქონადაა დაკვეთილი).

5 ასეთია მაგალითად ლექსები: „ქეთევან“² (რომელშიაც ორი პირველი და ორი უკანასკნელი ხანა რუსთაველური შიირია, დანარჩენები—ჩახრუხაული), „შემოღამება მთაწმინდაზედ“ (რომელშიაც კენტი ხანები მცირე ბესიკურია; ხოლო ლუწები—შავთელური), „მერანი“ (რომლის 1-ლი, მე-4-ე, მე-7-ე და მე-9-ე ხანები მცირე ბესიკურია, დანარჩენები შავთელური), „მიყვარს თვალები მიბნედილები“ (რომელშიაც 1-ლი და მე-3-ე ხანა შავთელურია, მეორე და მეოთხე კი დიდი ბესიკური). თუ რა არის „ხანა“ და „ტაეპი“, ამაზე იხ. ჩვენი „ქართული წყობილსიტყვაობა“, გვ. 23—32.



ვერ უჩვენებთ ისეთ ლექსს (სამს ვარდა*), რომლის ერთსადაიმაცე ხანაში სხვადასხვა საზომის ტაეპები იყოს არეული. ამ მხრით ნიკოლოზ ბარათაშვილის წყობილსიტყვაობაში ტაეპთა სამაგალითო თან ზომიერებაა დაკული და ეს თანაზომიერება მის ლექსთა თითქმის 85 პროცენტში სრულს იგივეობამდე უწევს.

მაგრამ ვერ ვიტყვით—ტაეპთა და ხანათა ეს იდეალური სიმწყობრე. ლექსის ტეხნიკური სიმეტრია, ნიკოლოზ ბარათაშვილს იაფად უჯდებოდეს: ამ გარეგანს სიმწყობრეს მის ლექსში ხშირად მსხვერპლად ეწერება ენის გრამატიკული სისწორე და ბუნებრივობა, რაც მოასწავებს სალექსო მუხლებისა და მახვილის ბუნებრივობის დარღვევას. აი ეს არანორმალური მოვლენანი ჯგუფებად დაყოფილნი:

1. მარცვლის მიმატება. რომ მუხლი და ტაეპი შეავსოს, ავტორი ზოგჯერ იძულებული ხდება გრამატიკის წინააღმდეგ ზედმეტი ასო ჩაურთოს (ეს ასოები შავად გვაქვს აწყობილი: „უბიწოო

* ეს სამი შემთხვევა გვხვდება ლექსებში: „ჩონგურს“ (რომლის ყოველ ხანაში ორი პირველი ტაეპი შავთელურია და მესამე დიდბესიკური). „ფიქრნი მტკერის პირას“ (რომელიც მკირებესიკურიითაა დაწერილი მაგრამ ერთი ტაეპი, სახელდობრ მე-6-ე ტაეპი ბოლოდან, 15 მარცვლოვანია; მაგრამ შესაძლოა სიტყვა „უნდა“ აქ შეცდომით იყოს სრულად დაწერილი, ნაცვლად ბოლოვეცილის ფორმისა: „უნდ“) და „ძრწოდე კავკასო“ (ანუ „ომი საქართველოს თავდაზნაურთა“) რომლის უკანასკნელ ხანაში პირველი სტრიქონის პირველი ნახევარი რუსთაველური შაირია, მეორე ნახევარი კი ჩახრუხაული (—„ღირსნი თქვენთა | წინაპართა“), დანარჩენი ტაეპები კი ამ ლექსისა ყველა რუსთაველურია.

ბარათაშვილის ლექსთა მეხუთე გამოცემაში (1895 წ.) ორს ლექსში ვგონებ კორექტურული შეცდომაა შეპარული. ეს ლექსებია: „ღამე ყაბახე“ (გვ. 67, მე-9-ე ტაეპში სწერია: „აქ-იქ“, უნდა იყოს „აქა-იქ“) და „ელოცავ დღეს ჩემის გაჩენის“ (გვ. 80), რომლის პირველ ტაეპში სწერია „ბედნიერ“, უნდა კი იყოს „ბედნიერი“ (შეადარეთ „ღამე ყაბახის“ მეორე ვარიანტი, იქვე გვ. 86, მე-11-ე ტაეპი, სადაც სიტყვა „აქა-იქ“ სისწორითაა დაწერილი). ვგონებთ ასეთისავე კორექტურული შეცდომის ნაყოფი უნდა იყოს ლექსში „ცისა ფერს“ მეშვიდე სტრიქონში: „ფიციავ—არ ვეტრფო“, ნაცვლად სწორის ფორმისა: „ფიფიციავ არ მეტრფო“.

იყვარული“; „გალიაშიბ დატყვევებული“—ნაცვლად სწორი ფორმებისა: „უბიწო სიყვარული“, „გალიაში დატყვევებული“. ამავე კატეგორიას ეკუთვნის უმარცვლოვნოს „ღ“-ს გამარცვლოვანება (ე. ი. სრულბმოვან „ი“-დ გადაქცევა) სიტყვებში: „ჰოა“; „ვაა“; და ჭრახელაც „მდელია“.

2. მარცვალთა დაკლება. პირიქით, როცა სიტყვის სწორი გრამატ. ფორმა მუხლისა და ტაეპის ზომას აღმატება, მაშინ ავტორი ასეთს სიტყვებს ასოებს აკვეცავს: „მტანჯ ჩემო“ (ნაცვლად სწორი ფორმისა: „მტანჯღ“ ან უკეთ „მტანჯამღ ჩემო“), „მის მხვედრმა“ (ნაცვლად სწორი ფორმისა: „მისმ მხვედრმა“), „იდაყვ-დაყრდნო-

1 ლექსი „ქეთევან“ ხან. 4, ტაეპ. 4.

2 პოემიდან „ბედი ქართლისა“ (მეხუთე გამოცემა, გვ. 37, ბოლოდან მე-2-ე ტაეპი). — ასეთივე ზედმეტი ასო გვხვდება სიტყვაში: „ჩრდილშია“ (იხ. ლექსი „საყურე“, ხანა 3, ტაეპ. 3).

3 იხ. „შეჟოლაძე მთაწმინდაზედ“ ხანა 1 ტაეპი; იმავე ლექსში ხანა 9, ტაეპი 2 და ხანა 10, ტაეპი 1; ლექსი „ჩონგურს“ ხ. 2, ტ. 1; „ბედი ქართლისა“, კარი მეორე, ტაეპი მე-5-ე; იმავე პოემაში (მახუთე გამოც. გვ. 38): „ჰოი დედანო, მარად ნეტარო“. ბარათაშვილის ლექსებში ეს სიტყვა თავისი ბუნებრივი ფონეტიკური სახითაც იხმარება („ჰოა“), თუმცა ახირებულად კი არის დაწერილი: „ჰი“ (უნდა კი იყოს „ჰოა“ ან ერთი ასო „ჰ“ რომელიც უდრის ამავე სამს ასოს — „ჰოა“; აი ეს შემთხვევანი: „საყურე“ ხ. 5 ტ. 1, („ჰი საყურეო“ — ჰოა საყურეო), პოემა „ბედი ქართლისა“ (მეხუთე გამოც. გვ. 24 ბოლოდან მე-4-ე ტაეპი: „მაგრამ, ზი გმირნო“ — „მაგრამ, ჰი გმირნო“; შეად. გვერდი 30, ტაეპის: „ჰი ღმერთო“ — „ჰოა ღმერთო“); „ჩემი ლოცვა“ ხ. 2, ტ. 1; „ალმოჰხდა წნათი“ ხ. 5, ტ. 1; „სულო ბოროტო“ ხ. 5, ტ. 1; „ჰი მაცდურო“ — ჰოა მაცდურო.

4 იხ. „სუმბული და შწირი“ უკანასკნელი ხანა, ტ. 3: „ვაა თუ მასაც“ — „ვაი თუ მასაც“; ხოლო ლექსში „სულო ბოროტო“ უკანასკნელს ხანაში, ტ. 4: „მამ მას ვისაცა“ ეს სიტყვა სისწორითაა ნახმარი.

5 ლექსი „არ უკიენო სატრფოო“, ხანა 8, ტაეპი 2 სადაც სწერია: „მდელია“ რომელიც აქ უნდა გამოითქვას — „მდელი“, რადგან ლექსი რუსთაველური ზაირათაა დაწერილი და მთელი ეს სიტყვა ამ საზომის მეორე მუხლს (— —) შეადგენს.

6 „ბულბული ვარდზედ“ ხ. 1, ტ. 2.

7 „ქეთევან“ უკანასკნელი ხანა, ტ. 2.

ბილ“ (ნაცვლად ფორმისა: „იდაყვ-დაყრდნობილი“), „კეთილ მეფე“ (ნაცვლად ფორმისა: „კეთილი მეფე“, „თვის სახელი“ (ნაცვლად ფორმისა: „თვისი სახელი“), „უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ“ (ნაცვლად ფორმისა: „უბედურებაც ბედნიერებად აქვნდეთ“), „ყოველივ“ (ნაცვლად სრული ფორმისა: „ყოველივე“), „გული ცხოველ“ (ნაცვლად ფორმისა: გული ცხოველი“), „ზოგნი ტრფიალ“ (ნაცვლად სრული ფორმისა: „ზოგნი ტრფიალნი“), აქ ანგარიშში არ ჩავეითანთ იმ შემთხვევებს როცა ავტორი ძველქართულის ნორმების თანახმად ხმარობს სიტყვებს ბოლოკვეცილი ფორმებით (ეგრეთ წოდებულ შედგენილ შესმენილში), არც პირდაპირ კლასიკურ ფორმებს ზმნებისას: „მასე“ (ძველად იწერებოდა: „მასუ“) და „მარქე“ (ძველად: „მარქუ“).¹⁰

3. სიტყვების არაბუნებრივი დანაწილება მუხლებში. არაიშვიათად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში სიტყვები არაბუნებრივად დაგლეჯილ-დანაწილებულია მეზობელ მუხლებში. აი პირველშეხვედრილი ორიოდე მაგალითი (ასეთი სიტყვები შავი მსუქანი შრიფტით გვაქვს აწყობილი):

„ბულბული ვარდზედ მჯდარი“¹¹.

1 „ფიქრნი მტკვრის პირას“, ტაეპი 7.

2 „ფიქრი მტკვრის პირას“. ხ. 4, ტ. 1.

3 იქვე ხ. 4, ტ. 5.

4 „ბედი ქართლის“ (მეხუთე გამოცემა), გვ. 31, ბოლოდან მესამე ტაეპი.

5 იქვე, გვ. 31, ბოლოდან 1-ლი ტაეპი

6 იქვე, გვ. 39, ტ. 4.

7 „ლამე ვაბახზედ“ ხ. 2, ტ. 6.

8 ასეთია ფორმები: „ცულ იყო“ („ბედი ქართლისა“, გვ. 26, ტ. 13), „საყვარელ არს“, „საყვარელ იყო“ (იქვე, გვ. 36, ტ. 8-მოდან 4 და ქვემოდან 5). ამავე კატეგორიას ეკუთვნის ფორმაც: „მალხიზნებელ დაბინდულის სულასა“ (იხ. „ჩემს ვარსკვლავს“ ხ. 3, ტ. 4) და „ბედნიერ ვარ“ (ლექსში: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ ხ. 1, ტ. 1).

9 „ჩემი ლოცვა“, ხ. 3, ტ. 1.

10 „სუმბული და მწირი“ ხ. 4, ტ. 1.

11 „ბულბული ვარდზედ“ ხ. 1 ტ. 1.



„ზვირთები მოდუ | დუნებენ,
ქალები ბუჩქნა | რეობენ“

„მაინც გეტრფი | თუმცა ხშირადა მკლავო“.

4. არაბუნებრივი მახვილი. ბარათაშვილის ლექსში მახვილის ბუნებრივობაც არ არის ყოველთვის დაცული, სახელდობრ: მისი სალექსო მახვილი ყოველთვის არ უდრის ბუნებრივს საგრამატიკო მახვილს, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ორმარცვლოვან სიტყვებში ბოლოდან მეორე მარცვალზე ზის, ხოლო სამ-და-მეტმარცვლოვანებში, აგრეთვე ეგრეთ წოდებულ „სასინტაქსო ჯგუფებში“ ბოლოდან მესამე მარცვალზე. აი რამოდენიმე მაგალითი ამ ბუნებრივი სამახვილო კანონის დარღვევისა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან:

„მაგრამ მგოსან | სბ თურმე“⁴

„თვალნი ემო | სბ ცრემლით“⁵

„ქეთევან ნაქე | ბი გულით“⁶

„რომ ჩემმბრ იგიც | იყრ მწუხარ | და სვედინი“⁷

მაგრამ ჩვენი ნიჭიერი მგოსნის სასახელოდ უნდა ითქვას რომ სამახვილო კანონის და მუხლის ბუნებრივობის დასახელებული დარღვევა უფრო მის პირვანდელ ნაწერებში გვხვდება, შემდეგში კი პოეტმა ეს ნაკლი თანდათან აიცილა და თავისი ლექსი მახვილისა და მუხლთა ბუნებრივობის მხრით მუსიკალობის საკმაოდ მაღალ ხარისხზედ აიყვანა, სინიშნოდ საკმაოა დავასახელოთ ისეთი ლექსები როგორნიც არიან: „ნაპოლეონ“ (დაწერილია 1838 წელს), „თავადის ქვეყავადის ასულს ეკატერინას“ (დაწერილია 1839 წელს), „ჩემი ლოცვა“ (დაწერილია 1840 წელს), „არ უკიყინო სატრფოო“

1 „ქეთევან“ ხ. 1, ტტ. 1—2.

2 „ჩემს ვარსკვლავს“ ხ. 1, ტ. 2.

3 იხ. ჩვენი „ქართული წყობილსიტყვაობა“ თავი II, გვ. 10—15.

4 „ბულბული ვარდზედ“ ხ. 3, ტ. 1.

5 იქვე, ხ. 4, ტ. 1.

6 ლექსი „ქეთევან“, მე-8-ე ხანა, მე-3-ე ტაეპი. ამ ტაეპში ორივე მუხლის მახვილი არაბუნებრივია.

7 „შემოღამება მთაწმინდაზედ“, მე-3-ე ხანა, მე-4-ე ტაეპი. ამ ტაეპის პირველი ორი მუხლის მახვილი არაბუნებრივია, მესამე მუხლისა კი ბუნებრივი.

(1841 წ., „ჰჰოვე ტაძარი“ (1841 წ.), „მერანი“ (1842 წ.) და „სულო ბოროტო“ (1843 წელს)*.

დავერჩა განსახილველი ნიკოლოზ ბარათაშვილის რითმა.

ქართული ლექსის ერთ საუკეთესო სამკაულს რითმა შეადგენს. შეტსაც ვიტყვი: თუ მხედველობაში იმ გარემოებას მივიღებთ, რომ ქართული ხალხური ლექსი მუდამ შერიტმულია და ურიტმოდ არასოდეს არა გვხვდება, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ რომ რითმა ჩვენი ლექსის განუყრელს, თითქმის ორგანიულს კუთვნილებას წარმოადგენს. მართალია—ჩვენს მწერლობაში უძველესი დროიდან ურიტმო ლექსებიც გვხვდება, და კეთილზმოვანებით არც ერთი მათგანი

* არის კიდევ ენის ბუნებრივობის ერთი მხარე რომელსაც პოეტები ჩვეულებრივ არღვევენ ხოლმე, სახელდობრ სიტყვათა დაწყობის წესი წინადადებაში. ეს წესი ქართულ სადასიტყვაობაში ჩვეულებრივ ასეთია: „წინადადების უპირატესი ნაწილი, სახელდობრ **შემასმენელი ჩვეულებრივ ბოლოში დაისმის**, ხოლო მასზე დამოკიდებული დამატებანი, გარემოებითი სიტყვები და ქვემდებარე შემასმენელის უახლოვს ადგილს ლოგიური უპირატესობით მიხედვით იკერენ. რაც შეეხება წინადადების დანარჩენ ნაწილებს, იგინი იმ სიტყვების გვერდით (უფრო ხშირად წინ, იშვიათად უკან) დაისმიან რომელთაც ეკუთვნიან და განმარტებენ (იხ. ჩვენი გამოკვლევა: „ქართული სადასიტყვაობა“. თფილისი. 1915. გვ. 37—38) და როგორც ჩანს, **პროზაში** ნიკოლოზ ბარათაშვილი საკმაო სისწორით ასრულებდა ამ წესს (იქვე, გვ. 9, სხოლიო მე-2-ე, სადაც ნაჩვენები გვაქვს ბარათაშვილის სამი წერილი: გრიგოლისადმი 1841 წლის თარიღით და მაიკოსადმი. 1842 და 1845 წლების თარიღებით); მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით მისი **პოეზიის** შესახებ და არც გასაკვირალია: პოეტს და ისიც ლირიკოს-პოეტს ვერ მოვსთხოვთ—წყობილსიტყვაობაში (ლექსში) არასაწყობილსიტყვაო (საპროზო) ნორმები უსათუოდ დაიცვას, თუმცა დიდად სასურველი კია—ენის ეს ბუნებრივი ნორმები, რამდენადაც კი შესაძლოა, პოეზიაშიც დაცულ იქნას. როგორც ვიცი, ხალხი და რუსთაველი თავისუფლად ახერხებენ ქართული ენის ამ თვისების დაცვას (იხ. იქვე მაგალითები, გვ. 15—19), რის მეოხებითაც მათი ლექსი საოცრად მსუბუქი და უმაღლესად მუსიკალურია. ბარათაშვილის ლექსს ეს სიმსუბუქე აკლია.

1 ასეთია მაგალითად ძველი დრთხს „იამბიკოები“, ვრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“, ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი შექსპირის ტრაგედიები და სხვანი.

ტონური სისტემის „თეთრ ლექსებს“ არ ჩამოუფარდება, — მაგრამ ქართული კაცის ყური რითმიან ლექსს იმდენად შესჩვევია რომ ურითმო ლექსი ლექსადაც არ მიიჩნია. და მართლაც რითმა ლექსის კეთილზმოვანების შექმნაში ერთს ახალ ფაქტორს წარმოადგენს: თუ ლექსში მუხლთა და ტაქტთა რიტმიული თანამიმდევრობის წყალობით ენის კეთილზმოვანება უმაღლეს ხარისხამდე აღის, — რითმის შემწეობით თვით ლექსის მუსიკალობა უმწვერვალესობამდე უწევს. რითმა ქართული ლექსის მუსიკალობის ერთი უუძლიერეს ფაქტორთაგანი და უსაჭიროეს პირობათაგანია, ეს კარგად ჰქონიათ შეგნებულნი ჩვენს კლასიკოს მგოსნებს (შავთელს, ჩახრუხაძეს, რუსთაველს) და განახლების პერიოდის უნიჭიერეს პოეტებს (გურამიშვილსა და ბესიკს), რომელთა უკვდავი ქმნილებანი ყველანი შერითმულნი არიან და იმავე დროს რითმიანი ლექსის საუკეთესო ნიმუშებსაც წარმოადგენენ.

ეს შეგნებული ჰქონია ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, რომლის 38 ლექსში არც ერთი არ არის ურითმოდ დატოვებული, თუმცა თითო-ოროლა სტრიქონი კი ზოგიერთ ლექსში ურითმოდაც გვხვდება.

მის 38 ნაწარმოებში სულ 1176 სტრიქონია: ამათში ურითმოდ დატოვებულია მხოლოდ 24 სტრიქონი, დანარჩენი 1152 სტრიქონი კი რითმიანია. მაშასადამე რითმათა რიცხვიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში. 1152—ია: ამ რიცხვს უნდა მივუმატოთ ორი რითმა, რომელიც ერთი ლექსის „ჩონგურის“ ორი პირველი სტრიქონის შინაგან მუხლებში გვხვდება, და მივიღებთ რითმათა საერთო რიცხვს, სახელდობრ 1154-ს. ამ რიცხვში „შინაგანი რით-

ქართული რითმის შესახებ საზოგადოდ ახ. „ქართული წყობილსიტყვაობა“ გვ. 28—36.

² აი ეს სტრიქონები: „ფიქრნი მტკვრის პირას“—2 (მე-17-ე და მე-26-ე); „ჩონგურის“—3 (მესამე, მეექვსე და მეცხრე); „ნაპოლეონ“—6 (ყოველი ხანის პირველი სტრიქონი); „ბედი ქართლისა“—2 (ერთი პირველ კარში: „ოდეს მოყმენი ვით მამას შვილი“ და ერთიც მეორე კარში: „რასა ვიპოვით ჩვენ სიცოცხლეში“); „მიყვარს თვალები“—2 (შავთელური ხანების მესამე ტაქტები); „შენნი დაღალწერილობენ გველად“—2 (მესამე ტაქტები ორსვე ხანაში); „ეჩიან ბარათაყვის ახარფეშაზედ“—1 (მესამე); „ცისადერს“ 6 (მესამე და მეოთხე, მეხუთე და მეექვსე, მე-17-ე და მე-19-ე).

შიმა“ მხოლოდ 44-ია, დანარჩენი 1110 „გარეგანი რითმაა“
 გარეგანი რითმები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში შემდეგი
 კომბინაციებათა გვხვდება:

1. ზოგიერთ ხანაში ყველა სტრიქონი ერთისადაიმავე რითმი-
 თაა შეწყობილი. რადგან ხანებში ჩვეულებრივ ოთხ-ოთხი სტრიქო-
 ნია, ეს კომბინაცია სქემატიურად ასე შეიძლება გამოიხატოს: aaaa.
 ამ კომბინაციით არის შეერთებული მთელი ლექსი „ვპოვე ტაძარი“,
 ლექსის „ბულბული ვარდზედ“ ყველა ხანა გარდამეორისა და თითო
 ხანაც შემდეგი ლექსებისა: „ძრწოდე კავასო“ 1-ლი ხანა და „დამ-
 ქროლა ქარმან“ 1-ლი ხანა.

2. ზოგჯერ ხანაში პირველი სტრიქონი ურითმოა, დანარჩენი
 სტრიქონები ერთსადაიმავე რითმის ატარებს. ურითმო სტრიქონი
 რომ ნულით (0) აღვნიშნოთ, მივიღებთ ამ კომბინაციის შემდეგს სქემას:
 0aaa. ამ კომბინაციით შეწყობილია ერთადერთი ლექსი: „ნაპო-
 ლეონ“.

3. ზოგჯერ ხანაში ურითმოდ მესამე სტრიქონია დატოვებუ-
 ლი, დანარჩენებს კი ერთიდაიგივე რითმა აქვსთ: aa0a. ამ კომბინაციის
 რითმებს ატარებს მთელი ლექსი: „შენნი დალალნი ყრილობენ გვე-
 ლად“ და 1-ელი და მე-3-ე ხანა ლექსისა: „მიყვარს თვალები“.

4. გვხვდება აგრეთვე ასეთი კომბინაცია: abba, ე. ი. შუა
 სტრიქონები ერთმანეთთანაა რითმით შეწყობილი და ნაპირა სტრი-
 ქონები — ერთმანეთთან. ასეთია ნაგალითად რითმების კომბინაცია
 1-ელ, მე-3-ე, მე-7-ე და მე-9-ე ხანებისა ლექსში: „შემოლამება მთა-
 წმიდაზედ“ და ლექსის „როს ბედნიერ ვარ“ ყოველი ხანის პირველ
 ოთხ ტაეპში.

აი ეს რითმები: თ. კ — ძის ასულა ეკ — ას“ 12 (ყოველი ტაე-
 პის პირველი ორ-ორი სტრიქონი); „საყურე“ — 12 (აგრეთვე); „თ. ბა-
 რათაშვილის აზარფეშაზედ“ — 2 (პირველი ორი სტრიქონისა); „ფორ-
 ტოპიანოზე მომღერალი“ — 16 (ეს ლექსი დიდბესიკური საზომითაა და-
 წერილი, ე. ი. სამმუზლიანია და ყოველი ტაეპის პირველი ორ-ორი
 მუხლი ერთმანეთთანაა შეერთებული.) შინაგან რითმებად უნდა ჩაითვა-
 ლოს ამით გარდა კიდევ „ჩონგურის“ პირველი ორი ტაეპის პირველი
 ორი მუხლის დაბოლოებანი: „მოთქმანი“ და „ოხერანი“. ამ ლექსის
 დანარჩენ ტაეპებს შინაგანი რითმები აღარა აქვს. და ამგვარად ბარათაშვილის
 რითმათა საერთო რიცხვი იქნება 1152 და 2 — 1154.



5. შედარებით უფრო ხშირია ასეთი კომბინაცია: **ABAB**, **ABBA**, **ABBA**, **ABBA** კენტრი სტრიქონები ერთმანეთთანაა შეწყობილი და ლუწები ერთმანეთთან. მთლად ამ კომბინაციით შერითმულია ორი ლექსი: „სატრფოვ მახსოვს“ და „ძია გ—სთან“; ამას გარდა ამ კომბინაციის რითმებს ატარებს მე-5-ე ხანა ლექსისა „შემოღამება მთაწმიდაზედ“, და პირველი ხანა პოემის მიმართვისა კახთა მიმართ, 1-ლი ხანა „ჩემი ლოცვისა“ „ქეთევანის“ ყველა³ ხანები გარდა 1-ელისა და მე-8-ისა.

6. მაგრამ ბარათაშვილის საყვარელი კომბინაცია ასეთია: **aabBcc** და სხვანი, ე. ი. ყოველი ორი მეზომელი სტრიქონი ერთმანეთთანაა შერითმული. ამგვარად არის შეწყობილი მთელი პოემა „ბედი ქართლისა“ და მისი მიმართვის ორი უკინასკნელი ხანა: აგრეთვე მთლად შემდეგი ლექსები: „კმა იღუმალი“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ჩჩილი“, „სული ობოლი“ „აღმობხდა მნათი“, „ჩემთ მეგობართ“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „სუმბული და მწირი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „მერანი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სული ბოროტო“, „შევიშრობ ცრემლსა“, „ღამე ყაბახზედ“, „ჩინარია“ და „მადლი შენს გამჩენს“. ამ კომბინაციის ხანები გვხვდება შემდეგს ლექსებშიაც: „ბუღბული ვარდზედ“ (მე-2-ე ხანა), „ქეთევან“ (1 და 8 ხ.), „შემოღამება მთაწმიდაზედ“ (მე-2 4, 6, 8, 10 ხ.), „ჩონგური“ (ყოველი ხანის პირველი ორ-ორი ტაეპი) „ჩემი ლოცვა“ (ყველა ხანაში გარდა 1-ელისა), „მიყვარს თვალები“ (2 და 4 ხ.), „ძრწოდე კავკასო“ (1-ელს გარდა ყველა ხანა და „და-მქროლა ქარმან“ (მე-2-ე ხანა).

გვხვდება ბარათაშვილის ლექსებში ამგვარი შეერთებაც შინაგანისა და გარეგანის რითმებისა: პირველი ორი მუხლი ერთმანეთთანაა შერითმული, ხოლო მესამე მუხლი შეწყობილია მეორე ტაეპის მესამე მუხლთან. ასეა შერითმული მაგალითად ლექსი „ხმა საკრავისა“ (რასაკვირველია, როცა მას დაეწერთ მისი საზომის თანახმად ასე):

„ხმა საკრავისა | ნელნარნარისა | სულს განახარებს
და მშვენიერის | ენა ამიშლის | გულისა ქირებს“.

როგორც ვხედავთ, ამ კომბინაციაში გარეგანი რითმები ამავე (მე-6-ე) კომბინაციისა არის.

7. დასასრულ რითმების კომბინაციათა შორის ყურადღებას იქცევს უუგარეგანესი რითმები, ე. ი. როცა წინა ხანის უკინასკნელი სტრიქონი რითმით უდრის შემდეგი ხანის უკინასკნელ სტრიქონს. ასე არის დაწერილი შემდეგი ლექსები: „თავ. კ—ძის ასულს

ეკატერინას¹, „საყურე“ და „როს ბედნიერ ვარ შენტან ყოფ-
 ნითა“.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის ლექსი ღარიბი
 არ არის რითმით და არც რითმათა კომბინაციებით. თუმცა ამ
 უკანასკნელის მხრით იგი დიდად ჩამორჩება ბესარიონ გაბაშვილის
 ლექსს (შეადარეთ ამათი „ბესიკურები“). მაგრამ რითმაც არის და
 რითმაც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში ჩვენ სამგვარი შედგენი-
 ლობის რითმა გვხვდება: სამმარცვლოვანი, ორმარცვლოვანი და ერთ-
 მარცვლოვანი.

აი პირველშეხვედრილი ნიმუში (რითმება შავი ასოებით გვაქვს
 აწყობილი):

1. სამმარცვლოვანი: „მორბის არაგვი არა-გვიანი
 თან მოსძახიან მთანი ტყიანნი“.
2. ორმარცვლოვანი: „და შეუპოვრად მოუთა-მაშებს
 გარემო თვისსა ატეხილს ქალებს“.
3. ერთმარცვლოვანი „როგორ იქნება არ განისეე-ნოს?
 სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ლეი-ნოს“.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექ-
 სებში სულ 11¹/₄ რითმაა. ამ რიცხვში სამმარცვლოვანი რითმა მხო-
 ლოდ 276-ია², დანარჩენნი ორმარცვლოვანი და ერთმარცვლოვანი
 რითმებია, სახელდობრ: ერთმარცვლოვანი არის 350³, ხოლო ორ-
 მარცვლოვანი — 28, როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის უფრო სა-
 ყვარელი რითმა ორმარცვლოვანი ყოფილა. შემდეგი ადგილი უჭი-
 რავს ერთმარცვლოვან რითმას და უკანასკნელი სამმარცვლოვანს. ამ
 ციფრებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბარათაშვილის ლექსის მუსიკა-
 ლობის აეკარგიანობის გამოსარკვევად.

როგორც თავის ალაგას შევნიშნეთ, ბარათაშვილის ყველა
 ლექსი იმგვარის საზომითაა დაწერილი რომ არცერთ მათგანში
 სამმარცვლოვანზე ნაკლები მუხლი არ მოიპოვება, რისგამოც ყო-
 ველი ტაეპის უკანასკნელი მუხლი იქ მუდამ დაქტილურ მახვილს

¹ ამაში 102 რითმა პოემა „ბედი ქართლისა“ და მისი მიმარ-
 თვისაა.

² ამ რიცხვში მარტო პოემისა და მისი მიმართვისა 13¹/₄ რი-
 თმაა.

³ აქედან მარტო პოემისა და შესავლისა არის 191 რითმა.

ატარებს (ე. ი. ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვს ხმის ამოღობა). ამგვარს მუხლებში კი მუსიკალურად კეთილზმოვანი მხოლოდ სამმარცვლოვანი რითმა გამოდის, ორმარცვლოვანი რითმა უფრო ნაკლებ მუსიკალურია, ხოლო ერთმარცვლოვანი პირდაპირ ქართული რითმის კარიკატურას წარმოადგენს, განსაკუთრებით იმათთვის, ვისი სმენაც შავთელისა, ჩაბრუბადისა, რუსთაველისა, გურამიშვილისა და ბესიკის ლექსის ღვთაებრივს მუსიკას არის შეჩვეული*.

მაგრამ ბარათაშვილის რითმებს სხვაგვარი ნაკლიც ახლავს. უმეტეს მათგანში ერთგვარობა მხოლოდ ხმოვან ბგერებსა და უკანასკნელი მარცვლის ერთს ან ორს თანხმოვანებშია დაკული, რითმის დანარჩენი ფონეტიკური შედგენილობა კი ფრიად აპრელებულია. აი მაგალითები:

1 სამმარცვლოვანი რითმებიდან: „სოფელი“ და „მოგელი“, „ვპტეჟობდი“ და „ვიტყოდი“; „ანკარა“ და „კამარა“; „უბედურება“ და „თავი-სუფლება“; „შიში-ანობა და „ხახლო-

* როგორც უკვე შენიშნულია (იხ. ჩემი „ქართული წყობილსიტყვაობა“, გვ. 31), ორმარცვლოვანი რითმა მაშინ არის კეთილზმოვანი როცა მუხლიც ორმარცვლოვანია, მაგრამ, როგორც ესტკვეთ ბარათაშვილის ლექსში ორმარცვლოვანი მუხლი არ მოიპოვება. აგრეთვე ერთმარცვლოვანი რითმაც კეთილზმოვანი მხოლოდ მაშინაა, როცა ქართული ლექსის ტაეპთა უკანასკნელი მუხლები ერთმარცვლოვანი არიან, მაგრამ ამგვარი მუხლების შემოტანა ჩვენს წყობილსიტყვაობაში სულ ახალი საქმეა (იგი კ. მაყაშვილს ეკუთვნის) და ბარათაშვილის დროს ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო. ამიტომ ვერც „ვაჟური“ (ერთმარცვლოვანი) და ვერც „ქალური“ (ორმარცვლოვანი) რითმა ბარათაშვილის ლექსის შესაფერისად ვერ ჩაითვლება: მისი შესაფერისი მხოლოდ „დაქტილური“ (სამმარცვლოვანი) რითმაა. — ბარათაშვილის ლექსებში აქა-იქ ხუთმარცვლოვანი და ოთხმარცვლოვანი რითმებიც გვხვდება, მაგრამ ამათ მის ლექსში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მისი საყვარელი მახვილი დაქტილურია და მახვილის წინ მდგომ მარცვლებს მუსიკალობის შექმნაში არავითარი ძალა არა აქვსთ. მნიშვნელობა იქ მხოლოდ მახვილიანსა და მის მომდევნო მარცვლებს ეძლევათ.

* „ქეთევან“ ხან. 7.

* „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ხან. 9

* „ფიქრნი შტკვრის პირას“ ტაეპ. 5—6.

* „ბედი ქართლისა“ გვ. 33, ტაეპ. 3—4, მეხუთე გამოცემისა

ბა¹, და მრავალნი სხვანი.

2. ორმარცვლოვანი რითმებიდან: „შემოკრ-ბითა“ და „წყლო-ლითა“²; „გასართ-ველად“ და „განსასვე-ნებლად“³; „მოუთა-მაშებს“ და „ქალებს“⁴; „ა-ტარა“ და „მოი-ხმარა“⁵; და სხვანი.

3. ერთმარცვლოვანი რითმებიდან: „ციო“ და „სიამით“⁶; „სათქმე-ლად“ და „ლო-ცვად“⁷; „მე-ფებს“⁸; და სხვანი. საზოგადოდ კი, რა-ღა თქმა უნდა, ბარათაშვილს ერთმარცვლოვან რითმაში უფრო ხში-რად აქვს დაცული ფონეტიკური ერთგვარობა ვინემ ორმარცვლოვა-ნსა და დაქტილურში.

ამით, რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა ვითომც ბარათაშვილის ლექსებში სრულიად არ მოიპოვებოდეს იდეალურად სწორი რითმა. არა მუსაკალური რითმები აქა-იქ ბარათაშვილის ლექსშიაც გვხვდება, მაგრამ მათი რიცხვი ისე მცირეა და იშვიათ-დროს ეს რითმები იმდენს უხეირო რითმებთან არიან არეუ-ლნი, რომ მათს მუსიკალობას იქ არამცთუ სარგებლობა არ მოაქვს, პირიქით მსმენელისა და მკითხველის ფსიქიკაში ერთგვარს კონტრას-ტის გრძნობას იწვევს (დისონანსი) და სიამოვნების ნაცვლად უსიამოვნებას ჰგვრის.

მიუხედავად ამ ტენიკურ-მუსიკალურის ნაკლისა, როგორც მკითხველს მოეხსენება, ბარათაშვილის ლექსი მაინც საყვარელია ქართველი კაცისათვის, მის ლექსს მაინც დიდი გატაცებით ვკითხუ-ლობთ და ვიზებირებთ, რთსთველის შემდგომ ბარათაშვილი მაინც პირველ მგოსნად მიგვაჩნია. იკითხება: რაშია დამარბული ამ მოვ-ლენის საიდუმლოება? სად უნდა ვეძებოთ ბარათაშვილის ლექსის მომხიბლავობის მთავარი მიზეზი?

ჩვენი თემის თვალსაზრისით ამ კითხვაზე ჩვენ მხოლოდ შემ-დეგი უარყოფითი პასუხის მიცემა შეგვიძლია:

— ეს მიზეზი უნდა ვეძებოთ არა ბარათაშვილის ლექსის გვა-

1 იქვე (გვ. 35, ტაეპ. 1—2).

2 „ბულბული ვარდზედ“ ხან. 4.

3 „ფიქრნი მტკვრის პირას“ ტაეპ. 1—2.

4 „ბედი ქართლისა“, კარი. II, ტაეპ. 3—4.

5 „ჩემთ მეგობართ“ ხან. 3.

6 „ალმოხდა მნათი“, ხ. 4.

7 „ჩემი ლოცვა“, ხან. 4.

8 „ბედი ქართლისა“, გვ. 25 სტრსქ. 13—14.

რთა სიმრავლესა და მრავალსახეობაში, არც მათს ორიგინალობაში, ბესიკსა და გურამიშვილს უფრო მეტი გვარისა და ქორიგინალური საზომების ლექსი მოეპოვებათ), არც მისი ლექსის სიმსუბუქესა და ბუნებრივობაში (რომელსაც, როგორც ვნახეთ, ბარათაშვილის ლექსი ვერ დაიკვებნის), არც რითმის მუსიკალობაში (რომელიც ბარათაშვილს ფრიად სუსტი აქვს და შედგენილობითაც მისი რითმა ლექსის საზომს იშვიათად შეეფერება),—არამედ, უეჭველია, მისი პოეზიის სხვა ღირსებებში; თუ სახელდობრ—რასი, ამისი გამორკვევა ჩვენი თემის ფარგლებს აღემატება და ამიტომ ჩვენც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; მხოლოდ შევნიშნავთ რომ სჩანს—ქეშმარიტად დიდი ყოფილა ეს ღირსებანი, თუკი ბარათაშვილის ლექსი, მიუხედავად მისი ტექნიკური დეფექტებისა, ასე ძლიერად იზიდავს, ესოდენ ძლიერად ჰზიბლავს მკითხველის გულსა და გონებას. და სალიტერატურო კრიტიკის მოვალეობას შეადგენს—ღრმად ჩასწვდეს ბარათაშვილის პოეზიის ამ უეჭველ ღირსებებს და მისი ძლიერების საიდუმლოება ყველასათვის გასაგები გაჰხადოს.

თფილისი. 1917, I, 10.



ბოლიტიკა

3. ინგოროყვა.

„კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გაიჯნვის გამო

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

• საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
სხდომაზე 7 თებერვალს 1918 წ.

შინაარსი პირველი მოხსენებისა: 1 შესავლის მაგიერ. 2 საქართველოს
სახლერები. 3 საქართველო-სომხეთის გამიჯნვის საკითხი.

1 შესავლის მაგიერ.

საუბარს პატარა მიმოხილვით, უფრო სწორედ მოვონებით,
დავიწყებ.

ამ ერთი წლის წინად, როდესაც ჩვენს საისტორიო საზოგა-
დოებაში პირველად წაიკითხე ნარკვევი: „რა ტერიტორიულ საზ-
ღვრებში უნდა განხორციელდეს თვით-მმართველობა საქართველო-
სი, სომხეთის, ადერბეჯანის და კავკასიის მთეულეთისა“, შემთხ-
ვევამ მქონდა აღმენიშნა—არსებულ პოლიტიკურ სქემათა განხილ-
ვის დროს—ერთი უცხო მოვლენა, რომელიც ინტელექტუალური პა-
ტოლოგიის დარგს უნდა მიეკუთვნოს;—მოვლენა—რომლისათვის
დღესაც ვერ მომინახავს სხვა სახელი თუ არა—სეტყვის ფეტიშიზმი.
და სჩანს, მართლაც არსებობს ასეთი ინტელექტუალური სენი, თო-
რემ სხვაგვარათ შეუძლებელია აიხსნას ის უცნაური ზეგა-
ვლენა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაზე ჰქონდა სი-
ტყვა-ფეტიციებს: ამიერკავკასია, კავკასია. ამ სიტყვა-ფეტიშების
ნიშნის ქვეშ მიდიოდა უკანასკნელი ათეული წლების ჩვენი პოლი-
ტიკური აზროვნება; არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი სქემა



ჩვენი და მეზობელი ქვეყნების მომავალი წყობილებისა, სადაც უკვე თავისთავად არ ყოფილიყვეს ნაგულისხმევი ამ ფიქტიური სახელების რეალობა: ბოლოს და ბოლოს აქ საუბარი იყო მარტოოდენ უნიტარულ, ან — თუნდა — ფედერატიულ ამიერკავკასიაზე (resp. კავკასიაზე).

მაგრამ ნამდვილად ხომ ქვეყანა ამიერკავკასია, კავკასია, — არ არსებობს. თუ რაიმე არის ეს სახელები დაბოლოს, ეს მხოლოდ ადმინისტრაციული ტერმინოლოგია რუსეთის იმპერიისა. და საყურადღებოა არაფერს გულისხმაში არ ჩაავადო ჯერ მარტო ამ ტერმინების შინაარსის ცვალებამ წარსულ საუკუნის მანძილზე: 1801 წელს კავკასია შესდგებოდა მარტოოდენ ქართლ-კახეთისაგან, ხოლო 1813-ის წლიდან მოკიდებული აქ შედიოდა დასავლეთი საქართველოცა, ჩრდილოეთი ადერბეჯანი, და კავკასიის მთელუღეთის ზოგი ადგილები: 1828 წლამდე ერევნისა და ნახჭევანის პროვინციები კავკასიად არ ითვლებოდა, ხოლო — 29 წლიდან კავკასიას შეადგენდა ჩრდილო-სომხეთთან ერთად ჩრდილო-მესხეთიც. 1878 წლამდე ყარსსა, ან ოლთისს ჯერ-კიდევ არ ეძახოდენ კავკასიას, ხოლო მიმდინარე ომების ბედი რომ სხვაგვარ წარმართებულყო, ვინ იცის კავკასიად არ მოენათლათ ტრაპიზონი, და მასთან ერთად არზრუმის, და თავრიზიც...

ამ კონგლომერატს არაფერი აერთებდა დღემდე გარდა სამხედრო დიქტატურისა. ეგრეთ წოდებულ „კავკასიაში“ მხოლოდ ხმალის გზით არის შეერთებული სხვადასხვა ქვეყნები და ქვეყნების ჩამონაჭრები: აქ შემთხვევით არის თავშემოკრებილი ერთ ქერ ქვეშ სხვადასხვა ერი. — რომლებიც არ არის გადაჭარბება ამისი თქმა, — სხვადასხვა ისტორიულ ფორმაციას ეკუთვნის:

მართლაც რა აერთებს კულტურულად სომხობას, მაგალითად, და მთელუღეთის ლეკ-ჩაჩნებს?

ან რა აკავშირებს კულტურულ-ისტორიულად და რასსიულად — თურქ ადერბეჯანლებსა, ინდო-გერმანულ სომხებსა და რასსიულად განმარტოებით მდგომარე ქართველებს?

ანა-და თუნდა რა აქვს საერთო ჯერ მარტო ფიზიკო-გეოგრაფიულადაც-ი „ამიერკავკასიის“ ქვეყნებს: ადერბეჯანის ბარსა, სომხეთის პლატო — ზეგანს, და საქართველოს, ხეობათა ამ კლასიკურ ქვეყანას:

ანა-და რამდენად განსხვავებულია ურთიერთშორის ეს ქვეყნები როგორც სამეურნეო ერთეულები: თვითეული მათგანი წარმო-

ადგენს სულ სხვა-და-სხვა ეკონომიურ-სამეურნეო პროვინციას, შემოფარგლულს ბუნებრივის საზღვრებით; და ამასთან—საქართველოს, მაგალითად, გაცილებით მეტი ეკონომიური მიზიდულობა აქვს ყუბანთან, უკრაინასთან, და დასავლეთ ევროპასთანაც, ვიდრე თუნდ მეზობელ სომხეთთან.

ცხადია, პოლოტიკური კავშირი ასეთი კონგლომერატის, ამ განსხვავებული ქვეყნებისა და ამავე დროს აქ მოსახლე კულტურულად ჰეტერონომი ერების, შეუძლებელი იქნებოდა თავისთავად, თანაბრად მიუღებელი თვითეული ერთეულისთვის, განსაკუთრებით კი საზიანო კულტურულად დაწინაურებული ერისთვის.

და ამასთან კიდევ ერთი პირობაც: ეგრეთ-წოდებულ ამიერკავკასიაში ხომ შემოკრებილია არა მრთელი ქვეყნები, არამედ უმთავრესად ქვეყნების ჩამონაჭრები; ადერბეჯანის—და სომხეთისაც—ეროვნულ-ტერიტორიული მეტროპოლიები „ამიერკავკასიის“ გარეთ მდებარეობენ; და რაიმე მუდმივსა და მტკიცე პოლიტიკურ ერთიანობას ასეთი ერთეულებისას შეუძლებელს გახდიდა ჯერ მარტო ეს გარემოება, რადგან აქ თავს იჩენდა ბუნებრივი მიდრეკილება ჩამონაჭრებისა თავის დედა-ერთეულებისაკენ, აქ ადგილი ექნებოდა მუდმივ რყევას—პოლიტიკური იდეალების წინააღმდეგობის მიზეზით, და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დაირღვევოდა ეს კონგლომერატი... ასეთი პოლიტიკური ორგანიზმი ემსგავსებოდა ორსულ არსებას, რომელსაც მეცხრე თვეზე დედობრივი ტკივილები მოუყავა...

ერთობილი „ამიერკავკასიის“ შესახებ ესოდენ ითქვას, აქ კი ხაზი უნდა გაესვას ჩვენს პოლიტიკურ დილექტანტობას. ეს უცილებელი ფაქტი, რომ არ არსებობს ქვეყანა ამიერკავკასია (რესპექტ. კავკასია) თითქო ნათელი უნდა ყოფილიყო თავისთავად, მაგრამ—სწორედ საოცარია—ეს ცხადილივი მოვლენა აღარ დარჩა ასე ადვილ დასანახი, და დავრწმუნდი, რომ ჩვენი პოლიტიკური აზრის ბევრმა პასუხისმგებელმა მესვეურმა დასახელებული მოხსენებიდან მოისმინა პირველად, სახელები კავკასია-ამიერკავკასია რომ ფიქცია არის, და ეგრეთ წოდებული კავკასია ნამდვილად რომ ოთხი სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული კოლექტივია, ოთხი ქვეყანა: საქართველო, სომხეთი, ადერბეჯანი და კავკასიის მთეულეთი. რსაინტერესოა აქ ერთი დეტალი: მოხსენების დროს ერთმა მოკამათემ თითონ ტერმინი ადერბეჯანიც-კი

მაშინ პირველად ნახმარი ჩვენს პოლიტიკურ ლიტერატურაში („ამიერკავკასიის“ აღმოსავლეთი სექტორის შესახებ), გამოვონილად მიიჩნია...

მაგრამ ფაქტები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე იდეები.

საკმაო იყო რომ ცხოვრების განვითარებას ბუნებრივი სარბიელი მისცემოდა, რათა ასე მოკლე მანძილზე ნათელი გახდარიყო, რომ „კავკასია“ მხოლოდ მექანიკურ შეერთებას წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიული ერთეულებისას:

ადერბეჯანმა უკვე დაარღვია თავისი გაჩერება და ეხლა მისთვის სახელის ძებნა ძველს ანნალებში საჭირო აღარ არის; და ნუ თუ ისიც ცხადი არ უნდა იყვეს ყველასათვის, ვისიც-კი პოლიტიკური დალტონიზმი საბოლოოდ განუკურნელი არ გამხდარა, რომ ადერბეჯანი ამიერკავკასიის ერთეულში იბრუნებოდა იქნებოდა თავისი ეროვნული მეტროპოლიის:

ან-კიდევ კავკასიის მთეულების კლანები, რომელთა პოლიტიკურ მომავალზე არავინ ფიქრობდა (გარდა ზოგი შორსმხედველი ადამიანისა), განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გაიცნობენ მთეულების ეთნოგრაფიულ რუკას, სადაც წარმოდგენილია ტომთა და ენათა ნამდვილი ხალიჩა, — კავკასიის მთეულებში თავი იჩინა ბუნებრივმა რასსიულმა მიზიდულობამ და დღეს კავკასიის მთეულების ცალკე პოლიტიკური ერთეულის ფაქტთან გვაქვს საქმე:

სომხეთში ეროვნული ძალების ინტენსიური შემოკრება ხდება, და თუ აქ დღემდე არ გადადგმულა გადამწყვეტი პოლიტიკური ნაბიჯი, ამისი მიზეზია ერთის მხრით ის მეტად გართულებული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება სომხის ერი, და ამასთან სომეხთა ნაციონალისტების ანექსიონისტური პოლიტიკაც მიმართული ჩრდილოეთისაკენ...

და ასე ერთის წლის მანძილზე ყველა თვალხილულისთვის ნათელი უნდა იყვეს ცხოვრების განვითარების ტენდენცია. რუსეთის ადმინისტრაციული ტერმინოლოგიის მიერ შექმნილი მირაჟი თანდათან იფანტება და დღეს ვფიქრობ განთავისუფლებული ვარ წინანდელი მოვალეობისაგან კიდევ გავავრცელო სიტყვა საანბანო საკნებზე.

მაინცა და მაინც თუ ამ ერთი წლის წინად გაუგებრობად იყო მიჩნეული საუბარი იმის შესახებ, თუ რა ტერიტორიულ საზღვრებში უნდა შემოიფარგლოს თვითმყო პოლიტიკური ერთეულები: საქართველ-



ველო, სომხეთი, ადერბეჯანი და კავკასიის მთელეთი, — დღეს ეს უახლოესი პრაქტიკული პრობლემა, რომელიც თითონ სინამდვილეში წამოაყენა გადასაჭრელად.

ჩვენი საუბრის საგანიც ეს — დღეს უკვე მორიგი — პოლიტიკური პრობლემა არის: გაშუქება „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯნვის ძირეული საკითხებისა.

* * *

სანამ გადავიდოდეთ ჩვენი საუბრის პირდაპირს საგანზე, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ დღეს სულ სხვა პირობებში გვიხდება საუბრის გამართვა ვიდრე წარსულ წელს. დღეს იქნებ ახდეს კიდევ ჩვენი შარშანდელი ყორნისებული ჩხავილი და აკადემიური მსჯელობა ამ საგანზე ეხლა ზედმეტიც გამოდგეს. ფაქტი მაინც ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს კატასტროფის წინაშე სდგას. და ამისი პასუხისგება არ აშორდება ჩვენი პოლიტიკის დილეტანტ მესვეურებს.

მართლაც, ჩვენ სრულიად უქმად ჩავატარეთ წარსული საბედისწერო წელი, წელი — რომელსაც ინტენსივი შემოქმედების ნიშნის ქვეშ უნდა გაველო. ჩვენ გადავავეთ ჩვენი ეროვნული ენერგია ჯერ რუსეთუმეს, თუმცა უკვე ადრევე ნათელი გახდა ამისი უმიზნობა: ჩვენ ასევე გაკრეტილებულის სიმტკიცით შევრჩით იბრელიგატი ამიერკავკასიის მთლიანობის იდეას, მაშინ როდესაც „ამიერკავკასიის“ ხაზის გვერდით — ჩვენ გემართებდა ეროვნული გეზის აღებაც, გემართებდა არ დაყოვნება ეროვნული თვითორგანიზაციით, მით უფრო რომ ბედმა გვარგუნა საბედისწერო გეოგრაფიულ მიჯნაზე ყოფნა და მცირეოდენი ცვალება საერთაშორისო განწყობილებაში ამ კატაკლიზმების დროს ჩვენ გვიქადოდა სრულს განადგურებას, ან ველური ურდოების წინ ქედის მოხრას.

და ჩვენ დავიგვიანეთ კიდევ.

მაინც და მაინც თუ წარსული წლის მანძილზე არც ერთი დამორჩილებული ერი რუსეთის სახელმწიფოსი არ იმყოფებოდა ისეთს ხელსაყრელ პირობებში — როგორც ჩვენ — ეროვნულ იდეალების უკლებლივ მისაღწევად, დღეს ჩვენი ხელმძღვანელი დასების პოლიტიკური დილეტანტობის წყალობით სრულიად უორგანიზაციო ეროვნულად და ყოველსავე რეალურ ძალას მოკლებული ვდგევართ უფსკრულის პირას. არასოდეს პან-მონგოლიზმის საფრზე (ისტორიული — მე ვიტყვოდი, როგორც წარსულ-



ლის ისე კიდევ უფრო სამერმისო საფრზე არ ყოფილა ისე ჩვენთან, როგორც დღეს. ადვილად შესაძლოა ჩვენ შემოგვერტყას კიდევ ის საბედისწერო რკალი, რომლისაგან თავის დაღწევას ჩვენ წინაპრები სცდილობდნენ, რკალი დაწყებული ბათომიდან, და იქნებ კათაგებულ აფხაზეთით (ბორჩალოს და საინგილოს მიჯნებზე შექოვლებული). ეს იგეთივე ფატალური რკალია, რომელშიაც მოექცა სომეხთა ერთი წინა საუკუნოებში, და თუ ეს ახდა, შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენც სომეხთა ერის შემდგომ „საბედისწერო რიგში ჩაედექით“... და ამ კატასტროფას აგვაშორებდა, და თუ ვერა, — მის შედეგებს მაინც გაანულებდა ჩვენი დროული თვითორგანიზაცია და ეროვნული ენერჯის ინტენსიური შემოკრება, და ამასთან — იმ საერთაშორისო განწყობილებაში რომელიც იყო წარსული წლის მანძილზე და თითქმის დღემდე, — წინდახედული ეროვნული პოლიტიკა მიმართული სამხრეთის კერძო*)...

ასეთია დღეინდელი ვითარება.

ჩვენ არ ვიცით როგორ გადაივლის ეს საბედისწერო კრიზისი. იქნებ აგვედღეს კიდევ ბედის რისხვა. მაგრამ ფაქტი კი ის არის, — ასეთი განსაცდელის დროს ჩვენ მართლაც რომ მარტოოდენ ამ ბედის ანაბარა ვართ მიშვებულნი, და გვიხდება მოიმედე ვიყვეთ იმ „ერთობილი“ ამიერკავკასიი ა, რომელსაც შესაძლოა სწორედ დღეს დაუდგეს ის მეცხრე თვე, რომელზედაც ზემოთ ვამბობდით. დღეს ჩვენ საესებით დამოკიდებული ვართ გარეშე ძალთა განწყობილებისაგან, რომლის განაჩენი სრულის მორჩილებით უნდა მივიღოთ. და თუ მოსალოდნელი განსაცდელი მართლაც აგვეილდა, შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენ დიდი პოლიტიკური ავანტაჟურა შევირჩინეთ.

* ტაუტჩევის თქმა (მისი ლექსიდან — უფროსი ძმის სიკვდილზე)

** არა მარტო სამხრეთის, ახლო ჩრდილოეთის მხრითაც. ამ საბედისწერო რკალის გარღვევის პოლიტიკა ჩვენ გვიკარნახებს ახლო კავშირს კავკასიის მთელუბთან, და საამისოდ მართლაც არის რეალური პირობები. მთიელებს ჩვენთან აერთებს არა მარტო ძმური რასიული ნათესაობა, არამედ — საარსო ინტერესებიც პანმონგოლიზმის საფრზე ორმხრივ ელის ქართულ — კავკასიურ რასას: სამხრეთით — თურქებისა, ჩრდილოეთით — რუსების; ერთი — პირველ რიგში ემუქრება საქართველოს, მეორე — მთელეთს. და თუ საქართველოს ავანგარდი მესხეთი კულტურულად თითქმის ჩამოგვაშორა ოსმალეთმა წარსული საუკუნეებში, რუსეთმა — ანასკნელ ას წელში სრულებით ამოშ.ლა მთელეთის რუსი-

ასეთ პირობებში, როდესაც მოახლოვებული კატასტროფა დაედგინა, დეც ლანდებს ისერის წინ, გამართვა აკადემიური საუბრისა — „კავკასიისა“ ეროვნული კოლექტივების სახელების შესახებ — უფლებისა და ადამიანური საპართლიანობის სახელით — მეტად სამძიმოა ჩვენთვის მორალურად; და ისედაც გორდის კვანძი აქ, ადვილად მოსალოდნელია ალექსანდრეს ხმალმა გაჰკვეთოს, და „ამიერკავკასიის ხეიმი“ (ეს ჯერჯერობით უკანასკნელი ეტაპი რუსეთის ადმინისტრაციული ტერმინის პოლიტიკური მგზავრობისა), რომელსაც მივაღებთ ული აქვს ამგზის ამ კითხვის გადაჭრა, — იქნებ ვერც-კი მოესწროს ამაზე მსჯელობას. მაინც, მე ვფიქრობ, ბაასი ამ საგანზე თავისთავადაც არ უნდა იყვეს უმნიშვნელო, რადგან იშვიათია სხვა ხალხი, რომელიც ასე ნაკლებ იცნობდეს თავის ქვეყნის ისტორიასა და ეთნოგრაფიას, ვიდრე ჩვენ...

ამ წინადატვობით შეპყრობილი გადავდივართ საუბრის საგანზე. პირველ რიგში განვიხილავთ საქართველოს საკითხს, მიმდევრით სხვა ქვეყნების კითხვას შევხებით.

შემოვფარვლოთ ჯერ საქართველოს ბუნებრივი (ამავე დროს ისტორიული) სახელები.

თგან საჩერქებო. და ეთნოგრაფიულად კავკასიის კარებს მივბჯინა. ამ სამერმისო პერსპექტივაზე მქონდა პატივი მელაპარაკა კავკასიის მთიელთა პირველ ეროვნულ ყრილობაზე (წარსულ მაისს), ხოლო საქართველოში მართოდენ აკადემიურ წრეებში, რადგან ჩვენში მხოლოდ აკადემიურ წრეში თუ შეიძლება ასეთ საგნებზე ლაპარაკი ..

ჩვენ აქაც დავიყოვნეთ. იქნებ სამუდამოდ... რომ არა ვთქვათ იმ კულტურული მისიის შესახებ, რომელიც ქართველობას ვვალეობდა — და ეხლა; ვვალეობა — კავკასიის მთიულეთში (ამ კულტურულ მისიას ხედავს რს ჩვენ გვქნება შემთხვევა კიდევ დაუბრუნდეთ). — აქ აღნიშნავდი მხოლოდ, რომ წარსული წლის მანძილზე მართლაც იყო ნიადაგი მთიულეთთან ახლო კავშირისათვის: მთიულეტში ბუნებრივი რასისული მიზიდულობა არის ქართველობასთან („ქედ“ გადაღმა მთიელებთან“ — როგორც ხსენებულ ყრილობაზე ითქ ა), და თითონ მთიელების ხელმძღვანე — ი წრეები იზიარებდენ კიდევ ქართულ ორენტაციას, ვიდრე უიმედო არ გამოდგა ჩვენი ეროვნული თვითგამორკვევისათვის, ლოდინი... და უნდა ვიცოდეთ, მომავალში ეს კავშირი იქნებ შეუძლებელიც გახდეს, რადგან მთიულეთი მეთოდური თანდათანობით თურქდება როგორც კულტურულად, ისე ლინგვისტიურად, და არც ისე შორეულ მერმისში საბოლოოდ გადავადრდება, თუ-კი იგი თურქების უშუალო გავლენის ზონაში მოჰყვა. და მაშინ ჩვენი ისტორიის მაგისტრალი დასრულდება კიდევ...

2. საქართველოს ტერიტორია,

საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ხშირად იცვლებოდა წარსულში, მაგრამ საქართველო ყოველთვის ერთსა და იმავე ტერიტორიას ვრჭავ. ეს არის ის რვა პროვინცია, რომელზედაც ქართველი ერი მოსახლეობს მთელი მისი მრავალ-საუყუნოვანი ისტორიის მანძილზე: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო (—ებლანდელი სამუსულმანო საქართველო: მესხეთი—ლაზისტანით), იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი.

ეს ტერიტორია, საქართველო, გარდა იმისა, რომ იგი ერთი მთლიანი კულტურულ-ისტორიული ერთეულია,—იგი ამავე დროს ერთი მთლიანი და განუყოფელი ფიზიკო-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა შემოფარგლული ბუნებრივი საზღვრებით. ჩრდილოეთით მას არტყია კავკასიონის ქედი; სამხრეთით მას აკრავს სომხეთის ზეგანი, რომლისაგან გამოიჯნულია თოვლიანი მთების ერთი განუწყვეტელი სისტემით; დასავლეთით არტყია ზღვა; და მხოლოდ ერთი ვიწრო პირით—სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან—ეკვრის საქართველო ადერბეჯანის ბარსა, მაგრამ აქედანაც მას ჰერეთის უდაბური ველები და საქართველოს რეინი მტკვარი გაჰყოფს.

აი დეტალურად საქართველოს ისტორიული და ამავე დროს ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრები:

ა) ჩრდილოეთით: საზღვარი იწყება შავი ზღვის პირას გაგრის კარებიდან და მისდევს ჯერ კავკასიონიდან ჩამოსულ გაგრის მასსივს; აქედან მიჰყვება კავკასიონის მთავარ ქედს ვიდრე ხევამდე; აქედან საზღვარი გადადის კავკასიონის უმაღლეს მთაგრეხილზე—პირიქითელ შტოზე — რომელიც შემოფარგლავს ხევს, ხევსურეთსა და თუშეთს; თუშეთიდან საზღვარი ხელახლა მიჰყვება კავკასიონის მთავარ წყალთა-გამყოფ ქედს ვიდრე კახის (ქურმუხის) თავამდე საინგილოს ბოლოში;

ბ) აღმოსავლეთი საზღვარაა—ზაზი კავკასიონის ქედიდან ვიდრე მტკვარ-ალაზნის შესართავამდე (ქურმუხის ხეობის აღმოსავლელი მიჯნა).

გ) სამხრეთით: ჯერ მტკვარი—ალაზნის შესართავიდან ქცია-ხრაზის

შესართავამდე, შემდეგ მთების ერთი მთლიანი წყება: ყაზახ-ბორონალს ქედი, სომხეთის ქედი, აბოც-ჩილდირის ზეგანის სამხრეთი კვერნაქი, მესხეთის (ირიჯლუს) ქედი, საქართველოს ყელის (გურჯი-ბოლაზის) შტო, ლაზისტანის ქედი და აქედან ჩამოსული კვერნაქი რომელიც მიადგება შავ ზღვას რკინის-პალოს კარებთან რიზეს სამხრეთით.

დი დასავლეთი საზღვარია—შავი ზღვა რკინის-პალოს კარებიდან მოკიდებული ვიდრე გაგრის კარებამდე.

ამ ტერიტორიას დღევანდელის ადმინისტრაციულს დანაწილებით შეიცავს: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის მხარე, სოხუმისა, ჯაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქები და ამით გარდა ოთხი ჩამონაქერი მიწერილი არა ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებზე: გაგრის უბანი, ქვემო-ყარაიას ველები, ბამბაკი და აბოცი*).

ეს რუსეთის საქართველო. ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიას შეიცავს: კისკიმის, თორთუმის და ისპირის ყოფილი კაზები და ლაზისტანის ყოფილი სანჯახი.

ასეთია საქართველოს ტერიტორიის ფარგლები. ეს ტერიტორია არის საქართველო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქართველი ერის მიწა-წყალი, სადაც მას უწარმოებია თავისი ისტორია, და რომლის ყოველი მიდამო მოფენილია ქართული მრავალფეროვანი კულტურის მონუმენტებით. აქ არ არის მითვლილი არც ერთი ნაქერი მიწა, რომელიც დაპყრობით ან სხვა რაიმე გზით ყოფილიყვეს შემოერთებული (ასეთი პროვინციებიც—როგორც ცნობილია—არა ერთი და ორი შედიოდა საქართველოს სახელმწიფოში, თვით რუსეთთან შეერთების დროსაც), აქ შემოთვარგლულია მართოდენ ძირეული ქართული ქვეყნები.

* გაგრის უბანი—ეს აფხაზეთის ჩრდილოეთი სექტორი არის, მიწერილი დღეს სოჭის ოლქზე; ქვემო-ყარაია—კახეთის ნაწილია (შირაქიერის ველების პირდაპირი გაგრძელება მტკვრამდე), რომელიც მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ადმინისტრაციული გადამიჯვის დროს მიაწერეს ადრბეჯანის მაზრებს (ყაზახსა და განჯას); ბამბაკი და აბოციქართლის სამხრეთი ოლქებია, რომლებიც აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნეში შეუერთეს სომხეთის მაზრებს (ალექსანდროპოლსა და ყარსს).

ამით გარდა საჭიროა კიდევ ორგან შესწორდეს დღევანდელი ადმინისტრაციული საზღვრები. სახელდობ, ხვეის განაპირა ნაწილი—მიწერილია დღეს თერგის მხარეზე (—სოფელ ლარსის რაიონი), ხოლო ქსტეთის რაშდენიშე სოფელი შემოერთებულია ჩვენს ხევსურეთზე (—სახანოს საზოგადოება).

*

მთელი ეს ტერიტორია, საქართველო, სულ უკანასკნელ დრო-
 მდე დასახლებული იყო ერთიან ქართველობით. ბოლო დროებში, სა-
 ქართველოს პოლიტიკურად დასუსტების ხანაში, ზოგ განაპირა
 ოლქში უცხო ელემენტი გაძლიერდა. განსაკუთრებით საზიანო იყო
 საქართველოს ეთნოგრაფიული მთლიანობისთვის წარსული საუკუნე.
 საუკუნე რუსთა მფლობელობის დამკვიდრებისა კავკასიის ქედს გადმოღ-
 მა. რუსეთის პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული
 იქითკენ, რომ საქართველოს ტერიტორია, ყველაზე კომპაქტი
 და ეროვნულად ერთფეროვანი ერთეული ამიერ - კავკა-
 სიის სამფლობელოში ეთნოგრაფიულად აეჭრელებია და ამით
 გამოეწვია დასუსტება ქართველობის, როგორც ყველაზე კულტუ-
 რული და სახელმწიფოებრივი ერისა ტრანს-კავკასიაში. სწო-
 რედ ამ პოლიტიკის წყალობით მოხდა მასიური ემიგრაცია
 მაჰმადიანი ქართველებისა მესხეთის ოლქებიდან, და მათ ნაოხარზე
 გადმოსახლებული იქმნა უცხოელობა, ასე—ჯავახეთში; ამავე მიზნით-
 ვე ყოველნაირად ხელს უწყობდენ სამშობლოში დარჩენილ მაჰმადიან
 ქართველების ლინგვისტიკურად გათურქებას, რასაც შედეგად ის მო-
 ჰყვა, რომ თუ მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე თით-
 ქმის მრთელი მესხეთი ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობდა, წარსული
 საუკუნის მანძილზე აქ ბევრგან თურქული ენა გავრცელდა; ასეთსავე
 პირობებში გაძლიერდა უცხოელთა მოსახლეობა ქართლის სამხრეთ
 სანაპიროებზე, ასე წალკაზე და სამხრით, სადაც წარსულ საუკუნეთა
 ხშირი ომიანობისა გამო ძირეული ქართული მოსახლეობა მეტად მე-
 ტად შემცირებული იყო და სადაც მზა-მზარეული საკოლონიზაციო
 მიწის ფონდი მოიპოვებოდა.

დღეს საქართველოს ტერიტორიული ავანგარდები, ნარევი-მო-
 სახლეობიანი ოლქები, სადაოდ არის აღიარებული ზოგი პოლიტიკუ-
 რი წრეების მიერ. ეროვნული მაქსიმალისტები მომიჯნავე ერებისა
 მოითხოვენ ბოლო დროს შექმნილი ეთნოგრაფიული ურთიერთობის
 მიხედვით შეცვლას ისტორიული საზღვრებისას, თუმცა ეს უკანასკნელი
 საზღვრები-როგორც ვნახეთ—თითონ ბუნებისაგან გამოკვეთილ მი-
 ჯნებს გასდევს.



რეალური მოსახლეობის პრინციპი, რომელითაც ამართლებენ თივის პრეტენზიებს ეროვნული მაქსიმალისტები, საზოგადოდ დღეს მეტად პოპულარულია ჩვენში. ბევრი მხად არის კიდევ, მარტოოდენ ამ საზომით მიუდგეს „კავკასიის“ გამიჯნვის კითხვას. მართლაც ეს პრინციპიც უსაცილოდ მისაღებია სახელმძღვანელოდ, მაგრამ სხვა ფაქტორების გვერდით, რომლებზედაც ქვემოთ გვქონდა საუბარი და ამასთან რეალური მოსახლეობის პრინციპს თან უნდა ახლდეს ისტორიულა კრიტერიუმი. წამოყენება რეალური მოსახლეობის პრინციპისა სამართლიანი იქნება მხოლოდ იქ, სადაც, ეს სამართლიანობა დარღვეული არ ყოფილა მოსახლეობის ეტლანდელი სახის შექმნის დროს. მაგრამ თუ დღეინდელი მოსახლეობის მიხედვით გადავწყვეტთ ისეთ მხარეთა ბედს, რომელიც, კოლონიზაციისა და ძალმომრეობის გზით არის გადარჯულებული, ეს ყველაზე ნაკლებ შეიძლება გამართლებულ იქმნას სამართლიანობის სახელით. ვაზომვა აქ „რეალური“ მოსახლეობის მეტრით, ეს ბოლოს და ბოლოს „რეალური“ უსამართლობა იქნება და ძალმომრეობის დაკანონება. და მოკლედ, რომ მოვჭრად — რეალური მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობის დროს ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს არა მარტო დღეინდელი მოსახლეობა, არამედ მოსახლეობა მრთელი ისტორიის მანძილზე, — უნდა ვითვალისწინებდეთ არა მარტოდენ დღეის დღეს. არამედ წარსულსაც და მომავლის პერსპექტივას, ერის სამერმისო საჭიროებას... და ჩამორთმევა ქართველი ერისათვის ძირეული ქართული ქვეყნებისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ მისი პოლიტიკურად უფლება-ახდილობის ხანაში გაძლიერდა უცხო ელემენტი, — ქვეყნებისა, რომელიც მორწყულია მისი ოფლითა და სისხლით, რომელთანაც გადამბულია იგი თანამედროვე და სამერმისო რეალური საჭიროებით, ეს იქნებოდა ყოველგვარი სამართლიანობის დათრგუნვა და ქართველი ერის თფლებათა აბურად ავდება. ქართველობა ვერ შეურიგდებოდა ამ ძელადობას, — და ეს იაკლების უფლებით, ვიდრე ჩებები ბოჰემიის ოლქების დაკარგვას, პოლონელები პოზნანის სანაპიროების ჩამოშორებას, და ან ჩენი მეზობელი სომხები სამხრეთი-სომხეთის მოტაცებას.



საქართველოს ტერიტორიულ ავანპოსტებზე — ზემოთ რომ ვახსენეთ, — არა ერთი და ორი პრეტენდენტი აცხადებს უფლებას. და აქი კიდევ საქართველოს სახელმწიფო გერბზე თითქო წინასარმეტყველებით წარწერილი იყო სიტყვები: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა იყარეს წილი“....

P.S. ჩვენ აქ აღარ ვამთავრებთ წინადადებასაც... ეს გვერდები უკვე დაბეჭდილი იყო, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა და ჯერხნობით ზედმეტად მიგვასწავს გამოვამტყუნოთ ამ მოხსენების დანართენი ნაწილი საქართველოსი და მეზობელი ქვეყნების სადაო ტერიტორიული საკითხების პრეციზული განხილვა. ჩვენი წინადადება მართლდება. 17 ამ თვეს ტელეგრაფმა მოგვითხანა სამწუხარო ცნობა, რომლის განმეორება აქ გვიძნელდება და არც არის საჭირო... და ეს იქნებ მხოლოდ პრელაუდია იყვეს კატასტროფის... მაინცა და მაინც, თუ ძალთა განწყობილება არ შეიცვალა, ბათომთან იქედება პირველი რგოლი იმ რკალისა, რომელზედაც ზემოთ ვამბობდით, პირველი რგოლი ჯაჭვისა, რომლითაც პრომეთე კავკასიონზე უნდა მილურსმონ-



ფრანგული აზროვნება და რეჟი.

დაწერილია ჟურნალ „პრომეთეასათვის“^(*)

მეველის ფრანგული ხელთნაწერით თარგმნილი.

საფრანგეთს თავის ისტორიულ წარსულში ყოველთვის ჰყავდა ისეთი პირები, რომელთაც შეეძლოთ ხოლმე ერის ენერჯიის დაელექტრონება და მისი შემზადება იმ დიადი მოვალეობისათვის, რომელიც მას უნდა შეესრულებინა მსოფლიოს წინაშე. თავისუფლებით გატაცებულმა ფრანგებმა კარგად შეიგნეს ის მძიმე მოვალეობა, რომელიც მათ ევალებოდა, როგორც მოწინავე ერს, შესძლეს კიდევ თავიანთი მოვალეობისა და უფლების შეთანხმება, და იმ ალტაცებული მოწოდების გაყოლა, რომელსაც უძღვნიდა მათ მათის ნდობით აღჭურვილი გენიოსთა კრებული.

მინდა მოვიგონო იმ გამოჩენილ ფრანგთა სიტყვები, რომელთაც აღიარეს დაუძლეველი რწმენა ერისა საკუთარ ბედის გადაჭრაში და ავირჩიე ჩემ კავკასიელ მეგობართა გასაცნობად უფრო საყურადღებო ნაწყვეტები, მკერმეტყველების დიადი ხელოვნების ღირსნი, რამაც გამარჯვების სურვილის კეთილშობილურ გატაცებასთან ერთად სამშობლოსადმი სიყვარულის ნიადაგზე, შეუწყო ხელი იმას — რომ საფრანგეთში დიდიდგან მოკიდებული პატარამდე ყველანი ერთად აღსდგნენ მტრის წინააღმდეგ.

ეს სიტყვები ახასიათებენ ერის დაუძლეველ ენერჯიას და თანაც ჰხსნიან იმ მიზეზს, თუ მტრისაგან სამშვიდობო გზას ძალად აშორებული საფრანგეთი რატომ ეძგერა ერთის შეტევით ზრძოლის ველს, გამარჯვების მოსაპოვებლად!

ჯერ მოვიხსენებ რამოდენიმე სიტყვას ადამიანთა ზე-აღმტაც განსაცვიფრებელ პიროვნებისას, როგორიც იყო ნაპოლეონი. ეს არა — ჩვეულებრივი კაცი, რომელსაც ყოველთვის ასულდგმულებდა თვისი ერისადმი სიყვარული და ვისიც დედა-აზრი იყო შემდეგი: „ყველაფერი საფრანგეთის ერისათვის!“

„ეროვნული ღირსების გრძნობა ფრანგებს მხოლოდ მითვლემილი აქვს. საჭიროა მარტოოდნ ერთი ნაპერწკალი მის ასანთებად.“

* პატივცემული ავტორის მრავალ მოსაზრებათ რედაქცია საგვებით ვერ გაიზიარებს. პრომეთეს რედაქცია



ეს ნაპერწკალი იყო გერმანელების შემოტევა; საფრანგეთი გაერთიანდა მტრის წინაშე და გამოვიდა გამირჯებული, რითაც ვაამართლა დიდებული ფრანგის აზრი.

„შეერთებული საფრანგეთის ერი არასოდეს არ იყო ძლეული.“
 „პირველი ღირსება, ეს სამშობლოსადმი თავის დადებაა-ო“ სთქვა მან.
 საფრანგეთში მხოლოდ შეუძლებელი მოსწონთო, - ამბობდა იგი. დასასრულ კიდევ მოვიხსენებ ამ დიდებულ კაცის სამს აზრს, რომელიც ნამდვილ სიმართლეს წარმოადგენს:

„ფრანგები შეიძლება ერთად ერთი ერია, რომელიც საზოგადოების ყოველ წრეში ასე მძლავრად შეიროხევა ხოლმე პატიოსნების სახელით“

„გულწრფელ მოკავშირესთან ერთად საფრანგეთს შეუძლია მთელი მსოფლიოს უფროსობა.“

ნაპოლეონმა იცოდა, რომ საფრანგეთში უკვდავი იყო და ამიტომაც ადასტურებდა: „საფრანგეთი ყოველთვის დიდებული ერი აქნება-ო.“

ვიქტორ ჰიუგომაც, რომელმაც მთელი თავისი მოღვაწეობა თავის ქვეყანას შესწირა, თავის სულისკვეთებით, დაახასიათა, თუ რა არის უხენაესი საფრანგეთის სამშობლოში. იგი იმ ფრანგთაგანი იყო, რომელთაც შეეძლოთ ყოველთვის მთელი საფრანგეთის გათვალისწინება, როგორც განსაცდელის, აგრეთვე დიდების დროს. იგი იყო საფრანგეთის ეროვნული დიდების მგოსანი.

თითქოს წინასწარმეტყველივით მიხვდა იგი მარნის სასწაულს და პარიზის შესანიშნავ ღვაწლს, როდესაც იგი უხმობს საფრანგეთის დედა-ქალაქს: „ჩი ქალაქო, შენ ისტორიას მუხლთ მოაყრვენიებ!“

ვ. ჰიუგო, სამაგიეროს გადახდას (რევანშის) აზრით გატაცებული, რომლის ძალითაც საფრანგეთს მისი ბუნებრივი საზღვრები უნდა დაბრუნებოდა, თითქოს გამარჯვების მოახლოების წინადგომით წინასწარმეტყველობს:

ვაი რომ ჰიუგომ ვერ იხილა უფლებისა და სამართლის დღე, მაგრამ წინასწარ კი განიცადა იგი. მან იგრძნო რომ ყველა ცივილიზაციის შებრძოლებით, განაწამები ერები, ნაწვალეები და ჯვარცმული, როგორც ალზას-ლორენი, საქართველო პოლონეთი, ბოჰემია, ადრიატიკის სლავები, სომხეთი და სხვანი—ყველა პატარა დაჩაგრული ერები მოესწრებიან თავის მხრით სამაგიეროს (რევანშს).

ვიქტორ ჰიუგომ გერმანიას შესტყორცნა დიდებული გაბრთხილება ამ სიტყვებით:

„ელზასსა და ლორრენს საფრანგეთად დარჩენა ჰსურსთ. ესენი, რაც უნდა იყოს, საფრანგეთად დარჩებიან, რადგანაც საფრანგეთს რესპუბლიკა ქვიან, ხოლო ცივილიზაცია და საფრანგეთი თავის მხრით არასოდეს არ უღალატებს თავის მოვალეობას ალზასისა და ლორენისადმი, თავის თავისადმი და ქვეყნიერებისადმი.“

ვიქტორ ჰიუგომ შეუთვალა პრუსიას წყევლა—კრულვა, რომელიც არ უნდა დაავიწყდესთ სხვა ერებს, თუ არა ჰსურთ გაწბილებული და დამარცხებული იყვნენ.

„უმანკო პრუსია!

ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ამ პრუსიის ჩანადენის მოწამენი ვართ... პრუსია კი განაგრძობდა!

ვ. ჰუგო მოუწოდებს საფრანგეთს შეიარაღებისაკენ; რომ შეიქმნას ჯარი, რომელიც მთელი ერისაგან უნდა შესდგებოდეს, აშენდეს სიმაგრეები, გამაგრდეს ხალხი, აღორძინდეს, ხელახლად გახდეს დიდ საფრანგეთად, 92 წლის საფრანგეთად, აზროვნების საფრანგეთად, მახვილის საფრანგეთად.

ომიანობის განმავლობაში შესანიშნავ სიტყვებს საფრანგეთის მთავრობის პირებისას ვინ მოსთვლის, და ვერც მოვიხსენებ აქ. მაგრამ საფრანგეთის აზროვნებას შეიძლება ალღო აერთვას რამოდენიმე ნაწყვეტს ბ-ნ რ. პლანქარეს სიტყვებიდან, რომელიც ევროპის წინაშე წარმოადგენს დადებულ საფრანგეთის ხალხს ასეთი მალალის ღირსებით და კეთილშობილურის სიღარბაისლით.

ამ დიდებულის და თანაც ღრმა გამომეტყველებით, რომელიც გაისმის როგორც ბუკის ხმა, რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაგვარწმუნა, როგორ წამოიღვა მთელი ერი ერთის მოძრაობით საფრანგეთის დაშორებული კუთხეებიდანაც-კი გმირულის მოქმედებისათვის.

„ამ გაჩაღებულ ომში საფრანგეთის ხვედრია—უფლება, რომლის სამარადისო ზნეობრივ სიძლიერეს დაუსჯელად ვერავინ უარყოფს, ვერც ერები და ვერც ცალკე პიროვნებანი.“ „ის ერი, რომელსაც არა ჰსურს თავის დაღუპვა და რომელიც არსებობისათვის არ გაექცევა არც ტანჯვა და არც მსხვერპლს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გაიმარჯვებს“.

„საფრანგეთი ბოლომდე განაგრძობს, თავის შეილთა შეუდრეკელის ერთობით, თავის მოკავშირეთა შეუსუსტებელის დახმარებას ევროპის განათვისუფლების საქმეს, რომელიც უკვე დაწყებულია“.

„განა მხოლოდ ფრანგებისათვის აქვს მარსელიეზის მნიშვნელობა. მისი ბრწყინვალე ხმები მსოფლიო ენით ლაღადებენ და ღღეს მთელ დედამიწაზედ ყველას ესმის“.

„საფრანგეთში არ არის არც ერთი ჯარისკაცი, არც ერთი მოქალაქე, არც ერთი ქალი, რომ აშკარად არ ესმოდეს რომ ჩვენი ერის მთელი მომავალი, და არა თუ მარტო ღირსება, არამედ თვით არსებობაც-კი დამოკიდებულია ამ შეუბრალებელ ომის მძიმე წუთებზედ“.

„ეს ომი არც ერთ ფრანგს არ უნდოდა, არავინ ინატრებდა ასეთ ბოროტებას. 1871 წლიდან საფრანგეთის ყველა მთავრობა ამას გაურბოდა. ეხლა როდესაც ჩვენდა უნებურად ომი გამოგვიცხადეს, უნდა განვაგრძოთ იგი ჩვენ ერთეულ მოკავშირეებთან ერთად გამარჯვებამდე“.

„არც ჩვენ, არც ჩვენი მოკავშირენი არავითარ სიძულვილს ან ფარულ აზრს არ ვგრძნობთ ნეიტრალად დარჩენილ ერთა მიმართ პირიქით მათ ყველას უნდა ეშინოდეს დამპყრობელ და ვერაგ სახელმწიფოებისა, რომელნიც თავის მიერ ხელმოწერილ პირობებსაც კი უბრალო ქალაქის ნაგლეჯად სთვლიან და პატარა ერების გასრესაში რაღაც ველურ სიამოვნებას ჰპოვებენ.“

ეს სიტყვები ყველას გულის სიღრმეში გამოძახილს ჰპოულობენ და უთვალისწინებენ სამშობლოსა და კაცობრიობას სამარადისო დანიშნულებას.

ბ-ნმა რენე ვივიანმა თავისი აღზნებული ენა, სურათოვანი აზრი განსაკვიფრებლად შეუფარდა ეხლანდელ დროის მოთხოვნილებას. მის სიტყვებიდან გამოვკრებ ხაუკეთესო ადგილებს, იმ გრძნობის დასახასიათებლად, რომლითაც გაერთიანებული არიან ყველა ფრანგები.

„გერმანია ვერას გვისაყვედურებს. მშვიდობიანობას შეუდარებელი მსხვერპლი შევსწირეთ და ნახევარი საუკუნე ვატარებდით ამის მიზეზით ჩვენი გვერდის ღია კრილობას“.

„აბა გაითვალისწინეთ მომავალი: თქვენ ნახავთ ევროპას ყოველად საზიზღარი მონობისაგან განთავისუფლებულს, მშვიდობიანობას საიმედოს, და შრომას აღდგენილს ბედნიერებასა და სიყვარულში“.

„გერმანული მილიტარიზმი მოითხოვს, იმათი პირით, ვისაც დავალებული აქვს მისთვის აზროვნება, ძალის კულტს. ჩვენ არა ვართ ფუჭი ოცნების ხალხი, ჩვენ არ ვერიდებით ძალას, ოღონდ

მიუჩნეთ ხოლმე მას თავის ადგილს, ესე იგი ეხმარობთ მას უფლებების სასამსახუროდ“.

საფრანგეთი არ არის მტაცებელი ქვეყანა: მას არ გაუწვდენია თავისი ხარბი ხელი ქვეყნის დასაპყრობად. რადგანაც თავს მოახვიეს ომი, იგიც ეწვეა მას... კაცობრიობის განსათავისუფლებლად შეერთებულნი, როგორც ომში აგრეთვე მშვიდობიანობაში, მოკავშირენი და ჩვენ ვივლით ერთად, სანამ არ შევმუსრავთ პრუსიის შილიტარიზმს და ადამიანთა მმუსრავ მახვილს განმათავისუფლებელის მახვილით“.

„ამდენი გმირი რისთვის ეწირებოდა და ეწირება ამ ომს რალაც მისტიურგმირობის იერიშით? იციან რომ მათი მსხვერპლი უსაზლო იქნება, თავის დადება საიდუმლო, თუ დაიხოცებიან, გარდა ახლო მეზობლისა მათი სიკვდილის მოწამე ხშირად არვინ იქნება, ეს იციან. მაგრამ ისიც იციან, რომ სიციოცხლე კი არ არის უხენაესი ბედნიერება, არამედ ადამიანისათვის უხენაესი ბედნიერება არის პატიოსნება, და ერისათვის დამოუკიდებლობა“.

„საკუთარმა წესიერებამ, სიმედგრემ, ნების-ყოფამ, თავისუფლების თანშობილმა სიყვარულმა, ან ძლიერი ერის ყველა ღირსებამ შეაძლებინეს ომის არა მონატრულთ მისი ატანა შეუბრალებელის მეთოდით, გულცივის გამჭლეობით, და იმ გმირობით, რომლის სიხალისე და მხიარულება თვით სიკვდილას ზღურბლამდე არ შორდება მათ“.

„მოკავშირენი აღსდგნენ ველური შემოსევის საპასუხოდ: სუსტი ერების დამოუკიდებლობის დასაცველად, რომელთა შემუსვრაც სწადადა ულონიერესის კანონს; იმ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფელად, რომელთაც ძალმომრეობის მახვილი ჰხვდა: ხალხთა სიციოცხლისა და თავისუფლებისაკენ მისაახლებლად; რათა საბოლოოდ თავისუფლად აღმოესუნთქა მთელს ევროპას!“

„თვისი წარსულის ერთგულმა საფრანგეთმა თავის შთამომავლობას შეანარჩუნებია სამართლიანობის კულტი, უფლების პატივისცემა, უძლურთა სიყვარული, მონობის ზიზღი. ასე რომ განსაცდელის დღეს, ამ აზრების ერთგულნი საფრანგეთის შვილნი ყველანი ერთად შეთანხმდნენ მაღალი იდეალის სახელით, ურომლისოდაც ბრძოლის ველზე მხოლოდ დაჭირავებულნი არიან და არა თავისუფლნი ადამიანნი!“

აი რისთვისაც ვერ დაუთმობდა საფრანგეთი გერმანელ სტუმართ,



აი რისთვის იტანჯება საფრანგეთი, იბრძვის საფრანგეთი. საფრანგეთი
ვერ გაათავებს ომს თუ არ გამარჯვებით!

დღეს, როგორც გუშინ, როგორც ხვალ, საფრანგეთს, ვივიანის
სიტყვით, მხოლოდ ერთი ამოცახილი აქვს:

გამარჯვება; მხოლოდ ერთი ზრახვა: სამშობლო; მხოლოდ ერთი
იდეალი: უფლება!





II. ტერ-გრიგორიანი (ვანო).

„მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა

(ფურცლები ჩემ მოგონებათაგან)

(გავრძელება*)

IV

ბოზარჯიანის ქარხანა.

იმ ხანებში ქეიფობდენ მტკვრის მარცხენა ნაპირას „მონპლენ-შირში“ „სან სუსში და მუშტაიდში ხოლო მარჯვენა ნაპირას ტერ-მელიქოვის ბაღში, ჯვრის ახლოს, სადაც ახლა ბოზარჯიანების თამბაქოს ქარხანაა გამოჭიმული და სადაც იმ დროს ყოველგვარი სიავკარგე ხდებოდა. ბაღს ორი შესავალი ჰქონდა: ერთი ჯვრის მხრიდან და მეორე ნამდვილად გამოსავალი სხვა და სხვა შემთხვევის დროს. ვერის წყლის პირად, სადაც ახლა ქალაქის პარკია გაშენებული-ბაღსა ჰქონდა ერთ სართულიანი შენობა ბუფეტისათვის და პაწია სენაკები, ხოლო შენობის წინ ფართე ვაკე იყო, სადაც შეიძლებოდა მოთავსებულიყო ორმოცდა ათ კაცზე მეტი.

ნიკოლაძეს ეს ბაღი იმიტომ ამოერჩია, რომ იცოდა რომ ამ დღეს უნდა წარმოეთქვათ მრავალშინაარსიანი სიტყვები, რომელთა მოსმენა (ვერ უნდა შესძლებოდა იმ დროინდელი მთავრობის მახვილ ყურებს.

ნადიმზე სასმელ-საკმელი ისე იყო, როგორც ეს შეჰშენის ნამდვილ ქართულ სიუხვესა და სტუმარმოყვარეობას. სუფრა დაფარული იყო მშვენიერი სუნნელოვანი ყვავილებით და გარშემო კი შემოკრებილიყო ქართველთა უკვდავ მოღვაწეთა ვარსკვლავთ ეტლი. აქ იყვნენ: თავისი სამშობლოს ტკივილებს მომღერალი და მისი გაზაფხულის მოუთმელნად მომლოდინეე ხმა-ტკბილი პოეტი აკაკი წერეთელი, მოშორებით მოაზროვანე ნიკო ნიკოლაძე, ანტონ ლორთქიფანიძე, შემდეგში ნიჭიერი თეატრალი ყიფიანის მეუღლე ელენე, ქუთაისის ქალაქის თავი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, სტეფანე მელიქოვი, ანტონ ფურცელაძე, გაზ „ტიფლ. კესტნიკის“ რედაქტორი.

*) იხილეთ „პრომეთე“ № 1.



კოსტანტინე ბებუთოვი, გ. ჩიმიშკიანი, გრიგოლ არწრუნი და მე რომელიც არ ეკუთვნოდი, თუმცაღა ამ ეტლს, მაგრამ მაინც „ოლურ მის“ თამაშობის დროს ყველას ვაჯობე და ერთხელაც კი არ ჩავიქერ მე ძალიან მაჭებდენ ჩემი „ოლურმის“ თამაშობისათვის და მეტის მეტად აუგებდენ ნაფიც ვეჭილს ეგორ დანილოვს, რომელსაც მისი აღმა მატერის“ ტრადიციების ღალატს სწამებდენ.

V

სომხურ-ქართული სასოფლო სამეურნეო გაზეთი.

ჯერ კიდევ 1873 წელს გ. არწრუნიმ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში, რომლის გამართველად იყო კავკასიაში ყველას მიერ პატივცემული ქალაქის თავად ივანე სტეფანისძე ხატისიანი (ტფილისის ნაყოფის ან. ხატისიანის მამა), კითხვა აღძრა და დასაბუთებული მოხსენებაც წაიკითხა, რომელშიაც ის წინადადებას იძლეოდა, რომ სომხურ-ქართული სასოფლო სამეურნეო ეურნალი გამოეცათ და ამ ეურნალისათვის შემწეობა აღმოეჩინათ. საზოგადოებამ ხელ-მოკლეობის გამო დახმარებაზე უარი თქვა და წინადადება მისცა ასწრუნის საზოგადოების მასალებით მასალები გამოეყენებინათ თავისი გაზეთისათვის. იმავე 1873 წელს თავისი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში არწრუნმა უპასუხა, რომ მისი გაზეთი სულ სხვა მიზნებს ემსახურება, რომ იგი სპეციალურად სასოფლო-სამეურნეო გაზეთი როდია და მწუხარებას გამოსთქვამდა, რომ სომხურ-ქართული გაზეთი არ მოხერხდა.

სწორედ ამხანაგები. წარმოდგენები იმართებოდა სომხურ-ქართულ ენაზე მაგალითად, წარმოადგინეს ტრაგედია „შუშანიკი“ ნახევარი სომხურად და ნახევარი ქართულად და ამის გამო მე სათე-ტრო რეცენზია დავბეჭდე „შშაკში“, სადაც მე სომხურ-ქართულ წარმოდგენების მართვის მივესალმე, მაგრამ მოთამაშე არტისტების მიერ ქართული ენის უცოდინარობას მათრახი გადავჭკარ.

და აი ასეთ მეგობრულ სომხურ-ქართველთა განწყობილების შემდგომ უტბად ჰაერში მტრული ნაპერწკლები ჩნდება, რაცა ნ. ნიკოლაძეს პატრიოტულ გულს უწყულულებს და ის სცდილობს მტრობა მეგობრობად აქციოს და ამას ახერხებს კიდევაც.

VI

ნ. ნიკოლაძის სიტყვა.

დაე ერთხელაც კიდევ მეღირსოს ასეთ რჩეულ მამულისშვილ.



ქართველ და სომეხ მოღვაწეთა შორის ყოფნა, დაე ჩემს ცდილებას, მოუხეშავ და გაუთლელ წინადადებათა სმენით გამოყრუებულებს, კვლავ ელირსოს ერთხელ ასეთი მაღალი და შინარსიანი სიტყვების მოსმენა და მერე თუნდაც სული განვუტეო.

ამ დღის შემდეგ 42 წელია გასული და ამოდენა ხნის განმავლობაში რამდენჯერ დაწყულულებულა საწყალი ჩემი გული, როცა სომეხს ქართველი ან და ქართველს სომეხი ავად მოუხსენებია... ასეთ შემთხვევებში თვალწინ მებატებოდა ნ. ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის მაღალი პიროვნება 1875 წელს ნიკოლაძის სადილზე; და როცა შემდეგში კვეუბნებოდენ რომ მჭერმეტყველი და ნიკიერი პოეტი აკაკი ხანდახან ავად ლაპარაკობს სომეხების შესახებო, მე მაინც თავს ვიდრეკდი მისი დიდებულებისა და მაღალი ზნეობის წინაშე და ვფიქრობდი, რომ შეცდომით სხვა ვისმეს ამზგავსებუნ მეთქი. ასეთი დიდებული კაცი შეუძლებელია ორპირი იყოს მეთქი.

კონსტანტინე ბებუთოვის მიერ ერთი სადღეგრძელოს თქმის შემდეგ (თამადა ის გახლდა) წამოდგა ნიკო ნიკოლაძე და დაიწყო თავისი სიტყვა. ყველანი განსაკუთრებული ყურადღებით ვუსმენთ. მისი სიტყვა უბრალოა და ადვილად გასაგები, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებსა და ცარიელ რახა-რუხს ადგილი არა აქვს. თვითეული აზრიანი წინადადებით საქმეს არსებითად უახლოვდება. ის თამამად ჰხდის პირბადეს რომელსაც სომეხ-ქართველთა ურთიერთობა დაუფარავს. მას ზედ-მეტად მიაჩნია იმისი მტკიცება, რომ კავკასიის ერთა სოლიდარობა აუცილებელი საჭიროებაა. ეს უკვე ქეშმარიტებაა... არა, ის ამათრავებს იმათ, რომელთაც კავშირი გაწყვიტეს; ის მათრახსა სცემს მარჯვნივ თუ მარცხენივ სომეხთა და ქართველთა ინტელიგენციას ურჩევს ერთად შემოკრბნენ, და მოუწოდებს მხარი-მხარს მისკენ ხელი ხელსა და ერთად იმუშაონ. აი მაშინ გამობრწყინდებაო, ამბობს იგი, ქართველთა და სომეხთა მისწრაფების ცახე მოციმციმე ცისკარი, რომელსაც ჩვენ ვნატრობთო, რომელიც ჩვენი აღთქმის ქვეყანა არისო. მის სიტყვას ტაშს უკრავენ გაცხარებულად და ხელით აჭყავთ მაღლა.

გ. არწრუნის სიტყვა ამ ნადიმზე იმგვარადვე აღფრთოვანებული იყო და დიდებული. ერთა სოლიდარობა და სომეხ-ქართველთა სიყვარული მას იდეალურ აჭყავდა. ის ამტკიცებდა, რომ სომეხები და ქართველები აუცილებლად ერთად და მეგობრულად უნდა იყვნენო, რომ საერთო ინტერესები და მტრები ჰყავსო, რომელთა წინააღმდეგ

მათ გაათვრებით უნდა იბრძოდნენ... მე ხშირად მსმენია გ. არწუ-
ნის სიტყვა, მაგრამ ასეთი მკვერი მეთყველება მას არასოდეს არ
გამოუჩენია.

შემდეგში არწრუნთან ერთად ხშირად მოგვიგონებია ეს ბალი, ეს
ნადიმი. ეგ მშვენიერი პატრიოტიზმით ალტყვინებული სახეები და
ყოველთვის გაგვწყვეტია საუბარი და ღრმად წავსულვართ მშვენიერი
წარსულის საამურ ფიქრებში.

ახლა კვლავ დამყარდა სოლიდარობა კავკასიაში მცხოვრებ ერებს
შორის. დაე, ის საუკუნო და უკვდავი იყოს და მარად თავის ფეხებს
ქვეშ გასრისოს მდაბალი პროვოკაცია.

გრ. არწრუნის საფლავზე, მის მტკრად ქცეულ გვამთან მისი
გარდაცვალების 15 წლის თავზე მე ხმა-მალლა ვლაღადებ: „საუკუნოდ
იყოს კავკასიის ერთა სოლიდარობა, გაუმარჯოს სომეხ-ქართველთა
სიყვარულსა და მეგობრულ განწყობილებას!“



სარჩევი:

1 ვაჟა ფშაველა. ბუნების გლოვა.	გვერდი	3—6
2 ვ. ბარნოვი. ამქრის მშვენება.		7—27
3 ა. კუმბაძე. ნაგვიანევი ყვავილი.		28—29
4 აკაკი პაპავა. „სოლეილდორ“.		30—46
5 ქოწია გამსახურდია. ქორწილი.		47—48
6 კოწია გამსახურდია. მიზანტროპი.		—49
7 კ. კიკინაძე. იო.		—50
8 ძველი მწერლობა		
ა. ქართველ მეფეთა და დიდებულთა ბეჭდების ზედწარწერანი.		51—52
ბ. აფორიზმები ქილილა და დამანადან.		53—54
9 ს. გორგაძე. ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა.		55—71
10 პავლე ინგოროყვა. „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯნვის გამო		72—83
11 რენე მეველი. ფრანგული აზროვნება და ომი		83—89
12 მ. ტერგრიგორიანცი. „მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა.		90—93

სარედაქციო კოლეგია

{ კოწია გამსახურდია
 აკაკი პაპავა
 იოსებ უიფშიძე
 პავლე ინგოროყვა

გამომცემელი ისიდორე სტურუა.

უმთავრესი შეცდომებს გახწორება

1. აკაკი პაპავას მ-თხრობაში გვ. 40, სტრიქ. 20, დაბეჭდილია: „მან,“ უნდა იყოს „იგი.“—გვ. 43, სტრიქონები 9 და 11: დაბეჭდილია „თალიკო,“ უნდა იყოს: „თიკო.“

2. ქილილა² და დამანადან ამოღებულ აფორიზმებში სწერია: „ეკალს გავგარ“ უნდა იყოს: „ეკალს ჰგავხარ.“

3. პ. ინგოროყვას წერილში (გვ. 78) მე-33-ე სტრიქონში ზემოდან სწერია: „ეროვნული თვითგამორკვევისათვის,“ უნდა იყოს: „პოლიტიკური თვით გამორკვევის“.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„საქართველო“ ზმ

წელიწადი მეოთხე

გაზეთის ფასი: 1 წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან.
50 კ. 2 თვით 4 მან. 50 კ.

ერთის თვით გაზეთის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ თბილისის
ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тиф-
ლისი, контора газ. „Сякართველო“, почт. яш. 76.
კანტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე
სალამოთი: 6—7 საათამდე:

მისამართი: სასახლის ქ. 5, ქართული ქარვასლა 15—76

1918 წლის ხელის მოწერის საუკრად- სებოდ

„ალიონი“ გამოდის კვირაში ორჯერ ხუთშაბათობით და კვი-
რაობით.

გაზეთის ფასი: ერთი წ. 20 მანეთი, ნახევარი წლით 10 მან. 50 კ.,
სამი თვით 5 მან. 50 კაპ. თვეში 1 მან. 60 კაპ.

ცალკე ნომერი იანვრიდან ყველგან 20 კაპეიკი.

ხელის მოწერა და განცხადება მიიღება „ალიონის“ კანტორაში ყო-
ველდღე კვირა-უქმეების გარდა დილის 11 საათიდან 3 საათამდე
და სალამოს 7 საათიდან 8 საათამდე.

რედაქციის და კანტორის მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5
ფული მიიღება მხოლოდ შემდეგი მისამართით: Тифლისი, Дворцо-
вая № 5, ред. „Алиони“ Лаврентию Санадзе

